

„ ართხელაჲე, თ. კოხია, ო. მალაჲე

# გაგოთვლის მეთოდებისა და დაკრობრაემების პრაქტიკული სახელმძღვანელო

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ დაამტკიცა სახელმძღვანელოდ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის

გამომცემლობა „განათლება“

თბილისი — 1990

22. 97  
681. 14  
• 80

წიგნში განხილულია გამოთვლის ალგორითმის დაპროგრამების პროცესი და მეთოდები. ალგორითმულ ენებად აღებულია ფორტრანი, ბესიკი და პასკალი. იგი შედგენილია უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების ამჟამად მოქმედ პროგრამის მიხედვით.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის იმ სპეციალობების სტუდენტებისათვის, რომელთაც ეკითხებათ დაპროგრამების კურსი.

## წინასიტყვაობა

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო გათვალისწინებულია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის იმ სპეციალობების სტუდენტებისათვის, რომელთაც ეკითხებათ დაპროგრამების კურსი. ნაშრომში საკმაო მოცულობითაა წარმოდგენილი სავარჯიშო მაგალითები (რიცხვითი პასუხების გამოყენება შესაძლებელია საკონტროლო რიცხვებად).

წიგნში ყურადღება გამახვილებულია გამოთვლის ალგორითმის დაპროგრამების პროცესზე და გამოთვლების მეთოდებიც ამდენადაა წარმოდგენილი. მასალის გადმოცემისას შემოვიფარგლეთ გამოთვლითი მათემატიკის ზოგიერთი რიცხვითი მეთოდით, რამაც განაპირობა დაპროგრამების ენებად ფორტრანის, ბეისიკის და პასკალის არჩევა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ მოყვანილი პროგრამების დანიშნულებაა ასწავლოს სტუდენტს პროგრამის შედგენა, რის გამოც არ ვცდილობდით პროგრამა ყოფილიყო უნივერსალური. ავტორთა აზრით, წიგნი შეიძლება გამოყენებულ იქნას პროგრამირების შესწავლის მხოლოდ მეორე ეტაპზე, ე. ი. როცა სტუდენტს ათვისებული აქვს მარტივი ალგორითმების ალგორითმულ ენაზე ჩაწერის ჩვევები. იმ მიზნით, რომ შემოწმდეს სტუდენტის მომზადების დონე, წიგნს ბოლოში დართული აქვს სავარჯიშო მაგალითები მარტივი ალგორითმების დასაპროგრამებლად. ვვარაუდობთ, რომ ამ მარტივი სავარჯიშოს შესრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს წიგნში მოყვანილი მეთოდებით დაპროგრამებას.

მეთოდები არ არის დალაგებული დაპროგრამების სირთულის მიხედვით. მასწავლებელს შეუძლია თავისი შეხედულების მიხედვით გადააჯგუფოს მასალა.

წიგნს სისრულის პრეტენზია აქვს.

წიგნში მოყვანილი მაგალითები ახლადაა შედგენილი და გამოთვლილი; ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი მაგალითის პასუხში დაშვებული იყოს შეცდომა. ავტორები მადლობით მიიღებენ ყოველგვარ საქმიან შენიშვნას წიგნის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.



**ალგორითმის ცნება, ალგორითმული ენის —  
„ფორტრანი“ — ელემენტები**

**§ 1. პირიანი სისტემის ელემენტარული გამოთვლილი  
მანქანები ( EC — ეგე)**

1949 წლიდან დღემდე შეიქმნა გამომთვლელი მანქანების რამდენიმე თაობა. ელექტრონული აპარატურა წარმოადგენს ელექტრონული ციფრული მანქანების საფუძველს, ამიტომ მანქანების თაობების ცვლა დაკავშირებულია ელექტრონიკის განვითარებასთან.


პირველი თაობის მანქანებში, რომლებიც 50-იან წლებში შეიქმნა საბჭოთა კავშირში, გამოყენებული იყო ელექტრონული მილაკები და ელექტრომაგნიტური რელეები, რის გამოც მანქანას ჰქონდა დიდი გაბარიტი, ოპერაციების სიჩქარე — რამდენიმე ათასი, ოპერატიული მეხსიერების მცირე ტევადობა და მუშაობის დაბალი საიმედოობა.

მეორე თაობის მანქანებში ტრანზისტორებმა მთლიანად შეცვალეს ელექტრონული მილაკები, რის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშაობის საიმედოობა, ოპერატიული მეხსიერების ტევადობა, შემცირდა ელექტროენერგიის ხარჯი და მანქანის გაბარიტი, რასაც მოჰყვა ოპერაციების შესრულების სიჩქარის გაზრდა ასეულ ათასამდე და მანქანების მნიშვნელოვნად გაიაფება.

მესამე თაობის მანქანებში გამოყენებულ იქნა ინტეგრალური სქემები და სიჩქარე გაიზარდა მილიონამდე. მეოთხე თაობის მანქანებში კი გამოყენებულია დიდი ინტეგრალური სქემები. მიკროელექტროტექნიკის განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო მცირდება მანქანების გაბარიტები, ელექტროენერგიის ხარჯი და ოპერაციების სიჩქარე რამდენიმე მილიონს აღწევს.

მესამე თაობის ეგმ-ების მოდელები შექმნილია და სერიულად გამოდის 1972 წლიდან საბჭოთა კავშირში, ბულგარეთში, უნგრეთში, გდრ-ში, პოლონეთში და ჩეხოსლოვაკიაში, რომლებიც ცნობილია ერთიანი სისტემის ელექტრონული გამომთვლელი მანქანების სახელწოდებით ( EC — ეგე).

თითოეული ეგმ-ის აგებულება შეესაბამება შემდეგ სქემას:



ამ ოჯახის სხვადასხვა მოდელისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა სწრაფქმედება და მუხსიერების ტევალობა, მაგრამ პროგრამულად ისინი თითქმის თავსებადი არიან.

ერთიანი სისტემის ელექტრონული გამომთვლელ მანქანების არქიტექტურა

1. მოწყობილობები. ერთიანი სისტემის ეგმ-ის ნებისმიერი მოდელი შედგება შემდეგი მოწყობილობებისაგან:  
პროცესორი (ცენტრალური პროცესორი) — მოწყობილო-

ბა, რომელიც განკუთვნილია ბრძანებების შესასრულებლად და მათი შესრულების თანმიმდევრობის დასადგენად.

ძირითადი მეხსიერება (ოპერატიული მეხსიერება) — მოწყობილობა, რომელშიც ინახება შესასრულებელი პროგრამა და საჭირო მონაცემები (საწყისი და შუალედური).

არხები — მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაცემების გაცვლას ძირითად მეხსიერებასა და გარე მოწყობილობებს შორის პროცესორისაგან დამოუკიდებლად.

შეყვანა-გამოყვანის გარე მოწყობილობათა ერთობლიობა (მართვის მოწყობილობებთან ერთად), რომლებიც ახორციელებენ ინფორმაციის გაცვლას გარე მატარებლებსა და არხებს შორის.

EC ეგმ-ებს საფუძვლად უდევს „მოდულობის პრინციპი“, რომელიც საშუალებას იძლევა მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდასთან ერთად გაიზარდოს გამოთვლითი სისტემის სიმძლავრე პროცესორის შეცვლით, ძირითადი მეხსიერების ტევადობის გაზრდით და შემყვან-გამომყვანი მოწყობილობების დამატებით.

ჰ. პროცესორი. პროცესორი წარმოადგენს თითოეულ EC ეკპ-ის მოდელის ფუნქციონალურ ბირთვის. მასში თავმოყრილია არითმეტიკულ და ლოგიკურ მოქმედებათა შესრულების საშუალებები. გარდა ამისა, მეხსიერებისადმი მიმართვის, პროგრამის ბრძანებათა შესრულების, პროცედურების ინიციალიზაციის საშუალებები. პროცესორის უმთავრესი მოქმედებები სრულდება რეგისტრების გამოყენებით. სულ არსებობს 16 ზოგადი დანიშნულების რეგისტრი და 4 რეგისტრი მცოცავი მძიმით.

ზოგადი დანიშნულების რეგისტრს აქვს 32 თანრიგი და უმთავრესად გამოიყენება მთელი რიცხვების შესანახად.

რეგისტრი მცოცავი მძიმით შეიცავს 64 თანრიგს და გამოიყენება ნამდვილი ტიპის რიცხვების შესანახად.

8. ძირითადი მეხსიერება. ერთიანი სისტემის ეგმ-ის ძირითადი მეხსიერება წარმოადგენს ბიტების მიმდევრობას (შემოკლებით ინგლისური სიტყვიდან binary digit — ორობითი ციფრი). ბიტი არის ინფორმაციის უმცირესი ერთეული, რომელსაც შეუძლია მიიღოს ორიდან ერთ-ერთი მნიშვნელობა: პირველ მათგანს, ჩვეულებრივ, უწოდებენ „ნულს“, ხოლო მეორეს — „ერთს“.

ყოველი 8 ბიტი შეადგენს ბაიტს; ბაიტები დანომრილია ნულიდან უდიდეს მნიშვნელობამდე, რომელსაც ეწოდება მეხსიერების ტევადობა. ბაიტის ნომერს ეწოდება მისამართი. ძირითადი მეხსიერების ტევადობა (ბაიტების რაოდენობა) იზომება ერთეულით, რომელიც აღინიშნება კ (კილო) ასოთი, სადაც  $1\text{კ} = 1924$  ბაიტს ( $1024 = 2^{10}$ ),

თითოეულ მოდელს აქვს მეხსიერების გარკვეული ტევადობა. მაგალი-  
 თად, მოდელი E<sub>1</sub> — 1033 512 კ ბაიტი ტევადობისაა. ნებისმიერი მო-  
 დელის მეხსიერება არ შეიძლება აღემატებოდეს 16384 კ ბაიტს, ე. ი.  
 2<sup>14</sup> ბაიტს.

ჩვეულებრივ, ბრძანებები სრულდება ბაიტებზე ან მიმდევრობით  
 დაჯგუფებულ ბაიტებს შორის. ზოგიერთი ბრძანების საშუალებით შე-  
 საძლებელია მოქმედებები ჩატარდეს ცალკეულ ბიტებზე. ბაიტებთან  
 ერთად გამოიყენება მეხსიერების უფრო გამსხვილებული სტრუქტუ-  
 რული ერთეულები: ნახევარი სიტყვა, სიტყვა, ორმაგი სიტყვა და  
 ველი (იხ. ნახ. 1).


თითოეულ ასეთ სტრუქტურულ ერთეულს დაერთვის მისამართი.  
 თუ მეხსიერებას წარმოვადგენთ სქემატურად, მაშინ ის შეიძლება გან-  
 ვიხილოთ როგორც მონაკვეთების ერთობლიობა, თითოეულ მონაკ-  
 ვეთს შევუსაბამოთ ბაიტი. ყველაზე მარცხენა მონაკვეთის მისამართი  
 აღინიშნება 0, მისი მომდევნო 1 და ა. შ.

ნახევარსიტყვა ეწოდება ორი მომდევნო ბაიტის გაერთიანებას,  
 რომლის მისამართია ორის ჯერადი ნატურალური რიცხვი. ოთხი ბაი-  
 ტის ერთობლიობას ეწოდება სიტყვა, რომლის მისამართი არის 4-ის  
 ჯერადი. ორმაგი სიტყვა 8 ბაიტის გაერთიანებაა, რომლის მისამართი  
 8-ის ჯერადია. ველი ეწოდება  $n$  ბაიტის ერთობლიობას, სადაც  
 $1 \leq n \leq 256$ . აქ მისამართს აარ გააჩნია ჯერადობის შეზღუდვა.

4. შეყვანა-გამოყვანის გარე მოწყობილობები. შეყვანა-გამოყვა-  
 ნა ნიშნავს ინფორმაციის გაცვლას ძირითად მეხსიერებასა და გარე  
 მოწყობილობებს შორის. მოწყობილობებს, რომლებიც ამ ფუნქციას  
 ასრულებენ, ეწოდება შეყვანა-გამოყვანის, ან პერიფერიული მოწყო-  
 ბილობები. ამ მოწყობილობებს მიეკუთვნება: პერფო-ბარათების წამ-  
 კითხველი მოწყობილობა, საბეჭდი მოწყობილობა, მართვის საბეჭდი  
 მანქანა, დამმასხვოვრებელი მაგნიტური დისკზე, მაგნიტულ ლენტზე,  
 დისპლეი და სხვა.

ინფორმაციის გაცვლა გარე მატარებლებს შორის შესაძლებელია  
 ძირითადი მეხსიერების საშუალებით.

### მეხსიერების სტრუქტურა





ალფაბეტურ-ციფრული საბეჭდი მოწყობილობის (აცსმ) საშუალებით გამოთვლების შედეგად მიღებული პასუხები იბეჭდება ფართო ფორმატის ქაღალდზე.

ტექნიკურად ერთ სტრიქონზე დასაშვებია 128 სიმბოლო, პროგრამულად კი — 120.

დისპლეი წარმოადგენს ეკრანის საშუალებით ინფორმაციის შემყვან და გამომყვან მოწყობილობას.

## § 2. ალგორითმის ცნება და გამოთვლითი პროცესის დახასიათება

საინჟინრო-ეკონომიკური შინაარსის ნებისმიერი ამოცანის ამოხსნის პროცესი პირობითად შეიძლება ორ ეტაპად გავყოთ: პირველზე ვეძებთ ამოცანის ამოხსნის გზას, იმ წესებისა და ოპერაციების ერთობლიობას, რომელთა განხორციელება ამოცანაში შემავალ საწყის სიდიდეებზე მიგვიყვანს საძიებელ პასუხამდე; მეორე ეტაპი კი წარმოადგენს არჩეულ ოპერაციათა ერთობლიობის პრაქტიკულ რეალიზაციას — სათანადო გათვლების ჩატარებას.

ოპერაციათა სასრულო რაოდენობას ან იმ წესების ერთობლიობას, რომელთა განხორციელება საწყის სიდიდეებზე მოგვცემს ამოცანის ამონახსნს. ეუწოდოთ ა ლ გ ო რ ი თ მ ი. უფრო ზუსტად, წესების გარკვეული მიმდევრობა წარმოადგენს ამოცანის ამოხსნის ალგორითმს, თუ მას ახასიათებს შემდეგი ძირითადი თვისებები:

1) ცალსახობა — ალგორითმის ყოველი წესის შესრულების შედეგი უნდა იყოს ერთადერთი.

2) სასრულობა — წესთა რაოდენობა უნდა იყოს სასრული როგორც მოცულობით, ისე იმ დროის თვალსაზრისით, რომელიც საჭიროა ამ ალგორითმის განხორციელებისათვის კონკრეტულ გამოთვლით მანქანაზე.

3) მასიურობა, ე. ი. ამ ალგორითმით უნდა შეიძლებოდეს მოცემული კლასის არა მარტო რომელიმე კონკრეტული ამოცანის ამოხსნა, არამედ ამ კლასში შემავალი ყოველი ამოცანის გადაწყვეტა.

ამოცანის ამოხსნის ალგორითმის შემუშავების პროცესს ეუწოდოთ ა ლ გ ო რ ი თ მ ი ზ ა ც ი ის პ რ ო ც ე ს ი, ხოლო შერჩეული ალგორითმის ეგმ-სათვის არსებულ ენაზე გადაწერის პროცესს — პ რ ო გ რ ა მ ი რ ე ბ ა.

ალგორითმის ცნების შინაარსის უკეთ გარკვევისათვის განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები.

მაგალითი 1. ამოვარჩიოთ  $a_1; a_2; a_3$  რიცხვებს შორის უდიდესი. კონკრეტული რიცხვების შემთხვევაში ადამიანისათვის საკმარისია ამ რიცხვების ყურადღებით გადათვალიერება, თუმცა აქაც იკულისხმება გარკვეული ოპერაციების ერთობლიობა, რომელიც შეიძლება გადმოვცეთ ელემენტების ერთმანეთთან შედარებით. აღვნიშნოთ საძიებელი მაქსიმალური ელემენტი  $c$ -თი.

შევადაროთ  $a_1$  და  $a_2$ . თუ  $a_1 < a_2$ , შივილოთ  $c = a_2$ , წინააღმდეგ შემთხვევაში  $c = a_1$  ახლა შევადაროთ  $c$  და  $a_3$ , თუ  $c \geq a_3$ , პასუხად ჩავთვალოთ  $c$ , წინააღმდეგ შემთხვევაში  $c = a_3$  და შევწყვიტოთ პროცესი.

მაგალითი 2. 1-ლ მაგალითში მოყვანილი ალგორითმი გავავრცელოთ  $n$  რიცხვის შემთხვევისათვის, ე. ი. ამოვარჩიოთ მაქსიმალური ელემენტი  $a_1, a_2, \dots, a_n$  ორიცხვებს შორის.

ეს ალგორითმი შეიძლება გადმოვცეთ შემდეგი წესების საშუალებით:

1. ეტყვათ,  $k=1$  და  $i=2$ .

2. შევადაროთ  $a_k$  და  $a_i$  (საწყისი მონენტში  $a_1$  და  $a_2$ ) თუ  $a_k < a_i$ , მაშინ  $k=i$ .

3. გავზარდოთ  $i$ -ს მნიშვნელობა ერთი ეროეულით

4. შევადაროთ  $i$  და  $n$ . თუ  $i \leq n$ , გავიმეოროთ ალგორითმი მეორე ეტაპიდან, ხოლო თუ  $i > n$ , შევწყვიტოთ ძებნის პროცესი. პასუხი იქნება  $a_k$ .

გამომთვლელი მანქანების საშუალებით რაიმე ფიზიკური მოვლენის შესწავლისათვის საჭიროა წინასწარ შეიქმნას ამ ფიზიკური მოვლენის ამოსახსნელი მათემატიკური მოდელი. შეიძლება ამოხსნის ალგორითმი, ხოლო შემდეგ ეს ალგორითმი ჩაიწეროს მანქანისათვის გასაგებ ენაზე, ე. ი. შედგეს ალგორითმის შესაბამისი პროგრამა, რომელიც იწერება უშუალოდ მანქანურ ან რომელიმე შუალედურ ენაზე.

ცნობილია, რომ მანქანა გამოთვლებს აწარმოებს მხოლოდ მანქანურ ენაზე ჩაწერილი პროგრამის მიხედვით, ამიტომ შუალედურ ენაზე ჩაწერილი პროგრამა საჭიროა გადაყვანილ იქნეს მანქანურ ენაზე, თვით მანქანის მიერ სპეციალური პროგრამის საშუალებით, რომელსაც ტრანსლატორი ეწოდება, ხოლო გადაყვანის პროცესს — ტრანსლაცია.

გამოთვლითი პროცესი ძირითადად არის მიმდევრობითი, განშტოებადი, ციკლური და რეკურსიული სახის. ჩვენ განვიხილავთ მიმ-

დევრობით, ციკლურ და განშტოებად პროცესებს. გამოთვლებს, რომელიც ბუნებრივი მიმდევრობით სრულდება ეწოდება მიმდევრობითი გამოთვლითი პროცესი.

განშტოებადი ეწოდება ისეთ პროცესს, როცა გამოთვლების მიმდევრობა დამოკიდებულია ალგორითმში შემავალი პირობის შემოწმებაზე. ციკლური განმეორებადი პროცესებია, რომლებიც, როგორც შემდეგ დავინახავთ, თავისთავად გულისხმობენ განშტოებად პროცესებს. თავის მხრივ ციკლური პროცესი ორი სახისაა: არითმეტიკული და იტერაციული. არითმეტიკული ციკლური პროცესის დროს განმეორებათა რაოდენობა წინასწარ არის ცნობილი, რომელსაც ციკლის ეტალონი ეწოდება. იტერაციული ციკლური პროცესების დროს კი განმეორებათა რაოდენობა დამოკიდებულია წინასწარ დასახელებული პირობის შესრულებაზე.

განვიხილოთ თითოეული პროცესის შესაბამისი მაგალითი.

მაგალითი 3. ვთქვათ,

$$x = 1.7$$

$$y = 9,8x^2 + 11,2x - 0,25$$

$$z = \frac{2yx + 3,2}{x^2 + 127,2y}$$

განხილული მაგალითის მიხედვით მოცემული  $x$ -სათვის გამოითვლება  $y$  ფორმულის მიხედვით, ხოლო შემდეგ იმავე  $x$ -ისა და გამოთვლილი  $y$  სათვის  $z$  ის გამოსათვლელად გამოიყენება  $\frac{2yx + 3,2}{x^2 + 127,2y}$  გამოსახულება.

განხილული მაგალითი შეესაბამება მიმდევრობით პროცესს.

მაგალითი 4. ვთქვათ,

$$y = \begin{cases} x^2 + \sin^2 x, & \text{როცა } x < 1 \\ \frac{x + 3,7}{x^2 \sin x}, & \text{როცა } x \geq 1 \end{cases}$$

მოცემული მაგალითის მიხედვით ისეთი  $x$ -ებისათვის, როდესაც  $x < 1$  ბიკ ეროზე ნაკლებია,  $y$  გამოითვლება ფორმულით  $x^2 + \sin^2 x$ , ხოლო  $x$ -ის ისეთი მნიშვნელობისათვის, როდესაც იგი ტოლია ან მეტი

1-ზე, ფუნქციის გამოსათვლელად გამოიყენება  $\frac{x + 3,7}{x^2 \sin x}$  გამოსახულება.

მამასადამე, რადგან ფუნქციის გამოთვლა დამოკიდებულია არგუ-

შენტის მნიშვნელობებზე, ამიტომ ზემოთ ხსენებული განმარტების მიხედვით ადგილი აქვს განშტოებად გამოთვლით პროცესს.

მაგალითი 5. ეთქვათ, მოცემულია ათი რიცხვი:

$$a_1, a_2, \dots, a_{10}$$

ვიპოვოთ ამ რიცხვების საშუალო არითმეტიკული

$$S = \frac{\sum_{i=1}^{10} a_i}{10}$$

ამ შემთხვევაში მრიცხველის გამოთვლა შეესაბამება არითმეტიკულ ციკლურ პროცესს, სადაც ციკლის ეტალონი უდრის 10-ს.

მაგალითი 6. განვიხილოთ კრებადი მწკრივი.

$$f(x) = 1 + \frac{x}{1!} + \frac{x^2}{2!} + \frac{x^3}{3!} + \dots + \frac{x^n}{n!} + \dots$$

ვიპოვოთ ამ მწკრივის ჯამი  $x$ -ის მოცემული ნიშნელობისათვის. ამასთან შევინარჩუნოთ ყველა ის შესაყრები, რომელც დააკმაყოფილებს პირობას.

$$\frac{|x^n|}{n!} > \varepsilon$$

სადაც  $\varepsilon$  წინასწარ დაახვლებული მცირე დადებითი რიცხვია.


ამ შემთხვევაში წინასწარ არ არის ცნობილი შესაყრებთა რაოდენობა. ის დამოკიდებულია  $\varepsilon$  სიდიდეზე. ამდენად განხილული მაგალითი შეესაბამება იტერაციულ ციკლურ პროცესს.

### § 8. ალგორითმის ბლოკ-სქემა

ალგორითმის წესების სიტყვიერი გადმოცემა მოუხერხებელია, ამიტომ შემუშავებულია ალგორითმის აღწერის სხვადასხვა მეთოდი. ჩვენ აქ შევხებით ალგორითმის აღწერას ბლოკ-სქემების საშუალებით.

ბლოკ-სქემა წარმოადგენს ალგორითმის გრაფიკულ-გეომეტრიულ გადმოცემას, სადაც ალგორითმის ყოველი წესი წარმოდგენილია გეომეტრიული ფიგურებით — ბლოკებით. ბლოკები ერთმანეთთან დაკავშირებულია ისრებით. ისრის დასაწყისი და მიმართულება შესაბამისად გვიჩვენებს, თუ რომელი ბლოკიდან, რომელ ბლოკზე


ხდება გადასვლა. თითოეული ამ ბლოკის შიგნით მოცემული იქნება ალგორითმის წესის აღწერა მათემატიკური სიმბოლოების ან სიტყვების საშუალებით.



სურ. 1\*

მიმდევრობითი გამოთვლითი პროცესის შესაბამის სტრუქტურას ეწოდება მიმდევრობითი, განშტოებადი პროცესისას — განშტოებადი სტრუქტურა, ციკლური პროცესისას — კი ციკლური.

1. მიმდევრობითი სტრუქტურა გამოსახულია სურ. 1\*-ზე.
2. განშტოებადი სტრუქტურის რამდენიმე ვარიანტის ფრაგმენტი (სურ. 2\*\*):




ნახ. 2\*

3. ციკლური სტრუქტურის მაგალითი სურ. 3\*-ზეა მოცემული. წინა პარაგრაფში განხილული მაგალითებისათვის შევადგინოთ ამოხსნის შესაბამისი ბლოკ-სქემები.

მე-4 მაგალითი შეესაბამება განშტოებად პროცესს და შესაბამის ბლოკ-სქემას აქვს 2-ე ნახაზზე მოცემული სახე.

ამ ბლოკ-სქემის მე-2 ბლოკის შესრულების შედეგი განსაზღვრავს მომდევნო ბლოკების მუშაობის თანმიმდევრობას: დადებითი პასუხის შემთხვევაში მართვა გადაეცემა მე-3 ბლოკს. ხოლო უარყოფითი პა-



სურ. 3\*

სუბის შემთხვევაში მე-4 ბლოკს. ამრიგად,  $x$ -ის სიდიდის მიხედვით ბლოკების მუშაობის თანმიმდევრობას აქვს სახე: 1, 2, 3, 5, 6 ან 1, 2, 4, 5, 6.


არითმეტიკული ციკლური პროცესის, ბლოკ-სქემების საილუსტრაციოდ განვიხილოთ წინა პარაგრაფის მე-5 პეგალითი. (ნახ. 3)

იშინათვის, რომ შევადგინოთ ამ მაგალითის ალგორითმის შესაბამისი ბლოკ სქემა, საჭიროა წინასწარ ალგორითმიდან გამოთვოთ განმეორებადი ნაწილი, რომელსაც მუშა ფორმულა ვუწოდოთ.

$$S = S + a_i$$

ამ ჩანაწერის ორივე მხარეში, როგორც ვხედავთ, მონაწილეობს ერთი და იგივე  $S$ . ცვლადს რომელსაც ფორმულის მარჯვენა მხარეში აქვს წინა ეტაპზე მიღებული მნიშვნელობა, ხოლო ფორმულის მარცხენა მხარეში — აღებულ ეტაპზე გამოთვლილი მნიშვნელობა. ამრიგად,  $S$ -ს მარჯვენა და მარცხენა მხარეში აქვს სხვადასხვა მნიშვნელობები.

ბლოკ-სქემის შესადგენად მოვამზადოთ ფორმულაში შემავალი




ნახ. 2

$S$  და  $i$  ცვლადები, მივიანიკოთ მათ საწყისი მნიშვნელობები  $S = 0$ ,  $i = 1$ , (ბლოკები 1, 2). ამ მნიშვნელობებისათვის მუშა ფორმულა მოგვცენს

$$S = 0 + a_1 \quad (\text{ბლოკი 3})$$

იმისათვის, რომ მიღებულ მნიშვნელობას დაემატოს მომდევნო შესაყრები, საჭიროა  $i$ -ს მნიშვნელობა გაეზიდინოთ ერთი ერთეულით  $i = i + 1$  (ბლოკი 4). თუ მიღებული  $i$ -ს მნიშვნელობა ნაკლებია ან ტოლია ათის (ბლოკი 5), მაშინ უნდა დაეუბრუნდეთ მუშა ფორმულას (გადავიდეთ მე-3 ბლოკზე), ხოლო თუ მეტია ათზე, მაშინ უნდა გადავიდეთ საბოლოო მნიშვნელობის გამოთვლაზე (ბლოკი 6).



ნახ. 3

ნე 6 მაგალითი შეესაბამება იტერაციულ ციკლურ პროცესს. შევადგინოთ იტერაციული ციკლის შესაბამისი ბლოკ-სქემა მწყობრის ჯამის გამოთვლისას ზოგჯერ მოსახერხებელია ეიბოვოთ რეკურენტული დამოკიდებულება წვერებს შოიის. ე. ი. მომღვენო წვერი გამოვსახოთ წიხა წვერის სანუალებით

$$U_n = U_{n-1} \cdot \frac{x}{n} \quad (1)$$

სადა:

$$U_0 = 1, \quad n = 1, 2, \dots ;$$

მაშასადამე, (1) მიხედვით  $n$ -ური წვერის გამოსათვლელად მუშა ფორმულას ექნება შემდეგი სახე:


$$U_n = U \cdot \frac{x^n}{n}$$

გარდა ამისა, საჭიროა, ჯამის გამოსათვლელი მუშა ფორმულაც, რომელიც შემდეგნაირად გამოისახება:

$$f = f + U$$

ამის შემდეგ მოვამზადოთ მუშა ფორმულებში შემავალი ცვლადი და შევადგინოთ ალგორითმის შესაბამისი ბლოკ-სქემა (ნახ. 4).

3, 4, 6, 7 ბლოკების ერთობლიობა ქმნის იტერაციულ ციკლს,



ნახ 4

ამავე დროს ბლოკი 4 ადგენს მართვის განშტოებას მე-5 და მე-6 ბლოკებს შორის.


განვიხილოთ § 2-ში განხილული მე-2 მაგალითის შესაბამისი ბლოკ-სქემა (ნახ. 5). განმეორებად ბლოკთა ერთობლიობა შეადგენს ციკლს. უფრო რთული ალგორითმების დროს შეიძლება ციკლის შიგნით კიდევ შეგვხვდეს ციკლი და ა. შ.

აღნიშნულის ნათელსაყოფად განვიხილოთ მაგალითი 7.

მაგალითი 7. დავალაგოთ ზრდადობის მიხედვით  $a_1, a_2, \dots, a_n$  რიცხვები. ალგორითმი წარმოედგინოს ორი ძირითადი ეტაპისაგან. პირველ ეტაპზე ყოველ ორ მეზობელს შევუცვალოთ ადგილი მათი სიდიდის მიხედვით, ე. ი. თუ  $a_{k+1} > a_k$ , მაშინ  $a_{k+1}$  გადავსვათ  $a_k$ -ს ადგილზე და  $a_k$  კი  $a_{k+1}$ -ის ადგილზე (ნახ.6).

ცხადია, თუ ასეთ მოწესრიგებას გავიმეორებთ  $(n-1)$ -ჯერ საბოლოო მიზანი მიღწეული იქნება. ამისათვის დაგვეპირდება ორი მთელელი. პირველი მთელელი, რომელიც აწესრიგებს ყოველ ორ მეზობელს, აღვნიშნოთ  $i$ -ით, ხოლო მეორე მთელელი, რომელიც იმეორებს მოწესრიგების ამ პროცესს  $(n-1)$ -ჯერ  $k$ -ით. თუ ელემენტები თავიდან მოწესრიგებულია, მაშინ  $K$ -ს ციკლი არ შესრულდება და დამთავრებას უზრუნველყოფს  $i$  მთელელი.





ნახ. 5

ბლოკ-სქემაში ბლოკები 2, 3, 4, 5, 6 ქმნიან შიდა ციკლს ხოლო ბლოკები 1, 7, 8 — გარე ციკლს. გამოთვლით პროცესებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც განშტოებად, ასევე ციკლური პროცესების ერთდროულად გამოყენების შემთხვევებს. ამის საილუსტრაციოდ მაგალითები.

მაგალითი 8. ვთქვათ, მოცემულია ფუნქცია

$$y = \begin{cases} \frac{x}{1-x}, & \text{თუ } x < 1 \\ \frac{x+13,5}{x^2+2,1x+5} + |1-x|, & \text{თუ } 1 \leq x < 2. \end{cases}$$


ვიპოვოთ ამ ფუნქციის მნიშვნელობები  $[0; 2]$  შუალედის  $x_i = x_0 + ih$  წერტილებში  $i = 0, 1, \dots, N-1, x_0 = 0, h = 0, 1$ , სადაც  $N = \left[ \frac{2-0}{0,1} \right] = 20$ ;

$y$ -ის გამოსათვლელი ფორმულა შეესაბამება განშტოებად პროცესს, ხოლო ფუნქციის  $N$  მნიშვნელობის გამოთვლა—ციკლურ პროცესს.  $N$  ციკლის ეტალონია.

ალგორითმის შესაბამისი ბლოკ-სქემა გამოსახულია მე-7 ნახაზზე.


განვიხილოთ უფრო რთული მაგალითი.

მაგალითი 9. ვთქვათ, მოცემულია ფუნქცია



ნ.ბ. 6

$$y = \begin{cases} 1 + \frac{x}{1!} + \frac{x^2}{2!} + \dots + \frac{x^n}{n!} + \dots, & \text{როცა } 0 \leq x < 1 \\ \sum_{i=1}^{15} (a_i + x), & \text{როცა } 1 \leq x < 2; \\ x^2 + 1,3, & \text{როცა } 2 \leq x \leq 3; \end{cases}$$




ნახ 7

ვიპოვოთ  $y$ -ის მნიშვნელობები  $[0; 3]$  სეგმენტის  $x$ -ის თანასწორად დაშორებული მნიშვნელობებისათვის  $x_i = x_0 + ih$ ,

$h = 0,01$ ;  $i = 0, 1, 2, \dots, N$ . აქ  $N = 301$ ,  $\varepsilon = 10^{-6}$ .

მოცემული ფუნქციის ბლოკ-სქემა (ნახ. 8) შეიცავს როგორც განშტოებად, ასევე არითმეტიკულ და იტერაციულ ციკლურ პროცესებს.



ნახ. 8

ს ა ვ ა რ ტ ი შ ი ო ე ბ ი

შევადგინოთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითებისათვის შესაბამისო ბლოკ-სქემები:

1. მოცემულია ბესელის ნულოვანი რიგის ფუნქცია

$$I_n(x) = \sum_{k=0}^n \frac{(-1)^k \left(\frac{x}{2}\right)^{2k}}{(k!)^2}$$

გამოთვალეთ მისი მნიშვნელობები შუალედში  $[0, 2]$ ,  $h=0,1$  ბიჯით და  $\varepsilon=10^{-5}$  სიზუსტით.

2. იპოვეთ ნამრავლი  $y=(1+x)(1+2x)\dots(1+nx)$  მოცემული  $n$ -ისა და  $x$ -ისათვის.

8. მოცემულია ფუნქცია

$$y = \begin{cases} x^2 - 1, & \text{თუ } x \geq \frac{1}{2} \\ 1 - x^2, & \text{თუ } x < \frac{1}{2} \end{cases}$$

$0 \leq x \leq 1$ ; გამოთვალეთ  $y(x)$  ფუნქციის მნიშვნელობები მითითებულ შუალედში ბიჯით  $h=0,1$ ;

4. შეადგინეთ  $m=n!$  გამოთვლის ბლოკ-სქემა.

5. მოცემულია  $x_1, x_2, \dots, x_n$ . გამოთვალეთ

$$f_i(x) = \frac{(x-x_1)(x-x_2)\dots(x-x_{i-1})(x-x_{i+1})\dots(x-x_n)}{(x_i-x_1)(x_i-x_2)\dots(x_i-x_{i-1})(x_i-x_{i+1})\dots(x_i-x_n)}$$

სადაც  $i=1, 2, 3, \dots, n$ ;  $n$ —რაიმე რიცხვია.

6. შეადგინეთ მე-5 ამოცანის შესაბამისი ბლოკ-სქემა, იმ შემთხვევისათვის, როცა  $x$  იცვლება  $h$  ბიჯით  $[a, b]$  სეგმენტზე.

7. გამოთვალეთ  $S_n=1^2+2^2+\dots+n^2$ , სადაც  $n=10, 20, 100$ .

8. მოცემულია განტოლება  $ax^2+bx+c=0$ , სადაც  $c \in R, a \in R, b \in R$ . თუ  $D \geq 0$ , იპოვეთ ფესვები და ამოხსენით მათი მნიშვნელობა, ხოლო თუ  $D < 0$ , მაშინ დაბეჭდეთ წინადადება „განტოლებას არ გააჩნია ნამდვილი ფესვები“.

9. ვთქვათ, მოცემულია ვექტორი  $\vec{a}=(a_1, a_2, \dots, a_n)$ , სადაც  $a_i \in R, i=1, 2, \dots, n, n \in N$ . დავეშვათ,  $n=25$ ; იპოვეთ  $x(x_1, x_2, \dots, x_n)$  და  $y(y_1, y_2, \dots, y_m)$  (სადაც  $k \leq n, m \leq n$ ) ვექტორები შემდეგი წესის მიხედვით:

$$x_i = \begin{cases} a_i, & \text{თუ } a_i \geq 0 \\ 1, & \text{თუ } a_i < 0 \end{cases} \quad y_i = \begin{cases} a_i, & \text{თუ } a_i < 0 \\ 1, & \text{თუ } a_i \geq 0 \end{cases}$$

10. ვთქვათ, მოცემულია მატრიცა  $A=(a_{ij}) (i, j=1, 2, \dots, n)$ ,  $a_{ij}$  წინასწარ ცნობილი რიცხვებია. იპოვეთ ვექტორი  $B(b_1, b_2, \dots, b_n)$ , რომლის კომპონენტები გამოითვლება ფორმულით

$$b_i = \sum_{d=1}^n a_{id}, \quad (i=1, 2, \dots, n), \quad n=25.$$

11. ვთქვათ  $a$  და  $b$  მოცემული რიცხვებია; განესაზღვროთ  $x$  და  $y$  შემდეგი ფორმულებით:

თუ  $a \geq b$ , მაშინ  $x=2a+b-1$ ,  $y=0$ , წინააღმდეგ შემთხვევაში  $y=7a+3, 2b+1$ ,  $x=0$ .

12. იპოვეთ  $y = \sqrt[3]{x}$ , ფუნქციის მნიშვნელობები, თუ  $-1 \leq x \leq 3$ , ბიჯი  $h=0,01$ ;  $y$ -ის მნიშვნელობების გამოთვლისას ისარგებლეთ საიტერაციო ფორმულით:

$$y_{n+1} = y_n + \frac{1}{3} \left( \frac{x}{y_n^2} - y_n \right), \quad \varepsilon = 10^{-6}, \quad n=0, 1, 3 \dots,$$

$$y_0 = \frac{x}{3}; \quad y\text{-ის მნიშვნელობის გამოთვლის პროცესი შეწყდეს}$$

მაშინ, როცა

$$|y_{n+1} - y_n| \leq \varepsilon.$$

13. მოცემულია ორი  $\overline{a(a_1, a_2, \dots, a_n)}$  ( $b_1, b_2, \dots, b_n$ ) ვექტორი, სადაც  $a_i, b_i$  და  $n$  წინასწარ ცნობილი რიცხვებია. შეამოწმეთ პირობა:

$$\sum_{i=1}^n |a_i| > \sum_{i=1}^n |b_i|, \quad \text{თუ პირობა სრულდება მაშინ დაიბეჭდოს}$$

$P=1$ , წინააღმდეგ შემთხვევაში,  $P=0$ .

14. მოძებნეთ  $y = \sqrt{x}$  ფუნქციის მნიშვნელობები, როცა

$$x \in [0, 3], \quad h=0,1$$

$y$ -ის გამოთვლისას ისარგებლეთ საიტერაციო ფორმულით

$$y_{n+1} = \frac{1}{2} \left( y_n + \frac{x}{y_n} \right), \quad n=0, 1, 2, \dots; \quad \varepsilon = 10^{-6};$$

$y_0$ -ის მნიშვნელობა შეარჩიეთ შემდეგი დამოკიდებულებიდან:

$$y_0 = \begin{cases} \frac{x}{2}, & \text{როცა } x < 1; \\ 3x & \text{როცა } x \geq 1. \end{cases}$$

$y$ -ის მნიშვნელობის გამოთვლის პროცესი შეწყდეს მაშინ, როცა

$$|y_{n+1} - y_n| \leq \epsilon.$$

15. ვთქვათ, მოცემულია  $a_1, a_2, \dots$ , რიცხვები. დაეთვალათ ამ ელემენტებს შორის დადებითების, უარყოფითებისა და ნულების რაოდენობა.

16. ვთქვათ, მოცემულია  $b_1, b_2, \dots, b_n$ , რიცხვები. ვიპოვოთ ცალკ-ცალკე დადებითი და უარყოფითი რიცხვების ჯამი და დაჯამებული მათი ნამრველი.

17. ვთქვათ, მოცემულია  $n$ -ელემენტიანი მასივი. თუ  $n$  ლუწია, მაშინ ვიპოვოთ მისი საშუალო არითმეტიკულა, ხოლო თუ  $n$  კენტია, მაშინ საშუალო გეომეტრიული.

18. ვთქვათ, მოცემულია  $a_1, a_2, \dots, a_n$  მასივი. მასივის ელემენტებში ბოლოებიდან თანაბრად დაშორებულ წევრებს შეეჯამებოთ და გავყოთ.

19. ვთქვათ, მოცემულია  $a_1, a_2, \dots, a_n$  ელემენტიანი მასივი. მოცემული რიცხვებიდან, თუ პირველი ელემენტი უარყოფითია, მაშინ ვიპოვოთ მოცემული ელემენტების ჯამი, თუ დადებითია, მაშინ ნამრავლი და თუ უდრის ნულს, მაშინ პროცესი დავამთავროთ.

20. ვთქვათ, მოცემულია  $a_1, a_2, \dots, a_n$  ელემენტებიანი მასივი. მოცემული რიცხვებიდან ვიპოვოთ ლუწ რიცხვთა ჯამი და კენტ რიცხვთა ნამრავლი.

#### § 4. ალგორითმული ენის „ფორტრანის“ ძირითადი სიმბოლოები და მათგანობები

ფორტრან-ენის ალფაბეტი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალგორითმის შესაბამისი პროგრამა იწერება უშუალოდ მანქანურ ან რომელიმე შუალედურ ენაზე. ერთ-ერთ ასეთ შუალედურ ენას წარმოადგენს ალგორითმული ენა ფორტრანი.

არსებობს ფორტრან-ენის რამდენიმე ვერსია. შედარებით გავრცელებულს წარმოადგენს ბაზისური ფორტრანი და ფორტრან — IV. ჩვენ შევეხებით ბაზისურ ფორტრანს და ფორტრან IV-ის ზოგიერთ შესაძლებლობებს. როგორც ყველა ენა, ფორტრანიც შედგება სიმბოლოებისა და ალფაბეტისაგან. ენის ალფაბეტს წარმოადგენს ლათინური ალფაბეტის ყველა ასო, აგრეთვე რუსული ასოები, რომლებიც მოხაზულობით განსხვავდებიან ლათინურისაგან, და არითმეტიკული მოქმედების ნიშნები: „+“ შეკრება, „—“ გამოკლება, „\*“ გამრავლება, „/“ გაყოფა, „\*\*“ ახარისხება. გარდა ამისა, ფორტრანში გა-

მოიყენება ბერძნული ასოების ლათინური ტრანსკრიპცია. ასე მაგალითად:

$\alpha$ —alpha

$\gamma$ —gamma

$\beta$ —beta და ა. შ.

ალფაბეტს მიეკუთვნება აგრეთვე პუნქტუაცია „.“ — წერტილი, „:“ — მძიმე, „=“ — ტოლობა, მრგვალი ფრჩხილები „(“ — გახსნილი, „)“ — დახურული ფრჩხილი, შუალედის — ინტერვალის აღმნიშვნელის სიმბოლო „ $\cdot$ “ ან „—“.

რიცხვები. ბაზისურ ფორტრანში გამოიყენება ორი სახის რიცხვი: მთელი (integer ტიპის) და ნამდვილი (real ტიპის).

ათობითი ციფრების ერთობლიობას, რომელიც ჩაწერილია ათობითი წერტილის გარეშე „+“ ან „—“ ნიშნით, ეწოდება მთელი ტიპის რიცხვი. მთელი რიცხვის მნიშვნელობა არ უნდა აღემატებოდეს დასაშვებ მაქსიმალურ სიდიდეს, რომელიც დამოკიდებულია მანქანის ტიპზე. ნამდვილი ტიპის რიცხვებს წარმოადგენენ ათწილადები და ათის ხარისხებად წარმოდგენილი რიცხვები.

მაგალითად, მთელი ტიპისაა + 18; —7; ნამდვილი ტიპისა — 12,5; 18.; 23.  $E2$  (ე. ი.  $23 \cdot 10^3 = 2300$ ), სადაც  $E$  ასოთი აღნიშნულია ხარისხის ფუძე

ცვლადები. ცვლადები ფორტრანში აღნიშნება ასოების ან ასოებისა და ციფრების ერთობლიობით. ცვლადების აღნიშვნელ სიმბოლოთა ერთობლიობას ეწოდება იდენტიფიკატორი. ცვლადი მთელი ტიპისაა, თუ იისი იდენტიფიკატორი  $I, J, K, L, M, N$ . სიმბოლოებიდან ერთ-ერთი მათგანია ან იწყება ამ ასოებით. დანარჩენი ასოებით აღნიშნული ცვლადები მიეკუთვნება ნამდვილ ტიპს.

მაგალითად:  $I, |B|$ —მთელი ტიპის ცვლადებია, ხოლო  $B1; C; A2$ —ნამდვილი ტიპის.

$4AC$  არ არის სწორი აღნიშვნა, რადგან იწყება ციფრით და არა ასოთი.

არითმეტიკული გამოსახულებები. რიცხვებისა და ცვლადების ერთობლიობას, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან არითმეტიკული მოქმედების ნიშნებით და მრგვალი ფრჩხილებით, ეწოდება არითმეტიკული გამოსახულება.

მოვიყვანოთ არითმეტიკული გამოსახულების მაგალითები.

$$A+2; (x * * 2. + 1.) * (3.5 + 1.2 * x)$$



ფორტრანის არითმეტიკულ გამოსახულებაში მოქმედებები იმავე მიმდევრობით სრულდება, როგორც ჩვეულებრივ არითმეტიკულ და ალგებრულ გამოსახულებებში.

სტანდარტული ანუ სისტემური ფუნქციები. ზოგიერთი ფუნქციები, რომელთა მნიშვნელობის გამოთვლას შეესაბამება გარკვეული სახის ოპერატორების მიმდევრობა, შეიძლება წინასწარ იქნეს გაფორმებული სტანდარტული სახით და შენახული მანქანის მეხსიერებაში, ყოველი ასეთი ფუნქციის გამოყენებისას საჭირო არ არის გავიმეოროთ მისი გამოთვლის ალგორითმი; საკმარისია მივუთითოთ ფუნქციის დასახელება და მრგვალ ფრჩხილებში მოვათავსოთ მისი არგუმენტი. ტრიგონომეტრიული ფუნქციებისათვის უნდა გამოვიყენოთ არგუმენტის რადიანული ზომა. ასეთ ფუნქციებს ეწოდება სტანდარტული, ანუ სისტემური.

ფორტრანში გამოიყენება შემდეგი სახის სტანდარტული ფუნქციები:

SQRT(A)—კვადრატული ფესვი A რიცხვიდან;

SIN(A)—A არგუმენტის სინუსი;

COS(A)—A არგუმენტის კოსინუსი;

TAN(A)—A არგუმენტის ტანგენსი

ASIN(A)—A არგუმენტის არკსინუსი;

EXP(A)— $e^A$

ALOG(X)—X ნამდვილი რიცხვის ნატურალური ლოგარითმი

ALOG10(X)—X ნამდვილი რიცხვის ათობითი ლოგარითმი;

ABS(X)—X რიცხვის მოდული;

სადაც თითოეულ შემთხვევაში A წარმოადგენს არითმეტიკულ გამოსახულებას. A გამოსახედა რადიანებში.

მაგალითები:

$$1. \quad y = \sqrt[3]{(2.3 + \sqrt{a+3b})^2}$$

$$y = (2.3 + \text{SQRT}(A+3 * B)) * (2/3.)$$

$$2. \quad z = e^{-2(x+3\mu)^2};$$

$$z = \text{EXP}(-2) * (X+3 * \text{MIU}^2) * * 3$$

$$3. \quad B = |x| \sin(x+1) + 1 * (x^2 - 1)$$

1 თუ ცვლადის აღმნიშვნელი იდენტიფიკატორის ტიპი არ შეესაბამება მის ვნიშვნელობას, საჭიროა ასეთი ცვლადის წინასწარი აღწერა. მაგ. REAL MIU

$$B = \text{ABS}(X) \cdot \text{SIN}(x+1) + \text{ALOG}(X \cdot \cdot 3-1) \cdot \cdot 2$$

ხავეარჯიშოები

ჩაწერეთ შემდეგი გამოსახულებები ფორტრანზე:

$$1. \sqrt{b + \sqrt{b^2 + 2a^2}}$$

$$2. \lg \frac{x^2+1}{x^2+2} \cdot \text{arcsin} \sqrt{1-a} ;$$

$$3. \sqrt[3]{1 + \sin^2 x + \lg^2 y} ;$$

$$4. |a+b| \cdot \frac{c+d}{\sin a} ;$$

$$5. e^{x^2 \sin x} ;$$

$$6. \sin(\ln(1 + e^{\cos^2 x})) ;$$

$$7. \arcsin^2 \frac{1}{1+a^2}$$

$$8. \text{sh} \sqrt{x^2+1} + \text{ch} \frac{1}{x^2+\sqrt{x}} \cdot \text{tg} x, \quad \text{სადაც}$$

$$\text{sh} x = \frac{e^x - e^{-x}}{2},$$

$$\text{ch} x = \frac{e^x + e^{-x}}{2}.$$

$$9. 1 + \text{ctg}^2(\sqrt{x} + e^{2x}) ;$$

$$10. (\sin x)^{\cos x^2} + e^{-\sqrt{x} + \frac{1}{x}}$$

$$11. \frac{\sqrt{b^2 - 4ae} + \sin d}{\cos(\sqrt{c+2})}$$

$$12. e^{-\frac{1}{2}(x-\eta)^2} ;$$

$$13. \frac{1}{b^2} \left( \frac{r}{10} \right)^2 ;$$

14.  $\left(\frac{x}{y}\right)^{-1}$
15.  $\sqrt[4]{x^3}$
16.  $\sin \frac{x}{y} - \sqrt{\frac{(\ln X + \cos x)^2}{2+x} + 1}$  ;
17.  $\operatorname{ctg} x - \operatorname{siu} \sqrt{x^2+1}$  ;
18.  $\frac{(x^2 + \sqrt{x^2+1})^{3/2} + 1}{\sqrt{(x+1)^{5/2} + \cos x}}$  ;
19.  $\sin(x\sqrt{x+1}) - 3 \lg(x+1)$  ;
20.  $\sqrt{\sin^2(x^2+1) + \cos^2(x^2+3,5)}$  ;
21.  $x + \frac{a}{x + \frac{a}{x+a}}$  ;
22.  $\frac{3,75ab+c}{p+q} \cdot \frac{m}{n}$  ;
23.  $\frac{\sin^2(xy+e^x)}{1 + 2,05 \frac{x}{y} + 0,01 e^x}$
24.  $0,1275 \cdot 10^{-3} + 2 \cdot \sin \sqrt[4]{a} - \frac{3}{2} a \ln \frac{a}{5}$ .
25.  $((iy + 2 \operatorname{siu}(r+1) + \sqrt{r-1})^2 + 2 \ln(2+r)) ((r_1 + r_2) + \arcsin(u+v)) \cdot \frac{m}{n}$ .

ოპერატორი. ფორტრან-პროგრამა წარმოადგენს გარკვეული სახის წინადადებების მიმდევრობას, რომელიც შეესაბამება ამოცანის ამოხსნის ალგორითმს. თითოეულ წინადადებას ეწოდება ფორტრან-ენის ოპერატორი. ფორტრანის წინადადებების ჩასაწერად, გარდა ენის ალფაბეტისა გამოიყენება შემდეგი მომსახურე სიტყვები:

IF—თუ, DO—კეთება, STOP—გაჩერება, END—ბოლო, DIMENSION—განზომილება, FUNCTION—ფუნქცია (ჭეპროგრამა), WRITE—წერა, დაბეჭდვა, READ—კითხვა, FORMAT—ფორ-

რატი, GOTO—გადასვლა, RETURN—დაბრუნება, SUBROUTINE—განმეორებადო, CONTINUE—გაგრძელება (ცარიელი ოპერატორი).

თითოეულ ოპერატორს შეიძლება მივცეთ სპეციალური სახელი, რომელსაც ეწოდება ოპერატორის ქდე. ქდე წარმოადგენს ციფრების ერთობლიობას, ამასთან ციფრების რაოდენობა 5-ს არ უნდა აღემატებოდეს. ფორტრან-პროგრამაში ოპერატორები სრულდება ბუნებრივი მიმდევრობით, კერძოდ, ერთი ოპერატორის შემდეგ სრულდება მისი მომდევნო ოპერატორი და ა. შ. თუ გვინდა, რომ ეს მიმდევრობა დაირღვეს, საჭიროა მივმართოთ სპეციალურ ოპერატორს, რომელსაც გადასვლის ოპერატორი ეწოდება.

ფორტრან-ბლანკის აღწერა. ფორტრან-პროგრამა იწერება სპეციალურ ბლანკებზე, რომელიც შედგება 80 სვეტისაგან. თითოეულ სვეტს ეწოდება პოზიცია. 1—5 პოზიცია გამოყოფილია ქდისათვის, ხოლო 7—72 პოზიცია — ოპერატორისათვის. თუ რომელიმე ოპერატორი არ თავსდება ერთ სტრიქონზე (7—72 პოზიციებში), მაშინ საჭიროა ის გადავიტანოთ მომდევნო სტრიქონზე. ამისათვის მე-6 სვეტში უნდა დავსვათ გადატანის ნიშანი, რომლისთვისაც შეიძლება გამოვიყენოთ ენის ნებისმიერი სიმბოლო, შუალედისა და ნულის გარდა, დანარჩენი 73—80 პოზიცია გამოიყენება დამატებითი ინფორმაციისათვის, კერძოდ: სტრიქონების ან ოპერატორების დასანომრავად, შენიშვნის გასაკეთებლად და ა. შ. ერთი ოპერატორისათვის შეიძლება გამოვიყენოთ არა უმეტეს 20 სტრიქონისა (იხ. თანდართული ნიმუში).

ფორტრან-პროგრამას კომენტარის სახით შეიძლება დაერთოს წინადადებები, რომლებიც განსხვავდებიან ოპერატორული წინადადებებისაგან. იმისათვის, რომ მანქანამ გაარჩიოს კომენტარი ოპერატორისაგან, საჭიროა კომენტარს პირველ პოზიციაში დაეწიოს „C“ სიმბოლო.

მინიჭების ოპერატორი. ფორტრან-ენის უმარტივეს ოპერატორს წარმოადგენს მინიჭების ოპერატორი. ის შედგება ორი ნაწილისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ტოლობის ნიშნით. ტოლობის მარცხენა მხარეს იწერება ცვლადი — იდენტიფიკატორი, ხოლო მარჯვენა მხარეს — არითმეტიკული გამოსახულება. მინიჭების ოპერატორი სრულდება შემდეგი წესის მიხედვით: გამოითვლება მარჯვენა მხარეში მდგომი არითმეტიკული გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობა და მიენიჭება მარცხენა მხარის იდენტიფიკატორს.

EC ვთმ ფორტხანი		პროცედა		ფაქტორი №							
ოპერატორის ქვე	C	ოპერატორი									
1	5 6 7 10	03	70 72	73	75	80					
C1	101011	U	T	A	T	J	C	A	R	E	A
	4		X	1	1	1	1				
	210		Y	1	X	1	1	1	Z	1	1
		P	Z	1	1	1	1				
C1											
C1	101010	O	O	A	X	E	H	H	E		
			S	S	M	1	0	1			
			D	0							
			S	S	M	1	S	S	M	1	0
	137		S	T	O	P					
			E	N	D						

მინიკების ოპერატორის ზოგად ფორმულას შემდეგი სახე აქვს:  
 $V = E$ , სადაც  $F$  ცვლადია, ხოლო  $E$  არითმეტიკული გა-  
 მსახულგა.  
 განვიხილოთ მინიკების ოპერატორის მაგალითი  $x = y + z$ . ეს  
 მაგალითი მანქანისათვის წარმოადგენს ინსტრუქციას, რომლის მი-

ზედვით  $z$  ოდენტიფიკატორით აღნიშნულ რიცხვს უნდა დაემატოს  $y$  ოდენტიფიკატორით აღნიშნული რიცხვი და მიღებული შედეგი მიენიჭოს  $x$  ინდენტიფიკატორს.

განვიხილოთ მინიჭების ოპერატორის კიდევ ერთი მაგალითი:  $x = x + 1,3$ . როგორც აღგებრულ გამოსახულებას, მას არა აქვს აზრი, მაგრამ თუ მას განვიხილავთ როგორც ფორტრან ოპერატორს, მაშინ  $x$  ცვლადის მნიშვნელობას დაემატება 1,3 და მიღებული შედეგი იქნება  $x$ -ის ახალი მნიშვნელობა.

ზოგჯერ რაიმე გამოსახულების გამოსათვლელად საჭიროა რამოდენიმე თანმიმდევრული მინიჭების ოპერატორის გამოყენება.

მაგალითად, ვიპოვოთ  $y = \frac{\sqrt{b^2 + 3a} + \sin^2 c}{e + 2,1}$  ფუნქციის

მნიშვნელობა, თუ  $b = 0,15$ ;  $a = 1,165$ ;  $c = 1$ ;  $x = 17,2$ ;

შესაბამისი მინიჭების ოპერატორების მიმდევრობას ექნება ქვემოთ მოცემული სახე:

1	2 . . . 6	6	7 . . . 70 71	72	73 . . . 80
			$B = 0.15$ $A = 1.165$ $C = 1.0$ $X = 17.2$ $Y = (\text{SQRT}(B \cdot \cdot 2 + 3 \cdot A) +$ $\cdot \cdot \sin(c) \cdot \cdot 2) / (\text{EXP}(x) + 2.1)$		

შენი შვნა. იმისათვის, რომ ციფრი—0 (ნული) განვასხვავოთ 0 (n) ასოსაგან, ნულის აღსანიშნავად ვიხმაროთ ვალახაზული ნული 0.

PAUSE, STOP, END, CONTINUE ოპერატორები. როგორც აღვნიშნეთ, ფორტრან-პროგრამა წარმოადგენს ოპერატორების მიმდევრობას. ოპერატორები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: შემსრულებელი და არაშემსრულებელი (აღწერიითი). შემსრულებელი ოპერატორი ტრანსლატორის საშუალებით იცვლება ბრძანებებით, რისგანაც შედგება მანქანურ ენაზე ჩაწერილი პროგრამა, ხოლო აღწერიითი სახის ოპერატორი ტრანსლატორისათვის წარმოადგენს მხოლოდ გარკვეული სახის ინფორმაციას ამა თუ იმ სიდიდეების შესახებ.

ნებისმიერი ფორტრან-პროგრამა ბოლოვდება END ოპერატორით, რომელიც წარმოადგენს არაშემსრულებელ ოპერატორს. END

ოპერატორი ტრანსლატორს აწვდის ინფორმაციას მანქანურ ენაზე გადასაყვანი ოპერატორების დამთავრების შესახებ.

ფორტრან-პროგრამაში შეიძლება გამოვიყენოთ შემსრულებელი STOP ოპერატორი, რომელიც იწვევს მანქანის გაჩერებას, რითაც მთავრდება გამოთვლები, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა პროგრამის შესრულების დროებითი შეჩერება, გამოიყენება PAUSE ოპერატორი. ამ ოპერატორის გამოყენება აუცილებელია იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა მაგნიტური ლენტის გამოცვლა სხვ.

გარდა ამისა, ფორტრან-პროგრამაში გამოიყენება აგრეთვე ცარიელი CONTINUE ოპერატორი. ხშირად ეს ოპერატორი გამოიყენება ციკლის ოპერატორში.

გადასვლის ოპერატორი. ფორტრან-ენაში განიხილება ორი სახის გადასვლა: პირობითი და უპირობო. პირობითი ოპერატორის ზოგად ფორმულას აქვს სახე

$$IF (A) m_1, m_2, m_3$$

სადაც  $IF$  ნიშნავს „თუ“.  $A$  არის არითმეტიკული გამოსახულება, რომელიც უნდა მოვთავსოთ მრგვალ ფრჩხილებში, ხოლო  $m_1, m_2, m_3$  — კდეები.

პირობითი ოპერატორი სრულდება შემდეგი წესის მიხედვით: თუ  $A$  — მნიშვნელობა უდრის ნულს, მაშინ მართვა გადაეცემა ოპერატორს  $m_2$  კდით; თუ  $A$ -ს მნიშვნელობა დადებითია, მაშინ  $m_3$  კდით; ხოლო თუ  $A$ -ს მნიშვნელობა უარყოფითია, მაშინ შესრულდება ოპერატორი  $m_1$  კდით.

ფორტრან-ენაში არსებობს უპირობო გადასვლის ოპერატორის საში მოდიფიკაცია:

- 1) GOTO  $m$ ;
- 2) GOTO ( $m_1, m_2, \dots, m_n$ )  $K$
- 3) GOTO  $L, (m_1, m_2, \dots, m_n)$

პირველი სახის გადასვლის დროს მართვა გადაეცემა ოპერატორს  $m$  კდით. განვიხილოთ მაგალითი:

$$y = \begin{cases} x \sin^2 x + 2,5, & \text{როცა } x < 1; \\ \frac{1+x}{x^2+0,1}, & \text{როცა } x \geq 1. \end{cases}$$

ოპერატორების მიმდევრობას ექნება შემდეგი სახე:

1	2	...	5	6	7
					IF(x-1)1,1,2
	1				y=x * SIN(x) . . . 2 + 7,5
					GOTO 3
	2				y=(1+x)/(x . . . 3 + 0,1)
	3				STOP

მეორე გადასვლის დროს მართვის გადაცემა წარმოებს  $K$ -ს მნიშვნელობის მიხედვით. მაგალითად, თუ  $K=i$ -ს, მაშინ მართვა გადაეცემა ოპერატორს  $m_i$  კლით, სადაც  $i=1, 2, 3 \dots n$ . მესამე ფორმულის შემთხვევაში მართვის გადაცემა ხდება  $L$  კლის მნიშვნელობით. ე. ი. მართვა გადაეცემა  $m_i$  კლის მკონე ოპერატორს, თუ  $L$  უდრის  $m_i$ -ს. მაგალითად, ვთქვათ,  $L$  უდრის 3-ს და GOTO L, (2, 3, 1, 4), მაშინ მართვა გადაეცემა 1 ით დაქდევებულ ოპერატორს. თუ გადასვლის ოპერატორის დროს კდეს წარმოადგენს ცვლადი. მაშინ წინასწარ ASSIGN ოპერატორით ამ ცვლადს უნდა მიენიჭოს რიცხვითი მნიშვნელობა. ASSIGN—ნიშნავს მინიჭებას. მის ფორმულას აქვს სახე ASSIGN  $m$  TO L, სადაც  $m$  არის კდე, ხოლო  $L$ —ცვლადი, მაგალითად,

ASSIGN 2, TO L  
GOTO L, (7, 5, 2)

ამ ოპერატორების შესრულების შემდეგ მართვა გადაეცემა ოპერატორს კლით 2. თუ მოხდება რომ  $L$  გადააქარბებს აღწერილ სიას, მაშინ შესრულდება მომდევნო ოპერატორები.

#### § 5. ლოგიკური ცვლადები და გამოსახულებები

განსხვავებით ბაზისური ფორტრანისაგან, ფორტრან — 4 იძლევა ლოგიკური გამოსახულებების ანალიზის საშუალებას. ლოგიკური გამოსახულებების ჩასაწერად გამოყენებულია ლოგიკური ცვლადები და მუდმივები.

არსებობს ორი სახის ლოგიკური მუდმივი:

.TRUE.—კეშმარტი

.FALSE.—მცდარი

მათი ჩაწერისას აუცილებელია წერტილების დასმა მნიშვნელობის ორივე მხარეს. მნიშვნელობა. TRUE.-ს. შეესაბამება რიცხვი 1, FALSE.-ს კი—0.



ლოგიკური ეწოდება ისეთ ცვლადებს, რომლებიც იღებენ მხოლოდ ორი შესაძლო მნიშვნელობიდან ერთ-ერთს: .TRUE. ან .FALSE.

მსგავსად რიცხვითი ინფორმაციის სპეციკაციებისა ლოგიკური ცვლადებიც მოითხოვენ სპეციფიკირებას. თუ პროგრამა შეიცავს ოპერატორს: LOGICAL F11, GUC, მაშინ პროგრამაში F11 და GUC ცვლადები განიხილება როგორც ლოგიკური, ე. ი. ცვლადები წინასწარ უნდა იქნეს აღწერილი LOGICAL ოპერატორით.

ინფორმაციის გაცვლისას ლოგიკური ინფორმაციის შესაბამისი სპეციფიკაციაა L.W. ამ სპეციფიკაციაში ასო L მიუთითებს იმაზე, რომ ინფორმაცია არის ლოგიკურა, ხოლო W—ცი რიცხვითი, რომელიც მიუთითებს, რომ ერთი მნიშვნელობის დასაბეჭდად ან წასაკითხავად გამოყოფილია W რაოდენობის პოზიცია. წაკითხვისას თუ ერთი მნიშვნელობისათვის განკუთვნილი პოზიციებიდან პირველში წერია T ან F, მაშინ ამ პოზიციების შესაბამის ცვლადებს მიენიჭება მნიშვნელობები შესაბამისად .TRUE. ან .FALSE. დაბეჭდვისას თუ ცვლადების მნიშვნელობაა .TRUE. ან .FALSE. , მაშინ ბოლო პოზიციაში ჩაიწერება შესაბამისად T ან F მაგ. W=4, მაშინ მნიშვნელობები, .TRUE., .FALSE., TRUE. დაიბეჭდება ასეთნაირად:

\_ \_ \_ T \_ \_ \_ F \_ \_ \_ T

ლოგიკური ოპერაციები იყოფიან ორ კლასად:

1. კლასის ოპერაციებია: მიმართების ოპერაციები. მათი გამოყენების დროს ოპერანდებს წარმოადგენენ რიცხვითი სიდიდეები და ხდება მათი შედარება. ამ ოპერაციების ჩვენთვის ჩვეულო აღნიშვნებია:

$>, \geq, <, \leq, =, \neq$ .

ფორტრანში ესენი ჩაიწერება ასე:

- .GT.—რაც ნიშნავს greater then (მეტია ვიდრე)  $>$
- .GE.—greater then or equal to (მეტია ან ტოლი)  $\geq$
- .LT.—less then (ნაკლებია ვიდრე)  $<$
- .LE.—less then or equal to (ნაკლებია ან ტოლი)  $\leq$
- .EQ.—equal to (ტოლია)  $=$
- .NE.—not equal to (არ არის ტოლი)  $\neq$

წერტილების დასმა აქ აუცილებელია.

მაგალითად, ლოგიკური გამოსახულება A.LT.B მიიღებს მნიშვნელობას .TBUE. , როცა  $A=5$  და  $B=7$  და მნიშვნელობას .FALS. , როცა  $A=9$  და  $B=-3$ , საზოგადოდ ორივე ოპერანდი

უნდა იყოს ერთი და იმავე ტიპის, ე. ი. მთელი ან ნამდვილი ტიპის. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე დაუშვებელია ჩანაწერი:

ე. ი. 3 · EQ. I

რადგან 3. არის ნამდვილი, ხოლო I კი მთელი ოპერანდია, გასწორებულ ჩანაწერს ექნება სახე:

3·EQ. I

II კლასის ოპერაციები. როგორც ცნობილია, ბულის ალგებრაში გამოიყენება ლოგიკური ოპერაციები:

კონიუნქცია— $\wedge$

დიზიუნქცია— $\vee$

უარყოფა— $\neg$

ფორტან—4 იძლევა ამ ოპერაციების განხორციელების საშუალებას. მათი აღნიშვნებია:

.AND.—კონიუნქცია.

.OR.—დიზიუნქცია,

.NOT.—უარყოფა.

ამ ოპერაციების ოპერანდებია ლოგიკური ცვლადები, კონსტანტები ან გამოსახულებები.

ოპერაციები .AND. და .OR. მოითხოვენ ორ ოპერანდს, რომლებიც იწერებიან ოპერაციის ნიშნის სხვადასხვა მხარეს. .NOT. ოპერაცია მოითხოვს ერთ ოპერანდს, რომელსაც იწერება .NOT. ოპერაციის შემდეგ. დავუშვათ A და B ლოგიკური გამოსახულებებია: თუ A და B კეშმარტია (.TRUE.), მაშინ A·AND·B კეშმარტია (.TRUE.), ხოლო თუ ერთ-ერთი შეცდარია (.FALSE.), მაშინ აღნიშნული გამოსახულებაც შეცდარია.

A·OR·B იღებს .TRUE. მნიშვნელობას მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ერთ-ერთი ოპერანდი მაინც კეშმარტია. დანარჩენ შემთხვევაში გამოსახულების მნიშვნელობაა .FALSE.

.NOT·A იღებს მნიშვნელობას .TRUE., მაშინ როცა A მნიშვნელობაა .FALSE. და პირიქით

ლოგიკური ოპერაციების შედეგები განისაზღვრება შემდეგი ცხრილით.

ოპერანდები		ოპერაცია		
A	B	.NOT·A	A·AND·B	A·OR·B
T	T	F	T	T

T	F	F	F	T
F	T	T	F	T
F	F	T	F	F

ამ ორი განხილული კლასის ოპერაციების გამოყენება შეიძლება ერთსა და იმავე გამოსახულებაში.

მაგალითად: .NOT. (A. EQ. B. AND. C. LE. D)

საზოგადოდ, გამოსახულების გამოთვლა ხდება ფრჩხილებით მოცემული მიმდევრობის მიხედვით, ხოლო თუ ფრჩხილები არაა გამოყენებული გამოსახულების ჩასაწერად, მაშინ გამოთვლა ემორჩილება შემდეგი იერარქიით მოცემულ მიმდევრობას:

1. ფუნქციის გამოთვლა. მაგ.  $\ln$ ,  $\cos$ ,  $\sin$
2. • •
3. \* , /
4. + , -
5. .GT. , .GE. , .LT. , .LE. , .EQ. , .NE.
6. .NOT.
7. .AND.
8. .OR.

ლოგიკური ოპერატორი. უმარტივესი ლოგიკური ოპერატორი არის მინიკების ოპერატორი. მისი ზოგადი სახეა:

ცვლადი = ლოგიკური გამოსახულება  
 მაგალითად:  $S \wedge N = 5 .EQ. 1 .AND. .NOT. 6 .GT. K$

როცა  $I=5$  და  $K=7$ , მაშინ ცვლადი  $S \wedge N$  განიხილება როგორც .TRUE. მნიშვნელობის მატარებელი; ხოლო როცა  $I=4$  და  $K=9$  მაშინ, .FALSE. მნიშვნელობის მატარებელი.

ფორტრან 4-ში გამოიყენება ლოგიკური პირობითი გადასვლის ოპერატორი, რომლის ზოგადი სახეა:

IF(b)S

სადაც b არის ლოგიკური გამოსახულება, ხოლო S კი რაიმე ოპერატორი, განსხვავებული ციკლისა და პირობითი ოპერატორებისაგან.

ეს ოპერატორი სრულდება შემდეგნაირად: ჯერ გამოითვლება გამოსახულების მნიშვნელობა, თუ  $b = .TRUE.$  მაშინ სრულდება S ოპერატორი, შემდეგ კი es ოპერატორი, რომელიც უშუალოდ მოს-

ღვეს IF ოპერატორს, ხოლო თუ  $b = \text{FALSE.}$ , მაშინ S ოპერატორი გამოითრევა და სრულდება IF ოპერატორის მომდევნო ოპერატორი (მომდევნო სტრიქონი). ბევრ შემთხვევაში ლოგიკურ პირობით ოპერატორს შეუძლია იმავე ფუნქციების შესრულება, რაც არითმეტიკულს. მშგალითად, როდესაც საქმე გვაქვს ინდექსის შემოწმებასთან:

2	IF(1-6) 2,2,3 X(I)=(                    ) ..... ..... .....	3	IF(I. GT. 6) GOTO 3 X(I)=(                    ) ..... ..... .....
3	პროგრამის გაგრძელება	3	პროგრამის გაგრძელება

ამრიგად, ამ შგალითში არ ჩანს თუ რომელი ოპერატორი სარგებლობს უპირატესობით, მაგრამ არსებობენ ამოცანები, რომელთა ამოხსნისას უპირატესობა ენიჭება ლოგიკურ ოპერატორს. მაგ.:

$$y = \begin{cases} \frac{A}{x} + \frac{B}{Q} + \frac{C}{z}, & \text{როცა } X \neq \emptyset \wedge Q \neq \emptyset \wedge z \neq \emptyset \\ A+B+C, & \text{როცა } X = \emptyset \vee Q = \emptyset \vee z = \emptyset; \end{cases}$$

არითმეტიკული ოპერატორის გამოყენებით, პროგრამაში გვექნება ასეთი ნაწილი:

2	IF(x) 1,2,1 y=A+B+C GOTO 100
1	IF(Q) 3,2,3
3	IF(Z) 4,2,4
4	y=A/x+B/Q+C/Z
100	პროგრამის გაგრძელება

ლოგიკური ოპერატორის გამოყენებით, პროგრამის შესაბამის ნაწილს ექნება სახე:

IF(X.NE.0.AND.Q.NE.0. .AND.Z.NE.0.) GOTO1

Y=A+B+C

GOTO 2

1 =A/X+B/Q+C/Z

2 პროგრამის გაგრძელება

ამ მაგალითიდან ჩანს, რომ X, Q, Z-ის მსგავსი შესამოწმებელი ცვლადების რიცხვი რომ გავეწვარდა, ლოგიკური ოპერატორის უპირატესობა აშკარა გახდებოდა. მოცემულ შემთხვევაში უპირატე გამოხეატება იმით, რომ მეორე შემთხვევაში დაგვიკირდა ორი ოპერატორით ნაკლები, ვიდრე პირველ შემთხვევაში.

განვიხილოთ ლოგიკური გამოსახულების ფორტრანზე ჩაწერის მაგალითები:

მათემატიკური ჩანაწერი

$\operatorname{tg}x \leq \operatorname{tg}y$

$i^2 > (2^n + 1)$

$a \wedge b \vee c$

$i \leq 1 \vee k \leq 0$

$\sqrt{x^2 + y^2} = 18.0$

$\neg a \wedge \neg b$

$(a \vee b) \wedge (c \vee d)$

$a > b$

$(\cos x + \sin x) \leq P$

ფორტრანზე ჩანაწერი

TAN(x).LE.TAN(y)

I \* \*k.GT.(2 \* \*N+1)

A.AND.B.OR.c

1.LE.1.0R.k.LE.0

.NOT.(X \* \*2+y \* \*2.EQ.18.)

.NOT.LA.AND, .NOT.LB

(A.OR.B).AND.(c.OR.D)

A.GT.B

(cos(X)+sin(X)).LE.P

განვიხილოთ მაგალითები:

$$y = \begin{cases} 1,23, & \text{როცა } k=1, \\ -17,43, & \text{როცა } k=2 \end{cases}$$

ვთქვათ k-ს მნიშვნელობა შეგვუქვს პერფორმარათებიდან, დევუშვათ, k-ს აქვს 1 ტოლი მნიშვნელობა, შესრულდება კომპერატორი კლით 5

	GOTO (6,6), K
5	Y=1,2,3 GOTO 7
6	Y=-17,43
7	STOP

შეადგინოთ შემდეგი ალგორითმის შესაბამისი ფორტრან-პროგრამა:


$$f = \begin{cases} 3(x^2+1)+x, & \text{როცა } x < 1, \\ x+1, & \text{როცა } 1 \leq x \leq 2, \\ x^2+1, & 2,3 \leq x \leq 3; \\ x \in [0;3], h=0,1 \end{cases}$$

```

X=0
2 F=3*(X*.02+1)+X
6 X=X+.01
  IF(X-1)2,3,3
3  IF(X-2)4,4,5
4  F=X-1
  GOTO 6
5  IF(X-3)7,7,8
7  F=X*.02+12,3
  GOTO 6
8  STOP
  END

```


განვიხილოთ განშტოებადი სტრუქტურის ფრაგმენტები და შევცვალოთ ფორტრან-ოპერატორებით.



```

IF(X.LT.1)Y=SQRT(1-X * X)
WRITE(6,2)Y


```



```

IF(X.LT.2)GOTO 3
v=x/(x+3,2)
3 WRITE(6,9)Y

```



```

IF(x LT.3)GOTO 4
y=x * x+1.7
GOTO 5
4 y=SQRT(x * * 2+2.5)
5 WRITE(6,7)Y

```

ნახ. 8<sup>o</sup>

შენიშვნა. 5-ით დაკლდეებული WRITE(6,7)F. ოპერატორი ახდენს y ცვლადის მნიშვნელობის დაბეჭვდაა 7 ით დაკლდეებულ ოპერატორში მითითებულ ფორმის მიხედვით. ამ ოპერატორების დანიშნულება და დაწვრილებითი აღწერა მოცემული იქნება მომდევნო პარაგრაფებში.<sup>1)</sup>

ციკლის ოპერატორი. ციკლის ოპერატორი შეესაბამება ციკლურ პროცესებს. ზოგად ოპერატორს აქვს სახე

$$DO \text{ m } I = A, B, C$$

სადაც A, B, C, მთელი რიცხვებია; I-ს ეწოდება ციკლის პარამეტრი, რომელიც თვის ციკლის განმეორებათა რაოდენობას, A არის პარამეტრის საწყისი მნიშვნელობა; B—საბოლოო მნიშვნელობა. C —I პარამეტრის ცვლილების ბიჯი; m—ციკლის მუშა მაწილის ბოლო ოპერატორის კდე; DO—შესრულება; ციკლის ოპერატორი სრულდება შემდეგი წესის მიხედვით: I=A-სათვის შესრულდება DO ს მომდევნო ყველა ოპერატორი m-ით დაკლდეებული ოპერატორის ჩათვლით, ციკლი ბრუნდება თავიდან: პარამეტრი მიიღებს I=I+C მნიშვნელობას. თუ I≤B, მაშინ განმეორდება იმავე ოპერატორების მიმდევრობა და ა. შ. . თუ I>B-ზე, მაშინ გამოითრევა DO-ს შემდეგ დაწვრილი ყველა ოპერატორი m-ით დაკლდეებული ოპერატორის ჩათვლით და მართვა გადაეცემა m-ის მომდევნო ოპერატორს.

<sup>1)</sup> წაკითხვისა და დაბეჭდვის ოპერატორები შეიცავს წაკითხვის ან ბეჭდვის მოწყობილობის არხის ნომერს, რომელიც DOS-ES სისტემაში არის შესაბამისად 1 და 3, ხოლო UC-სისტემაში კი—5 და 6.

შეადგინოთ  $n=m!=1 \cdot 2 \cdot \dots \cdot m$  ალგორითმის შესაბამისი პროგრამა, როცა  $m=10$ .  $I=1$ ,  $I=I+1$ ,  $I \leq 10$  გამოსახულებების შესაბამისი ბლოკები იცვლება ციკლის ოპერატორით.

```

      N=1
      DO 1 I=1,10
1     N=N * I
      STOP
      END
  
```

მასივის ალწერა. ვთქვათ. მოცემულია ხუთი რიცხვი: 17; -1,05; 7,13; 117,115; 12,125. რიცხვების ეს ერთობლიობა აღვნიშნოთ X-ით და ვუწოდოთ მას მასივი. მასივში შემაჯალ ყოველ რიცხვს ეწოდება მასივის ელემენტი. ფორტრან-ენაში მასივის ალწერა ხდება DIMENSION ალწერითი ოპერატორით. მის ზოგად აღწერას აქვს შემდეგი სახე: DIMENSION X(m, n, k), Y(I, j).

X-ით და y-ით აღნიშნავენ მასივებს, ხოლო m, n, k, I, j, რიცხვებში გვიჩვენებენ განზომილებას.

ზემოთ მოყვანილ მაგალითში მასივის შესაძენ ელემენტია  $x(3) = +7.13$  და ა. შ. აღნიშნული მასივის ალწერას აქვს შემდეგი სახე: DIMENSION x(5).

პროგრამაში გამოყენებული ყოველი მარტივი ცვლადისათვის (უინდექსო ცვლადისათვის) ავტომატურად გამოიყოფა მანქანის მეხსიერებაში თითო უჯრედი, მაგრამ თუ პროგრამაში გვაქვს მასივი, მაშინ აუცილებელია წინასწარ ამ მასივის ალწერა, რომლის საშუალებით თითოეული ელემენტისათვის გამოიყოფა ადგილი მანქანის მეხსიერებაში. „DIMENSION“ ოპერატორი არის პროგრამის საწყისი ოპერატორი.

შენიშვნა. მასივის ინდექსი არ შეიძლება იყოს ნული. მასივების ალწერის საილუსტრაციოდ განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი. ვთქვათ, მოცემულია მატრიცები

2. ვუჩვენოთ სხვაობა აბსოლუტურ და ჩასატვირთ მოდულებს შორის.

აბსოლუტური ვუწოდოთ მოდულს, რომელიც მიიღება რედაქტორებს შედეგად და გამიზნულია შესრულებინათვის ერთი კონკრეტული მისამართიდან, ხოლო ჩასატვირთი შეიძლება ჩატვირთული იქნეს მეხსიერების ნებისმიერი მისამართიდან, რის გამოც ამ უკანასკნელის ფორმატი ძალზე ახლოა ობიექტური მოდულების ფორმატთან. ამ უკანასკნელისათვის პროგრამის ჩატვირთვისას სხვადასხვა წერტილიდან ხდება იმ მნიშვნელობათა გადაამისამართება, რომლებიც იცვლებიან პროგრამის გადაადგილებისას მეხსიერებაში.

თუ ტერმინის სიზუსტეს არ დავიცავთ, ზოგადად პროგრამი-

რება—ეგმ-ისათვის პროგრამის შედგენაა, მაგრამ ეს განმარტება არ არის ზუსტი. ერთიანი სისტემის ეგმ-ისათვის, FORTRAN, II/1 ან სხვა რომელიმე ენაზე ჩაწერილი პროგრამის გარდა, საკიროა პროგრამისტმა შეადგინოს, დავალებათა მართვის ენაზე, მართვის ოპერატორები, რომელთაგან ზოგიერთი სტანდარტულია, ზოგი კი დამოკიდებულია პროგრამული ენის და ამოცანის სპეციფიკაზე.

მხოლოდ ასეთი ერთობლიობაა საკმარისი, რომ ეგმ-მა შეასრულოს სასრული რაოდენობის გამოთვლები, აღნიშნულ ერთობლიობას ეწოდება დავალება (პაკეტი).

ამრიგად, პროგრამირება წარმოადგენს დავალების მომზადებას ეგმ ისათვის.

ძახიერების საწყისი მისამართები მუდმივად დაკავებულია ოპერაციული სისტემის ერთ-ერთი კომპონენტით, რომელსაც სუპერვიზორი ეწოდება. მეხსიერების დანარჩენი ნაწილი გამოიყენება ერთი ან რამდენიმე პრობლემური პროგრამისათვის. სისტემის ფუნქციონერების დაწყებისას, მართვას ლებულობს სუპერვიზორი, რომელიც დროის გარკვეულ მომენტისათვის უზრუნველყოფს პრობლემური პროგრამის შესრულებას.

ამოცანა შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ცალკეული ნაწილისაგან—პროგრამისაგან(მოდულისაგან), თითოეული მოღული ერთმანეთისაგან გამოყოფილია. მათი ტრანსლაცია წარმოებს ცალკე. ტრანსლაციის შედეგი ობიექტურ მოდულს წარმოადგენს. იმისათვის, რომ ამოცანა გამოთვლით მანქანაზე ამოგხსნათ, ვიყენებთ ოპერაციულ სისტემას, რომელიც შედგება გარკვეული სახის მმართველი ბარათებისაგან, რომელთაგან ზოგიერთი წარმოადგენს სტანდარტულს, ზოგიერთი კი დამოკიდებულია ამოცანაზე. ამ დავალებით ბარათებით წარმოებს მიმართვა ე. წ. ოპერაციული სისტემაზე, რომელიც ახდენს პროგრამის ტრანსლაციის და ამოცანის შემდგომი მსვლელობისადმი კონტროლს. EC ოპერაციული სისტემის მმართველი ოპერატორები იწყება ორი დახრილი ხაზით //, გარდა ოპერატორისა / \*და/ჯ. ოპერაციული სისტემის ოპერატორების ბარათებს და ამოცანის პროგრამა საწყის მონაცემებთან ერთად დავალაგოთ შემდეგი მიმდევრობით.

//—JOB <ამოცანის სახელწოდება>  
//—OPTION LINK  
//—ESEX FORTRAN

ძირითადი პროგრამის შესაბამისი ბარათები

| •  
|| —EXEC FORTRAN

## ქვეპროგრამის შესაბამისი ბარათები

```
| *  
|| — EXEC LNKEDT  
|| EXEC  
საწყისი მონაცემები  
| *  
/f
```

ამ ბარათების ერთობლიობას ეწოდება პაკეტი, სადაც | JOB <პროგრამის სახელი> არის პირველი მმართველი ოპერატორი, რომელსაც მანქანა მოჰყავს საწყის რეჟიმში და პროგრამას ანიჭებს მითითებულ სახელს. ის ამოცანის პაკეტში ყოველთვის არის პირველი ბარათი. დასახელებაც შეიძლება ავირჩიოთ ნებისმიერი იდენტიფიკატორი, მხოლოდ სიმბოლოების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რვას.

ოპერატორი || OPTION <რეჟიმი> აწესრიგებს პროგრამის მუშაობის რეჟიმს: თუ <რეჟიმი> არის.

LIST—მაშინ SYSLST-ზე დაიბეჭდება საწყისი ფორტრან-პროგრამა, დიაგნოსტიკური მითითებები<sup>1</sup> და მენსიერების განაწილების ცხრილი:

NOLIST უარყოფს LIST რეჟიმს

LINK—გვიჩვენებს რომ ფორტრან-ტრანსლატორით მიღებული ობიექტური მოდული უნდა ჩაიწეროს SYSLNK-ზე რედაქტირებისათვის. იმისათვის, რომ ჩატარდეს ტრანსლაცია და რედაქტირება, საჭიროა აღნიშნული რეჟიმი წინ უსწრებდეს EXEC FORTRAN ოპერატორს:

NOLINK—უარყოფს LINK რეჟიმს;

DECK—მაშინ ობიექტური მოდული გადართანება SYSPLH-ზე

WODEC—უარყოფს DECK რეჟიმს;

CATAL—რედაქტირების შემდეგ აწარმოებს აბსოლუტური მოდულის ბიბლიოთეკაში კატალიზაციას მითითებული სახელწოდებით PHASE ოპერატორთან ერთად. მხოლოდ ეს რეჟიმი უნდა უსწრებდეს || EXEC FORTRAN ოპერატორს. CATAL რეჟიმი ავტომატურად უზრუნველყოფს LINK რეჟიმს; ERRS—მაშინ SYSLST-ზე დაიბეჭდება ფორტრან-პროგრამა დაშვებული სინტაქსური შეცდომები, ხოლო არ ამოიბეჭდება მენსიერების განაწილება და საწყისი პროგრამის სწორი ოპერატორები, ამ ოპერატორით გამოყენებას მაშინ აქვს აზრი, როცა მიეთითება რეჟიმი NOLIST:

<sup>1</sup> ტრანსლატორის შეტყობინება ოპერატორში დაშვებული შეცდომის შესახებ აღნიშნება ფულადი ერთეულის ნიშნით, რომელიც ამ სახელმძღვანელოში შეცდომის სიმბოლოა.

## NOERRS—უარყოფს ERRS რეივს.

ოპერატორი ||—EXEC FORTRAN გამოიძახებს ბაზისურ ფორტრან-ტრანსლატორს. ოპერატორი | • გვიჩვენებს ფაილის მოდულის დაბოლოებას, ე. ო. ცალკეული პროგრამა ან საწყისი მონაცემები გრძელდებაგან გაბოლოებულია ამ ოპერატორით. ოპერატორი | EXEC LNKEDT იწყებს რედაქტირებას, ხოლო ოპერატორი | EXEC კი პროგრამის შესრულებას. ოპერატორი f გვიჩვენებს ამოცანის დასასრულს და ყოველთვის წარმოადგენს ბოლო ბარათს.

ოპერაციული სისტემა (OS). ეს ოპერაციული სისტემა არის პროგრამათა კომპლექსი, რომელიც შედგება სხვადასხვა დანიშნულების შქონე ოპერატორებისაგან. (OS) ოპერაციული სისტემა ემსახურება ყველას, ვისაც საკმე აქვს ეგზ-ის გამოყენებასთან: პროგრამისტებს, ოპერატორებს და მომსახურე პერსონალს. პროგრამისტი ახდენს ამოცანის დაყოფას ნაწილებად, ხოლო (OS) სისტემა კი პროგრამისტს საშუალებას აძლევს: მოახდინოს თითოეული ნაწილის კოდირება მანქანურ ენაზე, შემდგ კი გააერთიანოს ეს ნაწილები შესასრულებლად ხზა პროგრამის სახით. გამზადებული პროგრამა მოათავსოს სისტემურ ბიბლიოთეკაში სათანადო სახელით და მხოლოდ ამ სახელზე მითითებით შესძლოს მასზე მიმართვა; ჩაატაროს პროგრამის გამართვის ავტომატიზაცია; გამოიყენოს შეყვანილი—გამოყვანის სტანდარტული პროცედურები მონაცემების მუშაობის დროს; შეასრულოს პროგრამა უშუალოდ მისი ტრანსლიაციის შემდეგ.

EC—ტიპის მანქანებისათვის ოპერაციული სისტემა ჩაწერილია მაგნიტურ დისკებზე და მას ეწოდება დისკური ოპერაციული სისტემა |DOC/EC|. ოპერაციული სისტემა დიდ შესაძლებლობებს უქმნის მანქანაზე მომსახურე ოპერატორს გამოთვლითი პროცესის მართვისათვის; ამ შემთხვევაში ოპერატორის მოქმედება მინიმუმამდეა დაყვანილი.

სისტემა მომსახურე პერსონალს საშუალებას აძლევს განახორციელოს მუდმივი კონტროლი გამოთვლელი მანქანის მდგომარეობაზე.

ოპერაციული სისტემა შედგება პროგრამული კომპონენტებისაგან, რომლებიც ქმნიან ორ ჯგუფს: მმართველ და დამმუშავებელ პროგრამებს. მმართველი პროგრამის დანიშნულებაა მოახდინოს დავალებების, პროგრამების შესრულების თანმიმდევრობა და მონაცემების მართვა.

დამმუშავებელი პროგრამებია ტრანსლიატორები, გამართვის



საშუალებებმა, მომსახურე პროგრამები (ბიბლიოთეკარი, რედაქტორი და სხვ.) ინფორმაციის ერთი მატარებლიდან მეორეზე მონაცემების გადაწერის პროგრამები და ა. შ. დასამუშევრებელი პროგრამებს მიეკუთვნება პრობლემური პროგრამები, ე. ი. მომხმარებლის მიერ დაწერილი პროგრამები.

იმისათვის, რომ გამოთვლეღმა მანქანამ შეისრულოს რაიმე საშუაო, ოპერაციულმა სისტემამ უნდა მიიღოს (პროგრამისტიისაგან ან ოპერატორისაგან) დავალება. ყოველი დავალება დამოუკიდებელია სხვა დავალებისაგან და არ შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვა დავალების შესრულებაზე; ეს კი საშუალებას გვაძლევს შევასრულოთ ისინი პარალელურად.

დავალება აღიწერება მმართველი ოპერატორების საშუალებით, დავალება, როგორც წესი, შედგება რამდენიმე მმართველი ოპერატორისგან, რომლებიც განსახლებრავენ, მაგალითად: დავალების სახელს, დავალების დასაწყისს და ბოლოს, პროგრამის დასახელებას და ა. შ. რამოდენიმე დავალება შეიძლება დაჯგუფებული იყოს ერთ პაკეტად და იგი ქმნიდეს დავალებათა ნაკადს. თუ დავალება არ ქმნის პაკეტს, მაშინ მას ერთჯერადი დავალება ეწოდება.

პროგრამისტის გათვალისწინებით დავალება შეიძლება დაყოფილი იყოს ბიჯებად. თითოეული ბიჯი სრულდება თანმიმდევრობით და ყოველი მომდევნო ბიჯის შესრულება დამოკიდებულია წინა ბიჯის წარმატებით შესრულებაზე. მაგალითად, დავალება, რომელიც შეიცავს ტრანსლაციას, რედაქტირებას და პროგრამის შესრულებას შედგება სამი ბიჯისგან.

ოპერაციული სისტემის მმართველი პროგრამა, ორგანიზაციის უკეთებს დავალებათა მიღებას; მათ კონტროლს, დავალების გაშვებას და ავტომატურ გადასვლას შემდგომ დავალებაზე.

მმართველი პროგრამის ყველა ეს ფუნქცია გაერთიანებულია ერთი სახელით—დავალებათა მართვა. იმისათვის, რომ ამოცანა ამოხსნილ იქნეს, სისტემამ მისთვის უნდა გამოყოს საჭირო რესურსები: ძირითადი და გარე-მეხსიერება, შეყვანა-გამოყვანის მოწყობილობა, პროცესორის დრო ა. შ.

ამოცანა შეიძლება ამოხსნილ იქნეს ერთპროგრამულ და მულტიპროგრამულ რეჟიმში.

ერთპროგრამულ რეჟიმში გამოთვლელი მანქანა ხსნის მხოლოდ ერთ ამოცანას. ამასთან მანქანის ყველა რესურსი (ძირითადი მეხსიერება, შეყვანა-გამოყვანის მოწყობილობა) ამ ამოცანის განკარგულებაში იმყოფება.

მულტიპროგრამულ რეჟიმში გამომთვლელ მანქანას ერთდროულად შეუძლია ამოხსნას რამოდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ამოცანა. ამასთან ოპერაციულმა სისტემამ საჭიროა გაანაწილოს რესურსები სხვადასხვა პროგრამებს შორის.

EC ტიპის მანქანის ოპერაციული სისტემა უზრუნველყოფს ერთდროულად სამი პროგრამის შესრულებას. ოპერაციული სისტემა პროგრამისტს საშუალებას აძლევს ისარგებლოს სტანდარტული შეყვანა-გამოყვანის პროცედურებით. რომლებიც აადვილებენ მონაცემებთან მუშაობას.

იმისათვის, რომ დავამუშავოთ მონაცემები, საჭიროა განვახორციელოთ მათი შენახვა, მოძებნა, ინფორმაციის მატარებლიდან მეხსიერებაში გადაგზავნა და ძირითადი მეხსიერებიდან ინფორმაციის მატარებელზე გადაცემა.

დასამუშავებელი მონაცემები წარმოადგენენ ინფორმაციის ლოგიკურ ჩანაწერს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჩანაწერის სტრუქტურა განისაზღვრება ამოცანის დაპროექტების დროს. ასევე განისაზღვრება ჩანაწერების ფორმატები, ჩანაწერების ორგანიზაცია ფიზიკურ ბლოკებში, ცალკეული ჩანაწერების შენახვის ხერხები და მოძებნა.

ყოველივე ამის ასრულებს პროგრამა „მონაცემების მართვა“, რომელიც შედის ოპერაციული სისტემის შემადგენლობაში.

ოპერაციული სისტემის პროგრამათა ერთიანობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაცემების მართვას, წარმოადგენს შეყვანა-გამოყვანის მართვის სისტემას. ჩანაწერების ერთობლიობას, რომლებიც გაერთიანებულია რაიმე საერთო ნიშან-თვისებით, უწოდებენ მონაცემების ფაილს.

მონაცემების ფაილი განლაგდება გარე მეხსიერების მოწყობილობაზე. გარე მეხსიერების სტანდარტულ ბლოკს, მაგალითად, მაგნიტურ ლენტს, მაგნიტური დისკის პაკეტს და ა. შ., უწოდებენ ტომს. ერთი ტომი შეიძლება შეიცავდეს რამოდენიმე ფაილს და ქმნის მრავალფაილიან ტომს. მონაცემების ფაილის მახასიათებლები, რომლებიც სისტემას საშუალებას აძლევენ გამოიციონ ეს ფაილი არის ფაილის სახელი, მისი საზღვრები, ფორმატი და ა. შ. ისინი მოთავსებულია სპეციალურ ბლოკებში, რომელთაც ფაილის ქდეები ეწოდება.

თანამედროვე გამომთვლელ მანქანებთან შეიძლება მიერთებული იყოს დიდი რაოდენობის შეყვანა-გამოყვანის მოწყობილობები.

სხვადასხვა მანქანაზე გარე მოწყობილობების რაოდენობა არის სხვადასხვა. ასევე შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან ამ მოწყობილობების ფიზიკური მისამართები.

იმისათვის, რომ ოპერაციული სისტემის კომპონენტები და მომხმარებელი პროგრამები დამოუკიდებელი იყვნენ მოწყობილობების კონკრეტული ფიზიკური მისამართებისაგან. შემოღებულია ლოგიკური მოწყობილობის ცნება, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დადგენილია სიმბოლურ სახელად სტანდარტული ნაკრები, რომელთაც პროგრამისტი იყენებს საწყის პროგრამაში, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა გარე მოწყობილობაზე მიმართვა.

ამრიგად, პროგრამაში მითითებულია ლოგიკური მოწყობილობა და საჭირო არ არის მოწყობილობის კონკრეტული ფიზიკური მისამართები, რომლებიც დაენიშნებიან ლოგიკურ მოწყობილობებს უშუალოდ პროგრამის შესრულების წინ.

ლოგიკური მოწყობილობის აღსანიშნავად გამოიყენება სიმბოლური სახელი, რომელსაც აქვს SYSXXX-ის სახე, სადაც XXX შეიძლება მიიღოს განსაზღვრული ასოითი მნიშვნელობა 000-დან ლოგიკური მოწყობილობის მაქსიმალურ რიცხვამდე. ლოგიკური მოწყობილობის მაგალითებს წარმოადგენს შემდეგი მოწყობილობები:

SYSREZ—დამახსოვრების მოწყობილობა დისკებზე, სადაც მანქანის მუშაობის დროს მუდმივად ინახება ოპერაციული სისტემა (სისტემის რეზიდენტი).

SYSRDR—მოწყობილობა, რომელსაც გამოიყენებს მმართველი პროგრამა დეველბათა მმართველი ოპერაციების შესაყვანად.

SYSIPT—მოწყობილობა მონაცემების შესაყვანად (სისტემური შეყვანა).

SYSPCH—მოწყობილობა ინფორმაციის გამოსაყვანად პერფორმანსებზე (სისტემატური პერფორატორი)

SYSLIST—მოწყობილობა მონაცემების საბეჭდ მანქანაზე გამოსაყვანად.

SYSLOG—ოპერატორთან კავშირის მოწყობილობა. ჩვენს მიერ ჩამომთვლილი სისტემური ლოგიკური მოწყობილობები გვესპიროებიან მმართველი პროგრამის მიშობისათვის. გარდა ამისა, ორსებობს მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენებიან ოპერაციული სისტემის სხვა კომპონენტების მიერ.

პროგრამის მომზადებისა და შესრულების ეტაპებზე. პროგრამას, რომელიც გადატანილია ინფორმაციის რაიმე მატარებელზე, შავალითად, პერფორმანსებზე ეწოდება საწყისი მოდული.

საწყისი მოდული ოპერაციულ სისტემაში განიცდის დამუშავების შემდეგ ეტაპებს

ტრანსლაცია. ტრანსლაციის შედეგად საწყისი მოდული გარდაიქმნება ობიექტურ მოდულში, რომელიც წარმოადგენს შუა-

ლედურ პროგრამულ მოდულს და საერთოა ყველა ტრანსლაციისათვის. პროგრამირების საწყისი ენის სპეციფიკა ტრანსლაციის შემდეგ იკარგება, მაგრამ ობიექტური მოდული არ არის მანქანური პროგრამა, იგი არ არის განუთვნილი უშუალო შესრულებისათვის, რადგანაც შეიძლება შეიცავდეს სიმბოლურ მისამართებს და სხვა რაღაც ინფორმაციას, ობიექტურმა მოდულმა უნდა გაიაროს გარდაქმნის კიდევ ერთი ეტაპი.

რედაქტირების ეტაპი. ამ ეტაპზე მოდული ჯამეშავდება პროგრამა რედაქტორზე. ამ ეტაპის მიზანია შესრულებისათვის მზა პროგრამული ფაზების მიღება. გარდაქმნილ მოდულს ეწოდება აბსოლუტური მოდული, ანუ პროგრამული ფაზა. აბსოლუტურ მოდულში მითითებულია მეხსიერების ის მისამართები, სადაც უნდა მოხდეს ამ პროგრამული ფაზის განაწილება. მეხსიერებაში აბსოლუტური მოდულის განაწილების ფუნქციებს ასრულებს პროგრამა დამტვირთავი. ამის შემდეგ იწყება პროგრამის შესრულება.

იმისდა მიხედვით, თუ პროგრამები ოპერაციული სისტემაში დამუშავების რომელ ეტაპზე იმყოფება, შეიძლება შენახულ იქნეს შესაბამის ბიბლიოთეკაში. ოპერაციულ სისტემაში არსებობს სამი სახის ბიბლიოთეკა:

1. საწყისი მოდულების ბიბლიოთეკა—იგი შეიცავს პროგრამებს საწყის ენებზე.

2. ობიექტური მოდულების ბიბლიოთეკა—იგი შეიცავს ობიექტურ მოდულებს, რომლებიც წარმოადგენენ საწყისი მოდულების ტრანსლაციის შედეგებს.

3. აბსოლუტური მოდულების ბიბლიოთეკა. იგი შეიცავს შესასრულებლად გამზადებულ პროგრამულ ფაზებს.


ამრიგად პროგრამის დამუშავების ეტაპები შეიძლება ვაჩვენოთ შემდეგი სქემის მიხედვით: (ნახ.15).


რედაქტირების ეტაპით მთავრდება პროგრამის მომზადების პროცესი. ამის შემდეგ ის მზადაა შესრულებისათვის. შემდეგი ეტაპია ამოცანის ამოხსნა.

იმისათვის, რომ პროგრამა შესრულდეს, საჭიროა მომზადებულ იქნეს დავალება (ნახ. 16).

როგორც ვიცი, დავალების შესრულება იყოფა ბიჯებად. პირველი ბიჯზე წარმოებს პროგრამის ტრანსლაცია. მზართველი ბარათის || EXEC FORTRAN-ის საშუალებით ხდება შესაბამისად ფორტრან-IV ტრანსლატორის გამოძახება. რადგან საწყისი პროგრამა ქმნის ფაილს, საჭიროა მის ბოლოს გექონდეს ფაილის დასასრულის აღმნიშვნელი ბარათი | \*.

1. სტრუქტურა





ნახ. 16. დავალებითი პაკეტის განლაგების მაგალითი.

მეორე ბიჯზე აღვლილი აქვს რედაქტირებას. პროგრამა რედაქტორის გამოძახება ხდება მმართველი ბარათით `|| EXEC LNKEDT`. ხოლო რედაქტირების დაწყება ხდება ბარათით `|| EXEC`.

მესამე ბიჯზე ხდება რედაქტირებული პროგრამის შესრულება. დავალების ბოლო ბარათია პროგრამის დასასრულის აღმნიშვნელი ბარათი.

ამრიგად, ოპერაციული სისტემის მუშაობა შეიძლება დავით ბიჯებად, საფეხურებად. თუ ოპერაციული სისტემა ითვალისწინებს ტრანსლაციას, რედაქტირებასა და პროგრამის შესრულებას, მაშინ ის შედ-

გება სამი ბიჯისაგან. განვიხილოთ უმარტივესი შემთხვევა, როცა გვაქვს მხოლოდ ტრანსლაცია. როგორც ვიცით, ასეთ შემთხვევაში ფონტრან-ენის ოპერატორები გადაიწერება მანქანური ენის ბრძანების სახით. თუ საჭიროა ობიექტური მოდულის პერფორაცია, მაშინ მმართველი OPTION ოპერატორში უნდა მივუთითოთ DECK რეჟიმი, მაგალითად,

```

|| JOB <ამოცანის დასახელება>
||—EXEC FORTRAN
{
  საწყისი
  მოდული
} *
|f

```

განვიხილოთ შემთხვევა, როცა საჭიროა ტრანსლაცია და რედაქტირება. ამ შემთხვევაში დავალება შედგება ორი ბიჯისაგან. შესრულდება თუ არა ტრანსლაცია, მაშინვე იწყება ობიექტური მოდულის რედაქტირება, ამას შემდეგ რედაქტირებული. მოდული თავსდება აბსოლუტური მოდულის ბიბლიოთეკაში შემდეგი დამუშავებისათვის. შესაბამის მაგალითს აქვს სახე:

```

||—JOB PRIME
||—OPTION CATAL
  PHASE FIRST
||—EXEC FORTRAN
{
  საწყისი
  მოდული
} *
||—EXEC LNKEDT
|f

```

სადაც PRIME არის ამოცანის დასახელება. FIRST საწყისი მოდულის სახელწოდება აბსოლუტური მოდულის ბიბლიოთეკაში. განვიხილოთ მაგალითი, როცა საჭიროა ტრანსლაცია. რედაქტირება და შესრულება. ოპერატორების მიმდევრობას აქვს შემდეგი სახე:

```

|| JOB <ამოცანის დასახელება>
|| OPTION LINK
|| EXEC FORTRAN
{
  საწყისი მოდული
} *
|| EXEC LNKEDT

```

```

|| EXEC
  {
  | საწყისი
  | მონაცემები
  | •
  | f
  }

```

შენიშვნა: კატალოგიზირებული მოდული FIRST შეგვიძლია გამოვიძახოთ შემდეგნაირად:

```

||_JOB_EXAMPLE
||_EXEC_FIRST
{ მონაცემები
| •
| f

```

OC/EC<sup>1</sup>-ში გამოყენებულია სამი რეჟიმი: ერთპროგრამული რეჟიმი PCP (Primary Control Program), ძირითადი შეხსიერებით არანაკლებ 64K, მულტიპროგრამული რეჟიმი, როცა ამოცანათა რიცხვი დაფიქსირებულია MFT (Multiprogramming Fixed Task) ძირითადი შეხსიერებით 128K ბაიტამდე; მულტიპროგრამული რეჟიმი, როცა ამოცანათა რიცხვი ცვლადია MVT (Multiprogramming Variable Task), ძირითადი შეხსიერება 256K ბაიტამდე. OC/EC-ში გამოთვლითი სისტემის რესურსების ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას იძლევა მულტიპროგრამული რეჟიმი. OC/EC-ში გამოიყენება 9 მმართველი ბარათი დავალებისათვის. ოპერაციულ სისტემის მმართველ ბარათებს OC/EC სისტემაში უმთავრესად აქვს შემდეგი სახე:

|| m k p c

სადაც m—ან სიცარიელეა, ან ოპერატორის სახელია (კდე);

K—ოპერატორის კოდია;

P—ან სიცარიელეა, ან ოპერატორის პარამეტრების სია;

C—ან სიცარიელეა, ან ოპერატორის კომენტარი.

ორი დახრილი ხაზი უნდა მოვითავსოთ პირველ—ორ პოზიციაში. ოპერატორის სახელის ჩაწერა იწყება შესამე პოზიციიდან. ის შედგება ლათინური ასოებისაგან, ციფრებისაგან და #, \$, % სიმბოლოებისაგან—რომელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რვას. სახელის პირველი სიმბოლო არ შეიძლება იყოს ციფრი. ოპერატორის მარჯვენე და მარცხნივ უნდა იყოს ერთი ან რამდენიმე ინტერ-

<sup>1</sup> შენიშვნა—დავალბა განხილული იქნება EC-1033 ეგმ-ისათვის.



ვალი. ოპერატორის პარამეტრების სიის დაბოლოების აღმნიშვნელი ინტერვალი. ინტერვალი არ შეიძლება გამოვიყენოთ პარამეტრების სიის შიგნით. პარამეტრების სია შეიძლება გავაგრძელოთ არა უმეტეს 71-ე პოზიციამდე. თუ ოპერატორი არ თავსდება ერთ სტრიქონზე, მაშინ ის შეიძლება გადმოვიტანოთ ახალ სტრიქონზე. გადატანისას უნდა დავიცვათ შემდეგი წესი!

პარამეტრის სიის გადატანისას ბოლო სიმბოლო უნდა იყოს შიშველი (პარამეტრები და ქვეპარამეტრები ერთმანეთისაგან გამოიყოფა შიშველებით):

კომენტარი შეიძლება მოვათავსოთ შიშვიდან ერთი ინტერვალის გამოტოვებით.

გაგრძელებას აქვს შემდეგი სახე:

|| P C

სადაც P—წარმოდგენს სიაში პარამეტრების გაგრძელებას, რომელიც იწყება 4-დან 16 შდე პოზიციებში, ხოლო მთავრდება 71 პოზიციით.

C—კომენტარია, რომელიც არ არის აუცილებელი. ორი დახრილი ხაზი ყოველთვის მოთავსებულია პირველ ორ პოზიციიაში. თვალსაჩინოებისათვის, ერთი ოპერატორი, რომელიც შეიცავს რამდენიმე პარამეტრს, შეიძლება გავინაწილოთ რამდენიმე სტრიქონზე, ან პერფორაბათზე, ზემოთ აღნიშნული წესით. ოპერატორი JOB წარმოდგება ინგლისური სიტყვისაგან და ნიშნავს დავალებას, ოპერატორი EXEC—ინგლისური სიტყვის EXECUTE შემოკლებითაა მიღებული და ნიშნავს შესრულებას; ოპერატორი DD პირველი ასოებითაა სიტყვების data definition—გვიჩვენებს მონაცემების განსაზღვრას; ეს სამი ოპერატორი პრაქტიკულად გამოიყენება ნებისმიერი დავალების შემთხვევაში, დანარჩენი ოპერატორები წარმოდგენენ დამხმარე ოპერატორებს; მათგან შედარებით ხშირად გამოიყენება მოდულის დასასრულის და პაკეტი ნაკადის დასასრულის აღმნიშვნელი მმართველი ოპერატორი.

OC/E ; მმართველი ბარათები:

ოპერატორის სახელწოდება	ოპერატორის ფორმატი
დავალების ოპერატორი	სახელი JOB (ოპერანდი) [კომენტარი]
შესრულების ოპერატორი	[სახელი] EXEC ოპერანდი [კომენტარი]
მონაცემების აღწერის ოპერატორი	[სახელი] DD ოპერანდი [კომენტარი]

მოდულს დასასრულს აღმნიშვნელი  
ოპერატორი  
ცარიელი ოპერატორი  
კომენტარის ოპერატორი  
პროცედურის ოპერატორი

| \* [კომენტარი]  
||  
|| \* კომენტარი  
|| [სახელი] PROC ოპერანდი  
[კომენტარი] (კატალიზირებულ  
პროცედურა)  
| | [სახელი] PROC [ოპერანდი]  
[კომენტარი] (პროცედურა შესავალ  
ნაკიდში)  
|| [სახელი] REND [კომენტარი]  
| | ოპერანდის ბრძანება [კომენტარი]

პროცედურის დასასრულს  
ბრძანების ოპერატორი


**შენიშვნა:** კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ინფორმაცია არ არის აუცილებელი, ის შეიძლება გამოტოვებულ იქნას ბრძანების ოპერატორი გამოიყენება საბეჭდი მანქანიდან სისტემის გამმართველი ბრძანების შესაყვანად. პრაქტიკულად პროგრამისტი ამ ოპერატორს არ იყენებს.

კომენტარის ოპერატორით დავალებას დართული აქვს ახსნა-განმარტებითი წინადადება, რომელიც შეიძლება დაბეჭდილ იქნას ფართო ფორმატის ქალაღზე. დავალების შესრულებაზე ეს ოპერატორი გავლენას არ ახდენს. ნიშანი || \* ოპერატორი უნდა მოვათავსოთ პერფორმირების პირველ სამ პოზიციაში, მეოთხე პოზიციიდან იწყება კომენტარი 4—80-ში. კომენტარს ყოველთვის დათმობილი აქვს ერთი პერფორმირების პოზიცია. პროცედურის ოპერატორი და პროცედურის დასასრულის აღმნიშვნელი ოპერატორი გამოიყენება პროცედურის დასასრულით და. პროცედურას, რომელიც დამახსოვრებელია პროცედურათა ბიბლიოთეკაში, ეწოდება კატალოგიზირებული.

JOB ყოველთვის საწყისი ოპერატორია დავალებისათვის. დავალება შედგება ერთი ან რამდენიმე პუნქტისაგან. ყოველი პუნქტი იწყება ოპერატორით EXEC. ეს ოპერატორი ყოველთვის უჩვენებს შესასრულებელ პროგრამას. EXEC ოპერატორის შემდეგ ვწერთ DD ოპერატორს, რომელიც გვაძლევს დახასიათებას შონა ემების შესახებ. დავალება ეს იგივე პაკეტია. ახალი დავალება იწყება ისევე JOB ოპერატორით. დავალებათა ნაკადი მთავრდება ცარიელი ოპერატორით. ცარიელ მმართველ ოპერატორს სხვა დანიშნულება არ გააჩნია. საწყისი მონაცემებს ყოველთვის უსწრებს DD ოპერატორი. საწყისი მონაცემების და საწყისი მოდულის დასასრული ყოველთვის აღინიშნება | \* სიმბოლოებით. ამ ოპერატორსაც სხვა დანიშნულება  
90

არ გააჩნია. ყოველი პუნქტი შეიცავს მხოლოდ ერთ EXEC ოპერატორს. DD ოპერატორი გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება მოთვისებული იყოს JOB ოპერატორის შემდეგ.

დავალების სტრუქტურას რომელიც შედგება ორი პუნქტისაგან, აქვს შემდეგი სახე:



განვიხილოთ ძირითადი პარამეტრები, რომელიც საჭიროა ტრანსლაციის, რედაქტირებისა და შესრულების დროს.

OC/EC ოპერაციული სისტემა საკმაოდ რთულია, მას გააჩნია დიდი შესაძლებლობები. ამ სახელმძღვანელოში შევეხებით ზოგიერთი მმართველი ოპერატორების, პარამეტრების და ქვეპარამეტრების კერძო, გამარტივებულ შემთხვევებს.

OC/EC ოპერაციული სისტემა მოითხოვს უფრო ღრმა შესწავლას, სპეციალური ლიტერატურის გამოყენებით.

დავხვასით ძირითადი მმართველი ბარათები, რომლებიც გამოიყენებიან ამ რეჟიმის დროს.

|| სახელი JOB [ოპერანდი] [კომენტარი], სადაც სახელი ყოველი დავალებისათვის, რომლებიც ერთდროულად იწყობა სისტემაში უნდა იყოს განსხვავებული. ეს ოპერატორი ორი დახრილი ხაზით იწყება პირველი პოზიციიდან, სახელი მესამე პოზიციიდან, რომლის შემდეგ საჭიროა ენტერვალის გაკეთება, შემდეგ იწერება JOB, ხოლო ოპერანდის ველში შეიძლება ჩაეწეროს ორი პოზიციური და თერთმეტი სისტემური პარამეტრი. პირველი პოზიციური

პარამეტრი წარმოადგენს სააღრიცხვო ინფორმაციას, ხოლო მეორე-პროგრამისტის სახელია. პროგრამისტის სახელი შეიძლება იყოს თვით პროგრამისტის გვარი, ან ამოცანის კოდი. თუ პროგრამისტის სახელი შეიცავს რუსულ ანბანს, მაშინ ის უნდა მოფათავსოთ აპოსტროფში, როგორც სიმბოლოთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20-ს. სააღრიცხვო ინფორმაცია თვითონ ორი ქვეპარამეტრისაგან შედგება; ისინი ჩაწერისას ერთმანეთისაგან მძიმით გამოიყოფიან. ქვეპარამეტრები ჩაისმება ფრჩხილებში ან აპოსტროფში. საზოგადოდ ყველა ამ პარამეტრის გამოყენება ოპერატორის ჩაწერისას არ არის აუცილებელი. სააღრიცხვო ინფორმაციაში დასაშვებია 142 სიმბოლო, მძიმის ჩათვლით.

მაგალითი 1. JOB ოპერატორის ჩაწერა, როცა გათვალისწინებულია სააღრიცხვო ინფორმაცია და პროგრამისტის სახელი.

|| MARI—JOB—(51,08). 'КРИСТЕВА'

სადაც MARI დავალების სახელწოდებაა, (51,08) სააღრიცხვო ინფორმაციაა, 'КРИСТЕВА' პროგრამისტის გვარი. ოღნიშნული პარამეტრები შერჩეულია პროგრამისტის მიერ.

მაგალითი 2. პროგრამისტის სახელის ჩაწერა სააღრიცხვო ინფორმაციის გარეშე.

|| VAL—JOB. 'КРИСТЕВА'—B, C,

მძიმის დასმა პროგრამისტის სახელის წინ აუცილებელია, ვინაიდან გამოტოვებულია პირველი პარამეტრი. პოზიციური პარამეტრები აუცილებელია იმ შემთხვევაში, როცა ოპერაციულ სისტემაში ჩარეულია სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების პროგრამა.

თუ მმართველი ოპერატორი გრძელდება მეორე სტრიქონზე, მაშინ ახალ სტრიქონს პირველ ორ პოზიციაში უნდა დავუროთ ორი დახრილი ხაზი, ხოლო გაგრძელება იწყება 4-16 პოზიციებიდან. ქვეპარამეტრების გადატანა ახალ სტრიქონზე შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა ისინი მოთავსებული არიან ფრჩხილებში, ხოლო თუ აპოსტროფშია მოთავსებული, მაშინ მისი გადატანა დაუშვებელია გადატანისას გაწყვეტილ სტრიქონს 72 პოზიციაში შეიძლება დავუროთ გადატანის ნებისმიერი ნიშანი, გარდა პრობელისა, მაგრამ ეს არ არის აუცილებელი.

მმართველი ოპერატორების ჩაწერისას ჯერ იწერება პოზიციური პარამეტრები, ხოლო შემდეგ კი სისტემური პარამეტრები, თუ რომელიმე პოზიციური პარამეტრი ჩატოვებულია, მაშინ მის ნაცვლად იწერება მძიმე. ჩატოვების შემთხვევაში გამოიყენება მისი სტანდარტული მნიშვნელობა. კომენტარების ველში შეიძლება მოვა-

თავსათ ნებისმიერი ტექსტი, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ახსნა—განმარტებას პროგრამისათვის და ის განთავლებში არ ღებულობს მონაწილეობას.

სისტემური პარამეტრებიდან განვიხილოთ მხოლოდ ზოგიერთი. პარამეტრი MSGLEVEL—(message level—შეტყობინების დონე) განსაზღვრავს სისტემური შეტყობინების გამოტანის დონეს. პარამეტრის ფორმატი შემდეგია:

MSGLEVEL=(ოპერატორი, შეტყობინება)

ქვეპარამეტრს—ოპერატორი ღებულობს შემდეგ სამ მნიშვნელობას: 0, 1, 2. თუ—ოპერატორი T-ის ნაცვლად ჩავწერთ 0-ს, მაშინ იბეჭდება მხოლოდ LOB ოპერატორი; როცა ვვაქვს მნიშვნელობა—2 მაშინ იბეჭდება დავალბის ყველა ოპერატორი, გარდა ამისა ის ოპერატორები, რომლებიც მონაწილეობენ სიმბოლური პარამეტრების შეცვლისას. ქვეპარამეტრს-შეტყობინება—აქვს ორის მნიშვნელობა: 0 და 1. მნიშვნელობა 0 ნიშნავს, რომ არ არის საჭირო მონაცემებისათვის მოწყობილობათა განაწილების დაბეჭდვა, ხოლო 1—პირიქით. საზოგადოდ, სისტემაში სტანდარტულად მიღებულია MSGLEVEL=(0,1), ამიტომ, თუ ეს პარამეტრი ჩატოვებულია, მაშინ იბეჭდება მხოლოდ JOB და ყოველგვარი განაწილება. MSGLEVEL=(2, 1) და MSGLEVEL=2 ერთმანეთის ეკვივალენტურია, ასევე MSGLEVEL=(0, 0) და MSGLEVEL=(, 0).

პარამეტრი—TIME—მულტიპროგრამულ რეჟიმში იღვენს ცენტრალური პროცესორის მიერ მოცემული დავალბის შესასრულებლად საჭირო დროს. ეს უზრუნველყოფს თავიდან ავიცილოთ მანქანური დროის უქმად დახარჯვა ჩაციკლის შემთხვევაში.

თუ ამოცანა გადაიქარბებს მისთვის განკუთვნილ დროს, მაშინ ის ავტომატურად მოიხსნება. პარამეტრის ფორმატს აქვს შემდეგი სახე:

TIME=(წუთები, წამები)

წუთები არ უნდა იღებატებოდეს 1440, ხოლო წამები კი—60. სისტემაში სტანდარტულად გათვალისწინებული 30 წუთი.

TIME=30

ჩანაწერი TIME=(1, 30) ნიშნავს, რომ დავალბისათვის გამოყოფილია 1 წუთი და 30 წმ. პარამეტრი REGION გვიჩვენებს ძირითადი მეხსიერების იმ არეს, რომელიც საჭიროა მოცემული დავალბის ყველა პუნქტისათვის. ეს პარამეტრი გამოიყენება მხოლოდ MVT (ცვლადი რაოდენობის ამოცანების მულტიპროგრამული) რეჟიმის

დროს. დანარჩენ შემთხვევაში პარამეტრი REGION იგნორირებულია. უმარტივეს შემთხვევაში პარამეტრის ფორმატს აქვს სახე:

REGION=სიდიდე K

სიდიდე K—განსაზღვრავს შეხსიერების ცილობაიტის რაოდენობას, მაგალითად

REGION=50K

შენიშვნა: ერთ სტრიქონზე შეიძლება ჩაიწეროს სიმბოლოები 71 პოზიტამდე. 72—შეიძლება გამოყენებულ იქნას გადატანის ნიშნისათვის. პარამეტრი COND (condition—პირობა) გვიჩვენებს დავალების შესრულებისას პროცესის შეწყვეტის პირობას. აღნიშნული პარამეტრის ფორმატს აქვს სახე:

COND=(კოდი, ოპერატორი), . . . , (კოდი, ოპერატორი)

თუ ოპერატორში გამოყენებულია ერთი ქვეპარამეტრი, მაშინ გარეთა ფრჩხილები არ არის საჭირო. დასაშვებია 8 ქვეოპერატორი. „კოდი“—არის მთელი რიცხვი 0-დან 4095, „ოპერატორი“—ერთ-ერთი შედარების ნიშანია: GT—მეტია, GE—მეტი ან ტოლი, EQ—ტოლი, LT—ნაკლები, LE—ნაკლები ან ტოლია, NE—არ არის ტოლი. ქვეპარამეტრი (კოდი, ოპერატორი) შეესაბამება დამოკიდებულებას „კოდი, ოპერატორი, დაბრუნების კოდი“, თუ ეს დამოკიდებულება, თუნდაც ერთი ქვეპარამეტრისათვის სამართლიანია, მაშინ დავალების შესრულების პროცესი წყდება. თუ JOB ოპერატორი ჩაწერილია COND პარამეტრის გარეშე, მაშინ ასეთი ანალიზი არ სრულდება.

მაგალითი 3. JOB ოპერატორის ჩაწერა პარამეტრის გარეშე:

|| PROBLEM2—JOB

მაგალითი 4. JOB ოპერატორის ჩაწერა პარამეტრების საშუალებით.

|| PROBLEM3—JOB—MGLEVEL=1, TIME=10,  
COND=(8, LE), REGION=58K

EXEC ოპერატორი გვიჩვენებს პროგრამის ან პროცედურის შესრულებას. EXEC ოპერატორის ჩაწერისას გამოიყენება ოთხი პოზიციური პარამეტრი:

- 1) PGM—პროგრამის სახელი
- 2) PGM—მიმართვა
- 3) PROC—პროცედურის სახელი
- 4) პროცედურის სახელი

პირველი პოზიციური პარამეტრი გვიჩვენებს, რომ სრულდება პროგრამა, რომელიც ჩაწერილია მუდმივ (სისტემურ ან პირად) ბიბლიოთეკაში. თუ პროგრამა მოთავსებულია ზოგად სისტემურ ბიბლიოთეკაში, მაშინ არავითარი დამატებითი მითითება არაა საჭირო. მეორე ფორმა გამოიყენება პროგრამის შესასრულებლად, რომელიც ჩაწერილია, ახლად შექმნილ დროებით ბიბლიოთეკაში. ხშირად დროებით ბიბლიოთეკაში ინახება შესასრულებლად გარდაქმნილი ჩასატვირთი მოდული. შესამე და შეოთხე ფორმები ერთმანეთის ექვივალენტურებია. სიტყვა PROC არ არის აუცილებელი EXEC ოპერატორის ჩაწერისას.

მაგალითი 1. პროგრამის გამოძახება:

|| LKED—EXEC—PGM=IEWL

მაგალითი 2. ფორტრან-პროცედურის გამოძახება:

|| STEP1—EXEC—PROC—FORTGC

მაგალითი 3.

|| STEP2—EXEC—FORTGC

ბოლო ორი მაგალითი ერთმანეთის ექვივალენტურია.

შენიშვნა: სისტემურ ბიბლიოთეკაში მუდმივად ინახება:

ტრანსლატორი, რედაქტორი და სხვა მმართველი პროგრამები. საერთო დანიშნულების მონაცემების ერთობლიობას ეწოდება მონაცემების კრებული (მკ), რომელიც ინახება გარე მეხსიერებაზე.

ოპერატორი DD წარმოადგენს ერთ ერთ მნიშვნელოვან მმართველ ოპერატორს, მისი საშუალებით დახასიათებულია ყველა სახის მონაცემები (მკ). გვაქვს სამი ჯგუფი მონაცემებისა: პირველი, რომელიც იმყოფება შესავალ ნაკადში (საწყისი მოდული), მეორე—გამოსავალ ნაკადში (პასუხები) და მესამე—გარე მეხსიერებაზე, (მაგნიტურ ლენტზე, მაგნიტურ დისკზე შენახული ინფორმაცია). პარამეტრები, რომლებიც ახასიათებენ ამ ჯგუფის მონაცემებს, სხვადასხვაა. ამ ოპერატორის ჩაწერისას გამოიყენება ერთი პოზიციური და 12 სისტემური პარამეტრი. პოზიციური პარამეტრებია:

\*, DATA, DUMMY

ოპერატორი || m DD \*

სადაც m—სიცარიელა, ან ოპერატორის სახელი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორაა სპეციფირებული შესაყვანი ან გამოსაყვანი ინფორმაციისათვის საჭირო მონაცემების ერთობლიობა.

1) SYSPRINT—სპეციფიცირებს ეგმიდან გამოსატანი მონა-

ცემების კრებულს რომელიც საჭიროა დაბეჭდვის დროს პროგრამის ტექსტისათვის, კომპილატორის შეტყობინებისათვის და კომენტარებისათვის.

2) SYSOUTn—სპეციფიცირებს მუშა მონაცემების კრებულს, რომელიც მოთავსებულია გარე მეხსიერებაში. (n=1, 2, ..., N)

3) SYSIN—შესატანი მონაცემების სპეციფიკაციების ერთობლიობას, რომლისგანაც შესდგება ტრანსლიაციისათვის საჭირო პროგრამის ტექსტი. პროგრამა შეიძლება იყოს განლაგებული პერფორბარათებზე, მაგნიტურ დისკზე ან მაგნიტურ ლენტზე.

შენიშვნა: სპეციფიცირებს, ნიშნავს შეუსაბამოს მონაცემების ფორმა შესაბამის მოწყობილობას. მაგალითად, დაბეჭდვისას, მანქანური ფორმა—დაბეჭდვის ფორმას, შეყვანისას—მანქანურ ფორმას.

პრაქტიკაში გამოიყენება ამ ოპერატორების სტანდარტული სახე. თუ დავალება შეიცავს ტრანსლიაციისათვის საჭირო ტექსტ-პროგრამას, მაშინ DD ოპერატორს აქვს სახე:

```
|| SYSIN DD *      ან      || SYSIN DD DATA
```

ამ ოპერატორს მოსდევს პროგრამის ტექსტი. პროგრამის ტექსტე მთავრდება ოპერატორით | \*; დროის განაწილების ერთპროგრამულ რეჟიმში დავალების ყოველ პუნქტში დასაშვებია მხოლოდ ერთ-ერთი ამ ოპერატორთაგანი. მულტიპროგრამული რეჟიმის დროს ასეთ შეზღუდვას არ აქვს ადგილი.

პოზიციური პარამეტრი DUMMY მიუთითებს სისტემას, რომ მონაცემების ერთობლიობა ფიქტიურია. მაგალითად,

```
|| SYSPRINT DD DUMMY  
<პროგრამის ტექსტი>
```

```
||
```

დავალების შესრულებისას კომპილატორის არც ერთი შეტყობინება არ დაიბეჭდება.

განვიხილოთ ერთ-ერთი სისტემური SYSOUT პარამეტრის დანიშნულება: SYSOUT=a, სადაც a ციფრი ან ასოა. გამოიყენება გამოსატანი ინფორმაციის დასახისიათებლად. გვხვდება შემთვევები

```
SYSOUT=A  
SYSOUT=B  
SYSOUT=P
```

სადაც A გვიჩვენებს, რომ ინფორმაციის გამოტანა ხდება ალფაბეტურ-ციფრულ საბეჭდ მოწყობილობაზე, B—პერფორბარათზე, P—დისკლეზე.



პარამეტრი SPACE—გამოიყენება მაგნიტურ დისკზე, მონაცემებისათვის საჭირო მეხსიერების რაოდენობის დასადგენად. თუ ამ პარამეტრის ქვეპარამეტრის მნიშვნელობა მოცემულია იდენტიფიკატორით CYL, მაშინ მეხსიერება იზომება ცილინდრებში, ხოლო თუ TRK-თი, მაშინ მეხსიერება იზომება მაგნიტური დისკების ბილიკებით. თუ ქვეპარამეტრის მნიშვნელობა მოცემულია  $n$  მთელი დადებითი რიცხვით, მაშინ მეხსიერება გადათვლილია ბლოკების მიხედვით, სადაც თითოეულ ბლოკში  $n$  რაოდენობის ბაიტია.

დისკური ტომი შედგება რაჰდენიმე დისკისაგან, თითოეული დისკი ორივე მხარეს დაფარულია ფერომაგნიტური ნივთიერებით (კიდურა დისკებზე დამმახსოვრებლად გამოიყენება ნხოლოდ შიდა ზედაპირები). ყველა დისკს გააჩნია ერთი საერთო ლერძი.

მაგალითად, EC-5050 ტიპის დამმახსოვრებელი შედგება 6 დისკისაგან, 10 დამმახსოვრებელი ზედაპირით. თითოეულ დამმახსოვრებელ ზედაპირზე მოცემულია 203 კონცენტრიული ბილიკი (ნომრები 0-დან 202-მდე). ჩაწერა დისკზე ან წაკითხვა დისკიდან სრულდება დისკის ბრუნვის დროს. ბილიკები განლაგებულია ვერტიკალურად ერთმანეთის ქვეშ. ბილიკების ასეთი განლაგება ქმნის ცილინდრს. ამრიგად, ტომი შეიცავს 203 ცილინდრს ათ-ათი ბილიკით. დროის ყოველ მონაკვეთში შესაძლებელია ჩაწერა ან წაკითხვა ცილინდრის მხოლოდ ერთ ბილიკზე, ერთი ბილიკიდან მეორეზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ სქემური გზით, რომელსაც უზრუნველყოფს მართვის მოწყობილობა—დისკების პირველი ბილიკი გაერთიანებულია პირველ ცილინდრში და ა. შ.

განვიხილოთ დავალება, რომელიც შედგება საწყისი მოდულისა და რიცხვითი მონაცემებისაგან

```
|| STUD—JOB—(51, 08), 'KPICTAII, MSGLEVEL=(1,1), &
MSGCLASS=P
```

```
|| —EXEC—FORTGCLG
```

```
|| FORT. SYSPRINT—DD—SYSOUT—P
```

```
|| FORT. SYSIN—DD— *
```

პროგრამული მოდული

/ \*

```
|| LKED. SYSPRINT—DD—SYSOUT=P
```


```
|| GO. FT06F001—DD—SYSOUT—P
```

```
- || GO. SYSIN—DD— *
```

საწყისი მონაცემები

| >

||



მაგნიტუხ ღისკზე დამახსოვრებელი მონუობილობა

ნახ. 11\*

საბიბლიოთეკო მონაცემების კრებული შედგება ცნობარისა (სათაურებისა) და განყოფილებებისაგან. განყოფილება წარმოადგენს თანმიმდევრობითი მონაცემების კრებულს. მონაცემების განყოფილების დამახსოვრება და ამორჩევა წარმოებს თანმიმდევრობით. განყოფილების სახელის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს რვა სიმბოლოს და სახელის დამახსოვრება ხდება ცნობარში.

ოპერაციული სისტემით, საბიბლიოთეკო მონაცემებთან კავშირის დამყარების შემდეგ, მომხმარებელს შეუძლია იმუშაოს ამ კრებულის ნებისმიერ განყოფილებასთან. მონაცემების კრებულში შეიძლება დამატებულ იქნას ან გაუქმდეს ცნობარის რომელიმე განყოფილება.

საბიბლიოთეკო მონაცემების კრებული განლაგებულია ერთ ტომში, ანუ მაგნიტურ ღისკზე. ტომის სახელს არჩევს პროგრამისტი, რომელიც ინიციალურ ღისკს გარკვეული წესით, რომელსაც ამ სახელმძღვანელოში არ შევხვებით.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, საბიბლიოთეკო მონაცემების კრებული აერთიანებს მიმდევრობით აღებულ მონაცემთა სიმრავლეს,

რომელთაგან თითოეულს ეწოდება საბიბლიოთეკო მონაცემთა კრებული განყოფილება. საბიბლიოთეკო მონაცემების კრებულს და თითოეულ განყოფილებას აქვს თავისი სახელი. საბიბლიოთეკო მონაცემების კრებულები კი ქმნის ტომს. საბიბლიოთეკო მონაცემთა კრებულისათვის შეხსიერების რაოდენობის მითითება ხდება DI ოპერატორის SPACE პარამეტრის საშუალებით. მაგალითად პარამეტრი  $SPACE=(TRK, (50, 12, 10))$  ნიშნავს, რომ საბიბლიოთეკო მონაცემების კრებულის განყოფილებებისათვის მოთხოვნილია 50 ბილიკი, აუცილებლობის შემთხვევაში სისტემა დამატებით გამოყოფს 12 ბილიკს, ცნობარის შეხსიერებისათვის გამოიყენება 10 ბილიკი, თითოეული 256 ბაიტით. მაგალითად:

$$SPACE=(1000, (100, 20, 10))$$

1000 გვჩვენებს განყოფილების საშუალო სიგრძეს ბაიტებში, ხოლო 100 – ბიბლიოთეკაში განყოფილების რაოდენობა. სულ  $1000 \times 100 = 100000$  ბაიტს, დამატებისათვის 20 ბილიკი თითოეული 1000 ბაიტით, ცნობარისათვის—10 ბილიკი 256 ბაიტით.

### 1. ტერმინალების აღწერა

ტერმინალი წარმოადგენს მოწყობილობას, რომლის საშუალებით აღამიანი ეგმ-თან უშუალოდ კავშირს აწყობს დიალოგური ფორმით. ტერმინალი შედგება ეკრანიანი დისპლეისაგან, ბუფერული შეხსიერებისაგან (ბუფერისაგან) და კლავიატურიანი მართვის პულტისაგან. დისპლეი მიღებულია ინგლისური სიტყვიდან display—ჩვენება, აღქმა, მოწყობილობა ელექტრონულსხივურ ეკრანზე ინფორმაციის ვიზუალური გამოსახვისათვის. ბუფერული დამახსოვრებელი მოწყობილობა—გაშოიყენება ინფორმაციის შუალედური შენახვისათვის, როცა ინფორმაციის გაცვლა წარმოებს სხვადასხვა მოწყობილობებს შორის.

დიალოგის ორგანიზაციისათვის გათვალისწინებულია პროგრამათა სისტემა, რომელიც შედის ეგმ-ის მათემატიკური უზრუნველყოფის შემადგენლობაში. თვით დიალოგი მიმდინარეობს შეტყობანებათა გაცვლის გზით მომხმარებელსა და ეგმ შორის, რომელიც ახლოს არის სამეტყველო ენასთან. დიალოგისას, შეტყობინების გზით, მომხმარებელი მიუთითებს სისტემას, თუ რა მოქმედება უნდა შეასრულოს ეგმ-მა მორიგ ეტაპზე, სასტემა უზრუნველყოფს მომხმარებლის მიათების შესრულებას და მზადაა მიიღოს ახალი მითითება, რომელიც ეკრანზე გამოისახება შეკითხვის სახით.

საქირო მითითება მომხმარებელს შეყავს მართვის პულტის კლავიატურის მეშვეობით, რომელიც შესაბამისად დაიწერება ეკრანზე.

როგორც წესი, შეტყობინების ტექსტი, რომელიც შეყავს მომხმარებელს, წინასწარ ფორმირდება ბუფერზე, ბუფერს გააჩნია პოზიციითა დაფიქსირებული რაოდენობა (ჩვეულებრივად  $K \times 80$  პოზიცია, სადაც  $K$  — ტერმინალის პარამეტრია), რომელთაგან თითოეულში ინახება დასაშვები სიზბოლოების კოდი. სისტემის შეტყობინებაც ასევე გადაეცემა ბუფერს.

ტერმინალის აპარატურა უზრუნველყოფს ბუფერში მოცემული ინფორმაციის ასახვას ელექტრონულ-სხივური მილიაკის ეკრანზე. რომელიც შედის დისპლეის შემადგენლობაში. ეკრანი შეიცავს იმდენ პოზიციას, რამდენსაც ბუფერი და შედგება  $K$  სტრიქონისაგან: თითოეული სტრიქონი შეიცავს 80 პოზიციას. თითოეულ პოზიციას შეუქლია გამოანათოს ნებისმიერი დასაშვები სიზბოლო. ეკრანისა და ბუფერის პოზიციებს შორის დამყარებულია ცალსახა დამოკიდებულება. ეკრანზე გამოანათებს ის სიზბოლო, რომლის კოდი დაფიქსირებულია ბუფერში.

ჩართული დისპლეის ეკრანზე მუდმივად გამოახათებს სპეციალური სიზბოლო (—, ∇ და სხვა, რომლის არჩევა დამოკიდებულია დისპლეის ტიპზე), რომელსაც ეწოდება კურსორი. სიზბოლოს აკრეფის შემდეგ კურსორი ავტომატურად გადაინაცვლებს მომდევნო პოზიციანზე.

ჩვეულებრივად, ბუფერში (ეკრანზე) სიზბოლოს შეყვანისას ამ პოზიციის ადრინდელი შინაარსი იკარგება და მის ადგილს იკავებს ახალი სიზბოლო, ამრიგად, კლავიატურიდან შესაძლებელია არა მარტო ახალი ტექსტის ფორმირება, არამედ შეიძლება ძველ ტექსტშიც შევიტანოთ ცვლილებები (შესწორება). დისპლეის კორპუსზეა სახელურები, რომლითაც შესაძლებელია ფოკუსისა და განათებულობის რეგულირება, აქვეა აგრეთვე კვების წყაროსთან ჩამართველი და გამომართველი.

კლავიატურაზე კლავიშები ორგვარია: სიზბოლური და მმართველი (ფუნქციონალური). სიზბოლური კლავიშები გამოიყენება ტექსტის შესაყვანად. ნებისმიერ კლავიშზე დაქერისას გაცოსახულები მიიღება ეკრანზე. თითოეულ კლავიშზე გამოსახულია ორი ან ერთი სიზბოლო, რომელიც მოთავსებულია კლავიშის ზედა და ქვედა ნაწილში. ზედა ნაწილში სიზბოლოების ერთობლიობა ქმნის ზედა რეგისტრს, ხოლო ქვედა — ქვედა რეგისტრს.

მმართველი ანუ ფუნქციონალური კლავიშები ასრულებენ გარკვეული სახის მმართველ ფუნქციებს. შავალითად, საქირო რეგისტ-

რის სიმბოლოთა დაფიქსირება ხდება კლავიშით ФBP; კურსორის მდებარეობის მაჩვენებელი კლავიშებია: —, ←, ↑, ↓ მათი საშუალებით სრულდება კურსორის გადაადგილება მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ. დანარჩენი მმართველი კლავიშები სწვადასბვა დისპლეიზე აღინიშნება სხვადასხვანაირად.

შენიშვნა: კლავიშები, რომლებიც აღწერილი არ გვექნება ინსტრუქციაში, სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ტერმინალების კლასში მომუშავე პერსონალთა შეთანხმების გარეშე.

განვიხილოთ ტერმინალი EC—7927 დისპლეის ბაზაზე. ამ დისპლეის ეკრანი შეიცავს  $K=24$  სტრიქონს, თითოეული სტრიქონი 80 პოზიციას. კურსორი აღინიშნება—სიმბოლოთი. ეკრანის ქვემოთ განლაგებულია ინდიკატორები:

—დისპლეის ავარიული მდგომარეობა

—დისპლეის კვების ქსელში ძიბვა

—დისპლეის ჩართული მდგომარეობა

—„Система доступна“ მდგომარეობა

—„Ввод запрещен“ მდგომარეობა, რომლის დროსაც კლავიატურა დაბლოკირებულია და ინფორმაციის შეყვანა შეუძლებელია, ამ დროს უნდა დაეპიროთ კლავიშს СБРПС. სისტემა PRIMUS-ში ამ ტიპის დისპლეიზე მუშაობისას შეტყობინება უნდა დაფიქსირდეს იმ პოზიციიდან, რომელზედაც მიუთითებს კურსორი.

მმართველი კლავიში (СТРН. ЭБР) გამოიყენება ეკრანის გასასუფთავებლად.

რეგისტრების გადართვა სრულდება კლავიშებით: (ФBP, BP, HP);

—ФBP კლავიშზე დაკერით იცვლება რეგისტრის მდგომარეობა საწინააღმდეგოთი.

—BP სანამ ამ კლავიშზე გვაქვს დაკერილი, რეგისტრი იმყოფება ზედა მდგომარეობაში, ხოლო HP—ქვედა რეგისტრის. →, ←, ↑, ↓ ამ კლავიშებზე დაკერით კურსორი ერთტაქტიან გადაადგილების ასრულება შესაბამისი მიმართულებით. ხანგრძლივი დაკერით სრულდება მრავალტაქტიანი გადაადგილება. თუ საკიროა ახალ სტრიქონზე გადასვლა უნდა დაეპიროთ კლავიშს „\_“.

გამოტოვებული სიმბოლო შეიძლება ჩავსვათ ПФ12 კლავიშის საშუალებით, კურსორი უნდა დაეყენოთ გამოტოვებული სიმბოლოს მარჯვნივ, აღნიშნულ კლავიშზე დაკერის შემდეგ გადაადგილდება კურსორი მარჯვნივ მოცემული სიმბოლოები, რის შემდეგ უნდა ავკრიფოთ გამოტოვებული სიმბოლო. ტექსტის შუაში ზედმეტი სიმბოლოს ამოშლა შესაძლებელია ПФ11 კლავიშით. კურსორი უნდა

მოვათავსოთ ამოსაშლელი სიმბოლოს ქვეშ და დავაპიროთ კლავიშს ПФ11.

სტრაქონის დაძვრა ზარცხნევ შესაძლებელია კლავიშით ПФ10. კურსორი უნდა მოვათავსოთ პირველი სიმბოლოს ქვეშ და დავაპიროთ კლავიშს ПФ10.

ВВОД კლავიშზე დაპერით კლავიატურის დაბლოკირება ხდება და ეკრანზე მოცემული ინფორმაცია გაიზავნება ეგშ-ზე, იმ პოზიციიდან, რა პოზიციიდანაც სისტემის მიხედვითი იწყება ტექსტი იმ პოზიციამდე, სადაც იდგა კურსორი შეყვანის მომენტში. განსაკუთრებული რეჟიმებისა და მდგომარეობის უარყოფა შესაძლებელია კლავიშით СБРОС. ეს მოქმედება არ შესრულდება იმ შემთხვევაში, როცა ინფორმაციის გაცემა სრულდება ბუფერსა და ეგშ-ს შორის.

შენიშვნა: ВВОД ЗАПРЕЩЕИ მდგომარეობის დროს არ არის მიზანშეწონილი (რეკომინდებული) დავაპიროთ СБРОС კლავიშს. ამ სიტუაციაში თუ კლავიატურის დაბლოკირება 30 წმ-ს აღემატება, მაშინ ეს გამღწვეულია აპარატურის ან სისტემის ნორმალური მუშაობის დარღვევით. ასეთ შემთხვევაში უნდა მივმართოთ ტერმინალთა კლასში მორიგე პირს. „ВВОД ЗАПРЕЩЕИ“ შეიძლება იმ შემთხვევაშიც აღმოჩნდეს, როცა კურსორი დგას სისტემისათვის დაუშვებელ პოზიციაში და ასეთ შემთხვევაში კი საჭიროა დავაპიროთ СБРОС კლავიშს, რითაც ის მიიღებს საჭირო მდგომარეობას.

## 2. სისტემა „PRIMUS“-ის დანიშნულებისა და სარგებლობის წინის მოკლე აღწერა.

სისტემა „PRIMUS“ გამოიყენება აღფავიტურ-ციფრული დისპლეებით დაკომპლექტებული ერთიანი სისტემის ეგშ-ის კოლექტიური გამოყენების, დიალოგური სისტემის ორგანიზაციისათვის.

სისტემა „PRIMUS“ წარმოადგენს სტანდარტულ ფუნქციონალურ პროგრამათა კომპლექსს, რომლის საშუალებითაც სრულდება: პროგრამისა და მონაცემების შეყვანა დიალოგურ რეჟიმში, დისპლეებიდან სრულდება პროგრამათა ტექსტების სინტაქსური ანალიზი და კორექტირება, აგრეთვე დავალებათა გაფორმება და მათი შესრულება პაეტური დამუშავების რეჟიმში. გარდა სტანდარტული ფუნქციონალური პროგრამებისა სისტემა „PRIMUS“ შეიცავს ისეთ ფუნქციონალურ პროგრამებს, რომელთა საშუალებით ყოველ მომხმარებელს გამოეყოფა შეუალღური ინფორმაციისათვის მუშა მონაცემების კრებული (P. H. Д), მისთან ერთად მომხმარებელს შეუძ-

ლოა კვებარი დაამყაროს საბიბლიოთეკო მონაცემების კრებულთან, რომელიც მოთავსებულია პირდაპირი დაშვების დამმხსოვრებელ მოწყობილობებზე.

სისტემასთან კონტაქტის დასამყარებლად, საჭიროა დავაპიროთ ფუნქციონალურ კლავიშს BB (ВВОД). ეკრანზე ვჯებულობთ შეტყობინებას

Работает монитор PRIMUS Версия 2. 3  
Сообщите Ваше имя

ამის პასუხად კლავიატურაზე უნდა აკრიფოთ სახელი, რომელიც საჭიროა დისპლეისთან აღებულ მომენტში მუშაობის დროს. ვთქვათ, TAL და დავაპიროთ BB-ს ვლებულობთ შეტყობინებას

P. H. Л. Заполнен другим пользователем-содержимое стирается посылайте команду

სისტემის ერთ-ერთ ბრძანებას წარმოადგენს HELP, რომლის შესრულების შედეგად ეკრანზე ვლებულობთ სისტემით სარგებლობის ინსტრუქციას. BB-ზე დაკერით შეიძლება ეკრანის გადაფურცვლასაპირო ინსტრუქციის მიღების შემდეგ უნდა გამოვიდეთ ამ რეჟიმიდან, ამისათვის ეკრანის ბოლოში მოთავსებული წინადადებებიდან ამოვარჩევთ ერთ-ერთს:

Нажмите клавишу BB(продолжить) или введите имя интересующей Вас команды или символ E(закончить).

ჩვენ შეგვიძლია ინსტრუქციაში ჩამოთვლილი ბრძანებებიდან აკრიფოთ კლავიატურაზე რომელიმე და ვნახოთ მისი მახასიათებლები.

შენიშვნა: კლავიატურაზე რამდენიმე ბრძანების აკრეფისას, მის შესასრულებლად ყოველთვის უნდა დავაპიროთ BB-ს

E სიმბოლოს შეყვანის შემდეგ ვლებულობთ შეტყობინებას:

Посылайте команду

პირადი საბიბლიოთეკო მონაცემების კრებულის შესაქმნელად საჭიროა ვისარგებლოდ ბრძანებით DSET, რომლის ფორმატს აქვს სახე: DSET— მონაცემების კრებულის სახელი BB, სადაც სიმბოლო „—“ აღნიშნავს ინტერვალს.

ფუნქციონალური პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ამ

ბრძანებას, შედის მომხმარებელთან დიალოგურ დამოკიდებულებაში, რითაც განისაზღვრება ტომის სახელი და მონაცემების შემდეგ მახასიათებლები:

- მონაცემების ორგანიზაცია DSORG = ...
- ჩანაწერების ფორმატი RECFM = ...
- ჩანაწერების ზომა LRECL = ...
- ბლოკების ზომა BLKSIZE = ...
- გამოყოფილი მიღამო SPACE = ...

მათითებული სიტყვები სისტემის საშუალებით იბეჭდება ეკრანზე, ხოლო აქ აღნიშნული წერტილების ნაცვლად მომხმარებელში უნდა გასცეს შესაბამისი პასუხები, შინაარსის შესაბამისად. მომხმარებელს დიალოგის პროცესში შეუძლია უარყოს ბრძანება DSET, E სიმბოლოს შეყვანის შემდეგ. ყოველი წინადადების შეყვანა სრულდება BB კლავიშზე დაჭერით. მაგალითად:

```
DSET—STUD 860 BB
      DSORG=PO BB
      RECFM=FB BB
      LRECL=80 BB
      BLKSIZE=3200 BB
      SPACE=(TRK,(10, 10, 10)) BB
```

BB—ნიშნავს, უნდა დაეჭიროთ კლავიშს BBOD.

სადაც STUD860 არის ბიბლიოთეკის სახელი; DSORG გვიჩვენებს მონაცემების ორგანიზაციას. PO—საბიბლიოთეკოა. ოპერანდი RECFM გვიჩვენებს ჩანაწერის ფორმატს, F—ფაქსირებული სიგრძით. ოპერანდი BLKSIZE—ბლოკის ზომის მაჩვენებელია ბაიტებში —3200 ბაიტი. LRECL გვიჩვენებს მონაცემების კრებულში ჩანაწერის მაქსიმალურ სიგრძეს, განხილულ მაგალითში უდრის 80-ს. SPACE—საბიბლიოთეკო მონაცემთა კრებულისათვის გამოყოფილი მეხსიერებაა, TRK—ბილიკებით იზომება მაგნიტურ დისკზე. პირველი 10 გვიჩვენებს გამოყოფილია 10 ბილიკი, მეორე 10 გვიჩვენებს, რომ სისტემა საჭიროების შემთხვევაში დამატებით გამოყოფს 10 ბილიკს. მესამე 10 გვიჩვენებს, რომ ცნობარისათვის გამოიყოფა 10 ბლოკი, თითოეული 256 ბაიტის რაოდენობით.

იერარქიულად მონაცემების განაწილება შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სქემის სახით (ნახ.17).

ამრიგად, სისტემა „PRIMUS“-ის საშუალებით ხორციელდება დიალოგი მანქანასა და მომხმარებელს შორის. მომხმარებელს მონაცემების კრებული შეიძლება შენახული ჰქონდეს ეგმ-ის გარე მეხსი-




ერებაში. მონაცემების ამ ერთობლიობას ვუწოდოთ პირადი მონაცემების კრებული. მის მახასიათებლებს წარმოადგენს განყოფილების სახელწოდება, ბიბლიოთეკის სახელწოდება, სადაც ეს განყოფილებაა მოთავსებული და ტომის დასახელება, რომელზედაც ეს ბიბლიოთეკაა მოთავსებული.

მუშაობის დაწყებისას შეიძლება შევამოწმოთ არის თუ არა გამოყენებულ იქნა მანეტური დისკი, რომელზედაც ვაპირებთ მუშაობას ამისათვის გამოვიყენოთ ბრძანება DASD. ამ ბრძანებისა და BB-ზე დაჭერის შემდეგ ეკრანზე მიიღება საჭირო დისკის სახელი.

დიდი რაოდენობით ინფორმაციის შეყვანა დისპლეიდან გაუმართლებელია. ასეთ შემთხვევაში საწყისი ინფორმაცია პერფორმირებულიდან უნდა გაიგზავნოს მანეტურ დისკზე. პირადი მონაცემების კრებულის ფორმირება შესაძლებელია პაკეტური დამუშავების რეჟიმის დროს, რომელიც არ შედის სისტემა „PRIMUS“-ის ფუნქციებში.

მცირე ინფორმაცია მუშა მონაცემების კრებულში შეგვყავს უშუალოდ დისპლეის ეკრანიდან INPT ბრძანების საშუალებით INPT—BB, რის პასუხად ეკრანზე ვღებულობთ შეტყობინებას საწყისი ტექსტის შეყვანის შესახებ, ამ შეტყობინების დათმობილი აქვს ეკრანის პირველი სტრიქონი, ხოლო შემდეგ სტრიქონზე კი მოცემულია დამზარე ინფორმაცია პოზიციების მდებარეობის შესახებ, კურსორი ავტომატურად გადმოდის ახალ სტრიქონზე და ვიწყებთ საწყისი ინფორმაციის აკრეფას საჭირო პოზიციიდან. თუ სტრიქონები ბოლომდე არ არის შევსებული, კურსორის ახალ სტრიქონზე გადასაყვანად უნდა დავაჭიროთ სიმბოლოს „\_“.

შენიშვნა: INPT ბრძანების ყოველი ახალი გამოყენების მუშა მონაცემების კრებულში ირსებული უწინდელი ინფორმაცია



იკარგება, ხოლო BB კლავიშზე დაკერის შემდეგ ინფორმაცია დის-  
პლეიდან იგზავნება მუშა მონაცემების კრებულში. მაგალითად,  
ვთქვათ, მოცემულია ფუნქცია:

$$y = x^3 + \sqrt{|1-x^2|}$$

ვიხოვოთ  $y$ -ის მნიშვნელობები, როცა  $x \in [1; 4]$  სეგმენტს, ხო-  
ლო  $x$ -ი იცვლება ბიჯით  $h=0,1$ . შევადგინოთ მოცემული ამოცანის  
დავალება, ამოვხსნათ PRIMUS სისტემის გამოყენებით.  
დავალებას აქვს შემდეგი სახე:

```

|| MARI-JOB-(61,12), 'КРИСТЕВА', MSGLEVEL=(1,1),
MSGCLACC=P
||-EXEC-FORTGCLG
|| FORT. SYSPRINT-DD-SVSOUT=P
|| FORT. SYSIN-DD *
- - - - - DIMENSION Y(31)

```

1 5;617 72173 . . 80

	X=1	
	DO 100 K=1,31	
	Y(K)=X * *3+SQRT(ABS(1-X * *2))	
100	X=X+0.1	
	WRITE (6,2)Y	
2	FORMAT (1X, 5E 15.5)	
	STOP	
	END	

```

| *
|| GO. FT06F001-DD-SYSOUT=P
|| GO. SYSPRINT-DD-SYSOUT=P
||

```

შენიშვნა: მმართველი ოპერატორები უნდა შევიყვანოთ  
პირველი პოზიციიდან, ხოლო პროგრამის ოპერატორები მეშვიდე  
პოზიციიდან, ქვე უნდა მოვათავსოთ პირველიდან ხუთ პოზიციაში.

დავალების აკრფის შემდეგ, ერთხელ კიდევ შევამოწმოთ ეკ-  
რანზე მოცემული ინფორმაცია, სანამ BB-ს დავაკერდეთ ეკრანიდან  
შეგვიძლია კორექტირება შევასრულოთ. თუ დავალება სწორადაა  
აკრფილი, ვაქერთ BB-ს, რის შედეგად ეკრანზე ვღებულობთ შეტ-  
ყობინებას

Посылайте команду

რომელიც გვიჩვენებს, რომ INPT ბრძანება შესრულდა. ინფორმაცია გაიგზავნა მუშა მონაცემების კრებულში. ტექსტი, რომელიც გაიგზავნეთ მუშა ნაწილში, შეიძლება გამოვიძახოთ ისევ ეკრანზე LIST ბრძანებით. ბრძანების ფორმატს აქვს სახე: LIST—[a] [, b] სადაც a და b გვიჩვენებს დიაპაზონს. თუ a და b არ არის მითითებული, მაშინ გამოვიძახებთ მთლიანად ჩანაწერს.

მუშა მიდამოში მოთავსებული ჩანაწერის დასანომრავად გამოიყენება ბრძანება NUMB. რიგითი ნომრები ჩაიწერება 73—80 პოზიციებში.

მუშა მიდამოში მოთავსებული ტექსტი შეიძლება დაიბეჭდოს ალფაბეტიურ-ციფრულ საბეჭდო მოწყობილობაზე ბრძანებით PRINT. ამ ბრძანების შესრულებისას თავდაპირველად იბეჭდება მომხმარებლის სახელი, რომელსაც ვუთითებთ სისტემაში შესვლის წინ, შემდეგ ტექსტი და რიგითი ნომერი ყოველი სტრიქონის დასაწყისში.

მუშა მიდამოში მოთავსებული მონაცემების ბიბლიოთეკაში შესანახად საჭიროა გამოვიყენოთ SAVE ბრძანება, რომლის ფორმატს აქვს შემდეგი სახე: SAVE—, ბიბლიოთეკის დასახელება (განყოფილების დასახელება), ამის შემდეგ სისტემა მოითხოვს ტომის დასახელებას. ავტომატურად ტომის დასახელება და დაეპირით თითო BB-ს. თუ იგივე განყოფილებას მივუთითებთ, რაც ადრე გექონდა, მაშინ ამ განყოფილებაში მოცემული ინფორმაცია შეიცვლება მუშა მიდამოში მოთავსებული ინფორმაციით და ეკრანზე მავილებით წარწერას

### Посылайте команду

ერთიანი სისტემის ეგმ-ის ოპერაციული სისტემისათვის დაეძღვება სისტემა „PRIMUS“-ის საშუალებით უნდა მომზადდეს ისეთი ფორმატით, როგორცაა ის მზადდება პერფორბრათებზე. აქედან გამომდინარე ყოველი სტრიქონი ეკრანზე შეესაბამება ერთ პერფორბრათს, სიმბოლოების ერთობლიობას, რომელიც მოცემულია ეკრანის ერთ სტრიქონზე (პერფორბრათზე) დაწყებული პირველი პოზიციიდან 80 პოზიციამდე. ეწოდება ჩანაწერი, ხოლო ჩანაწერების ერთობლიობას კი ტექსტი. თუ ჩანაწერი ეკრანის სტრიქონზე ბოლომდე არ არის შევსებული, მაშინ ახალ სტრიქონზე გადასვლა სრულდება  $\lfloor$  კლავიშზე დაჭერით.

დავალების ტექსტი თავიდანვე შეგვიძლია სრულყოფილი სახით, ან ნაწილ-ნაწილ, ხოლო შემდეგ სისტემის შესაძლებლობების გამოყენებით შევავსოთ სრული დავალების სახით.

მთელ სეანსზე მუშაობის დროს სისტემა „PRIMUS“-ში თითოეული მომხმარებლისათვის გამოიყოფა მკესიერების გარკვეული მიდამო, რომელსაც ეწოდება მუშა არე. ეს არე ემსახურება იმ

ტექსტის დამახსოვრებას, რომელსაც მთელი სეანსის განმავლობაში იყენებს მომხმარებელი. მუშა არე გაანგარიშებულია ისეთი ტექსტის შესანახად, რომლის ჩანაწერების რაოდენობა არ აღემატება 400-ს.

ტერმინალიდან ეგზ-ში ტექსტის შეტანისას სისტემა მუშა არეში ავზავნის ჩანაწერებს იმ მიმდევრობით, რა მიმდევრობითაც შედის ეკრანიდან. ამავე დროს თითოეული ჩანაწერი ინომრება შესაბამისად. შემდეგში მუშა არეში მოთავსებულ ჩანაწერს შეიძლება შეემართოს თავისი რიგითი ნომრის მიხედვით.

იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს შეტანილ ტექსტზე მუშაობა, მომდევნო სეანსებზე საჭიროა ტექსტი, მუშა არიდან გადაივზავნოს მაგნიტურ დისკოზე, პირადი მონაცემების კრებულისათვის განკუთვნილ განყოფილებაში, შესაბამისი სისტემური ბრძანებით.

იმისათვის, რომ ვნახოთ ამა თუ ბიბლიოთეკაში რა და რა განყოფილებებია მოთავსებული, ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ბრძანების კოდი CONT. მის ფორმატს აქვს შემდეგი სახე:

CONT— ბიბლიოთეკის დასახელება

კლავიშზე დაკერის შემდეგ ეკრანზე ვლებულობთ შეტყობინებას: Укажите имя тома, на котором расположен Ваш набор данных მომხმარებელმა უნდა მიუთითოს ტომის დასახელება და დააკიროს თითი BB-ს. დისპლეის ეკრანზე გამოჩნდება ბიბლიოთეკაში განლაგებული გახყოფილებების სათაურები. ყოველ ბიბლიოთეკაში შეიძლება მოთავსდეს 50 განყოფილება. თუ გვინდა გავაგრძელოთ სათაურების ნახვა, უნდა დავაკიროთ თითი BB ს, ხოლო თუ გვინდა დავამთავროთ ეს პროცესი, უნდა გამოვიყენოთ შიდა ბრძანება „E“. ე. ი. ავკრიფოთ E სიმბოლო და დავაკიროთ BB-ს.

„PRIMUS“-ის საშუალებით შეგვიძლია დავაფიქსიროთ ტომის დასახელება, რომ სისტემამ არ მოგვთხოვოს მისი სახელი. ამისათვის გამოვიყენება DVOL, რომლის ფორმატს აქვს შემდეგი სახე:

DVOL— ტომის სახელი

იმისათვის, რომ დავამთავროთ სისტემასთან მუშაობა, საჭიროა დავუცადოთ ბოლო ბრძანების შესრულებას და როდესაც ეკრანზე გამოჩნდება წარწერა „посылайте команду“, ავკრიფოთ ბრძანება END და დავაკიროთ თითი BB ს, რის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება წარწერა:

სახელი сеанс работы окончен!

იმისათვის, რომ ვნახოთ, თუ რა ინფორმაცია ინახება განყოფილებაში, საჭიროა გამოვიყენოთ LOOK ბრძანება, რომელსაც

აქვს შემდეგი სახე: LOOK— ბიბლიოთეკის დასახელება (განყოფილების დასახელება) ეკრანზე გამოჩნდება:

укажите имя тома, на котором расположен ваш набор данных  
პასუხად უნდა აეკრიფოთ ტომის დასახელება და დავაქიროთ თითო BB-ს. ეკრანზე პასუხად გამოჩნდება ჩანაწერები; ეკრანის გადაფურცვლა შეიძლება BB კლავიშზე თითის დაქერით. იმისათვის, რომ შევწყვიტოთ განყოფილების შინაარსის ნახვა, საჭიროა გამოიყენოთ ბრძანება E და დავაქიროთ თითი BB ს.

ეკრანზე მოვიღებთ შეტყობინებას:

Посылайте команду

სისტემა „PRIMUS“ ის საშუალებით შეიძლება ვნახოთ ბიბლიოთეკის განყოფილების შინაარსი, ამისათვის გამოიყენება ბრძანება COPY, რომლის ფორმატს აქვს შემდეგი სახე:

COPY— ბიბლიოთეკის დასახელება (განყოფილების დასახელება) ეკრანზე გამოჩნდება

Укажите имя тома, на котором расположен Ваш набор данных.  
უნდა აეკრიფოთ ტომის დასახელება და დავაქიროთ თითი BB-ს, პასუხად ეკრანზე გამოჩნდება Посылайте команду.

კორექტირებისათვის ბიბლიოთეკიდან COPY ბრძანებით მუშა მიღამოში გამოვიძახოთ განყოფილებაში ჩაწერილი ინფორმაცია, ხოლო შემდეგ გამოვიძახოთ ეკრანზე CORR ბრძანებით და შევასრულოთ შესწორება სისტემატრად. თუ საჭიროა, შეეცვალოთ ესა. თუ ის ჩანაწერი, ამისათვის გამოიყენება ბრძანება, ჩანაწერის ამოსაგდებად D ბრძანება, ხოლო ჩასამატებლად I ბრძანება და შესასწორებლად R ბრძანება.

ვთქვათ, გვინდა შევასწოროთ რაშდენიშე სტრიქონსაგან შემდგარი ფრაგმენტი R ბრძანების გამოყენებით. ამისათვის კურსორი უნდა დავაყენოთ შესასწორებელი სიმბოლოს ქვეშ და შევიტანოთ სათანადო შესწორება. შესწორებები შეიძლება შევიტანოთ ნებისმიერი თანამიმდევრობით, მაგრამ შესწორებების შეტანის დამთავრების შემდეგ კურსორი უნდა დავაყენოთ ფრაგმენტის უკანასკნელი სტრიქონის ბოლოში, დავაქიროთ თითი BB სიმბოლოს. თუ შესწორებები შეგვქონდა სტრიქონთა ბუნებრივი თანამიმდევრობის დაკვირვებით, ცხადია, კურსორი თავისთავად დაიკავებდა საჭირო მდებარეობას.

BB-ზე თითის დაქერის შემდეგ სისტემა კვლავ მოითხოვს გამოვყენოთ შემდეგი ფრაგმენტი ან დავამთავროთ მუშაობა. თუ საჭიროა სხვა ფრაგმენტში ინფორმაციის შეცვლა, ვიღებთ G სიმბოლოს, ვაქერთ თითს BB-ს და ვიქცევით ზემოთ აღნიშნულის ანალო-

გიურად. თუ კორექტირების გაგრძელება არ არის საჭირო, მაშინ უნდა აეკრიფოთ E სიმბოლო და დაეაქიროთ თითო BB-ს.

თუ საჭიროა რომელიმე ჩანაწერის ამოღება, გამოიყენება D ბრძანება, რომლის ფორმატს აქვს შემდეგი სახე:  $\text{D—}n\text{[},$  რომელიც გვიჩვენებს, რომ ეკრანზე გამოძახებული ფრაგმენტიდან ჩანაწერების რაოდენობაა n. თუ n არ შედის ამ ბრძანებაში, მაშინ ის ჩაითვლება ერთის ტოლად. ამ ბრძანების შემდეგ ვაქეროთ BB-ს, ამოვღებულ ფრაგმენტის დამახსოვრება ხდება გარკვეული რესურსებით და ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჩამატების ბრძანების დროს.

თუ გამოყვანილ ფრაგმენტში საჭიროა ახალი ჩანაწერის ჩამატება, მაშინ უნდა გამოვიყენოთ I ბრძანება, რომლის ფორმატს აქვს შემდეგი სახე:  $I—A$  და ვაქეროთ თითო BB-ს, სადაც A გვიჩვენებს იმ ჩანაწერის რიგით ნომერს, რომლის შემდეგ უნდა შევასრულოთ ჩანაწერების ჩასმა. ამ დროს ეკრანზე გამოჩნდება ინფორმაცია

1 2 3 4 ... 80

მონხმარებელმა უნდა აკრიფოს ერთი ან რამდენიმე ჩანაწერი, რომელიც უნდა ჩაისვას A-ს შემდეგ, ბოლოს დააქიროს თითო BB-ს.

მის შემდეგ, რაც განეხორციელებთ კორექტირების ყველა ბრძანებას, საჭიროა ვისარგებლოთ შიგა ბრძანებით E;

შენიშვნა: R, I, D ბრძანების დროს კორექტირება ხდება ეკრანზე, თუ იგი ცვლილებების შეტანა რომ შესრულდეს პირადი მონაცემების ერთობლიობაში, მუშა ველში, საჭიროა აეკრიფოთ E ბრძანება, ამით მთავრდება CORR ბრძანება. რის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება წარწერა;

Посылайте команду

როცა დავალბა ჩაწერება მისთვის განკუთვნილი ბიბლიოთეკის განყოფილებაში (SAVE ბრძანებით), ეს დავალბა შეიძლება გადაეცეს ოპერაციულ სისტემას პაკეტურ რეჟიმში შესასრულებლად ამ მიზნით გამოიყენება EXEC ბრძანება, რომლის ფორმატს აქვს შემდეგი სახე: EXEC— ბიბლიოთეკის სახელი (განყოფილების დასახელება) დაეაქიროთ BB-ს. ეკრანზე გამოჩნდება წარწერა:

на каком томе расположен Ваш набор данных

ამის შემდეგ საჭიროა ჩაწეროთ ტომის დასახელება და დაეაქიროთ თითო BB-ს. ეკრანზე გამოჩნდება წარწერა:

Задание поставлено в очередь на выполнение  
посылайте команду

D—A ბრძანების აკრეფისა და BB-ზე თითის დაქერის შემდეგ მივი-

ლები ინფორმაციას იმ დავალებებზე, რომლებიც მოცემულ მომენტში სრულდება სისტემაში—ცხრილის სახით აქვე ნაჩვენები იქნება შესრულების ბიჯი (ტრანსლაცია, რედაქტირება, ანგარიში).

დავალების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ SOUT ბრძანების საშუალებით. ბრძანებას აქვს სახე: SOUT— დავალების სახელი

და დავაქიროთ BB-ს.

თუ აღნიშნული დავალება შესრულებული არ არის ან მას არ გააჩნია მონაცემები P(დისპლეების) კლასში, მაშინ ეკრანზე გამოჩნდება გამათბობილებელი შეტყობინება და ამ ბრძანების შესრულება შეწყდება.

იმისათვის, რომ ვნახოთ კონკრეტული ინფორმაცია, აუცილებელია გამოვიყენოთ შემდეგი:

1. სისტემური შეტყობინების სანახავად ბრძანება:

L—

და დავაქიროთ BB-ს.

2. გამოსასვლელი მონაცემების სანახავად ბრძანება:

L—N

სადაც  $N=1$  განსაზღვრავს კომპილაციას,  $N=2$  რედაქტირებას  $N=3$  შედეგებს. SOUT ბრძანების დამთავრება შეიძლება E ბრძანების შესრულებით.

ნებისმიერი ბრძანების შესრულება შეიძლება შეწყვიტოთ ბრძანებით KILL და დავაქიროთ BB-ს, რის შედეგად ეკრანზე მიიღება შეტყობინება

ABEND, КОД ЗАВЕРШЕНИЯ-222

ამ შეტყობინების შემდეგ, რომ გავაგრძელოთ სისტემასთან მუშაობა უნდა დავაქიროთ BB-ს და დაველოდოთ შეტყობინებას *Посылайте команду* რის შემდეგ შეიძლება ვისარგებლოთ საკირო ბრძანებით. სისტემიდან გამოსვლა შეიძლება ბრძანებით END.

ხეხტემა „PRIMUS“-ის ბრძანება:

I. მუშაობა მუშა ველთან.

INPT— ტექსტის შეყვანა დისპლეიდან;

LIST— ტექსტის ნახვა ეკრანზე;

CORR— ტექსტის კორექტირება;

NUMB— ჩანაწერების დანომრვა;

PRINT— ტექსტის ბეჭდვა ალფავეიტურ-ციფრულ საბეჭდო მოწყობილობაზე.

## II. მუშაობა ბიბლიოთეკასთან

DVOL—ტომის ფიქსაცია;

COPY—ბიბლიოთეკიდან გაგზავნა მუშა ველში;

SAVF—მუშა ფელიდან ბიბლიოთეკაში გაგზავნა;

LOOK—ბიბლიოთეკიდან როშელიმე განყოფილების ნახვა ეკრანზე;

CONT—ბიბლიოთეკის განყოფილებების დასახელებების ნახვა ეკრანზე

## III. მუშაობა დავალებასთან

EXEC—დავალების გადაცემა პაკეტში დასამუშავებლად;

D—A—შესრულებაში მყოფ დავალებათა ნახვა;

SOUT—დავალების შედეგების ნახვა.

## IV. ნებისმიერია ბრძანების დაუყოვნებლივ შეწყვეტა

KILL

## V. ხსტემიდან გამოხვლა

END

DOS და OS სისტემაში EC ებმ-ეზის ფორბრან-ბრანსლატორის  
დიაგნოსტიკური შეტყობინებანი

ტრანსლატორი ასრულებს საწყისი პროგრამის სინტაქსურ ანალიზს, თუ პროგრამის როშელიმე ოპერატორში აღმოჩნდა შეცდომა, ამის შესახებ შეტყობინება იბეჭდება და კონტროლი გრძელდება მთელი პროგრამის ბოლომდე. ტრანსლაციისას ამოზექდილი შეტყობინებანი ორი ხაზისაა: შეტყობინებანი პროგრამის ოპერატორებში დაშვებული შეცდომის შესახებ და შეტყობინებანი, რომლებიც ამოიბეჭდება ტრანსლაციის დამთავრებისას. პირველი ხაზის შეტყობინება იქვე ოპერატორთან მიეითება. შეცდომის მიმთითებელს წარმოადგენს ფულადი ერთეულის ნიშანი    . ოგი იბეჭდება ოპერატორის მკდარი პოზიციის ქვეშ, შეტყობინების ფორმატს აქვს სახე:

IEYXXI შეტყობინება

მაგალითად,

WRITE (6, 7)

IEY004I    ||SINTAX

უნდა იყოს

WRITE (6, 7)Y

განვიხილოთ შეტყობინებათა ცხრილი ტრანსლაციისა და შეს.



რულების დროს. ტრანსლიაციის დროს მითითებული შეცდომები არის 0, 4, 8 და 16 დონის.

0 და 4 დონის შეცდომები გამაფრთხილებელია, ხოლო 8 და 16 დონისა სერიოზულს წაშლისადაც ნიშნავს, რომლის დროსაც როგორც წესი, წყდება ტრანსლიაცია.

პროგრამის შესრულებისას შეფერხების გამოწვევი მიზეზებია ძირითადად:

1. რიგის გადავსება;
2. რიგის დაკარგვა;
3. ნულზე გაყოფა.

თუ არითმეტიკული ოპტაციის შესრულების შედეგი აღემატება 6<sup>55</sup>, მაშინ ადგილი აქვს რიგის გადავსებას, თუ შედეგის შიდა ნაკლებია 16<sup>-55</sup>, მაშინ რიგის დაკარგვას აქვს ადგილი.

#### 4. ტრანსლიაციისას შეტყობინებათა ჩამოთვლა

ტრანსლიაციისას შეცდომების შესახებ OC—EC სისტემაში შეტყობინებას იძლევა ტრანსლატორი, რომელსაც ზოგადად აქვს შემდეგი სახე: IEYnnnI, კოდი.

კოდი გვიჩვენებს დაშვებული შეცდომის დონეს სირთულის მიხედვით. კოდი ლებულობს რიცხვით მნიშვნელობებს: 0, 4, 8, 16 რომლებიც აღნიშნავენ:

- 0—საწყისი მოდულის არაკორექტორული გაფორმება;
- 4—მოსალოდნელი შეცდომა დამუშავების მომდევნო ეტაპზე;
- 8—შეცდომა, რომლის დროსაც მომდევნო ეტაპზე დამუშავება შეუძლებელია;

16—უბეშო შეცდომა, რომლის დროსაც წყდება დამუშავებელი პროგრამის მუშაობა.

- IEY 001I 8. დაუშვებელი ტიპები; მუდმივების, ცვლადის ან გამოსახულების. ცვლადის ტიპის არასწორი გამოყენება ან განსაზღვრა.
- IEY 002I 0. გადასვლის ოპერატორის მომდევნო ოპერატორში გამოტოვებულია კოდი.
- IEY 003I 0. სახელი შეიცავს 6 სიმბოლოზე მეტს. ყურადღებაში მიიღება მხოლოდ პირველი 6 სიმბოლო.
- IEY 004I 0, ოპერატორში გამოტოვებულია ან ჩანულია მძიმე.

- IEY 005I 8. ოპერატორის ქდის არასწორი გამოყენება.
- IEY 006I 8. ქდის განმეორებითი ხმარება.
- IEY 007I 8. ერთი და იგივე სახელთა გამოყენებულნი პროგრამული ერთეულის სხვადასხვა ობიექტების აღსანიშნავად.
- IEY 008I 8. სახელის არასწორი გამოყენების გამო შეუძლებელია მესხიერების განაწილება.
- IEY 009I 8. ოპერატორების არასწორი თანმიმდევრობით დალაგება.
- IEY 010I 8. არასწორი ზომა (სიგრძე) ველის, მესხიერების, რიცხვის ან ქდის.
- IEY 011I 8. მასივის ელემენტის გამოყენება, რომელიც არ არის აღწერილი.
- IEY 012I 8. მასივის ელემენტის მითითებისას გამოყენებულ ინდექსთა რაოდენობა არ შეესაბამება მასივის განზომილებას.
- IEY 013I 8. ოპერატორი არ შეესაბამება ფორტრანის სინტაქსს.
- IEY 014I 8. ტიპის ცხადი აღწერის ოპერატორში ან DATA ოპერატორში ცვლადისათვის მისანიჭებელი მუდმივის ტიპი განსხვავდება ცვლადის ტიპისაგან.
- IEY 015I 8. საწყისი მოდული არ შეიცავს END ოპერატორს. ოპერატორი ჩაისმის.
- IEY 016I 8. ოპერატორის არასწორი გამოყენება.
- IEY 017I 0. STOP და RETURN ოპერატორთა არასწორი გამოყენება ქვეპროგრამასა და ძირითად პროგრამაში.
- IEY 018I 4. ბიბლიოთეკურ ქვეპროგრამაზე მიმართვისას არგუმენტთა რაოდენობის მცდარად მითითება.
- IEY 019I 4. ქვეპროგრამა ფუნქციაში ფუნქციის სახელს ან რომელიმე ფორმალურ პარამეტრს არ ენიჭება მნიშვნელობა ქვეპროგრამაში შესვლისას.
- IEY 020I 4. COMMON და EQUIVALENCE ოპერატორების არასწორი გამოყენების გამო ცვლადებისათვის მესხიერების განაწილება ვერ ხერხდება.

- IEY 0211 8. ოპერატორი, რომელზედაც 0 ოპერატორი მიუთითებს არ არის დაკლდეებული. ასეთი კლდეები ამოიბეჭდება შეტყობინებისას.
- IEY 0221 8. ოპერატორი, რომელზედაც სხვა ოპერატორი მიუთითებს არ არის დაკლდეებული. ასეთი კლდეები ამოიბეჭდება.
- IEY 0231 4. EQVIVALENCE ოპერატორში მითითებული ცვლადებისათვის შეხსიერების განაწილება ვერ ხერხდება ელემენტებს შორის წინააღმდეგობის გამო ან გათანაბრების წესის დარღვევის გამო. ასეთი ცვლადები ამოიბეჭდება.
- IEY 0241 4. EQVIVALENCE ოპერატორში გამოყენებული მასივის ელემენტი არ ეკუთვნის აღწერილ მასივს.
- IEY 0251 4. ცვლად განზომილებიანი მასივის არასწორი განსაზღვრა, შეტყობინების შემდეგ იბეჭდება არასწორად განსაზღვრულ მასივთა განზომილებანი და სახელები.
- IEY 0261 4. მონაცემების ბლოკში გამოყენებულია ცვლადები, რომლებიც არ არის მითითებული COMMON ოპერატორში. შეტყობინების შემდეგ იბეჭდება ასეთ ცვლადთა სია.
- IEY 0271 8. ოპერატორი შეიცავს 19 სტრიქონზე მეტ გაგრძელებას.
- IEY 0291 0. შეცდომა დაშვებულია პერფორაციისას. ასეთი პერფორაცია იგნორირებულია.
- IEY 0321 0. \* ოპერატორი უსწრებს ფორტრანის საწყისი მოდულის ოპერატორებს. მიმდინარეობს ცარიელი მოდულის დამუშავება.
- IEY 0331 0. ორ მომდევნო ოპერატორს შორის მოთავსებულია 30-ზე მეტი კომენტარი. ზეღმეტი კომენტარის იგნორირება ხდება.
- IEY 0341 9 ან 16 მონაცემთა შეტანა—გამოტანისას წარმოიშვა შეცდომა.
- IEY 0351 შეცდომა DD ოპერატორის არასწორი ჩაწერის გამო.
- IEY 0361 0 არაშესრულებადი ოპერატორი გარდა FORMAT ოპერატორისა დაკლდეებულია. ასეთ შემთხვევაში ხდება კლდის იგნორირება.
- IEY 0371 4. მასივის განზომილება განსაზღვრულია ორჯერ

IEY 0381 4. მუდმივის განზომილება, რომელიც მიითთებულია ტიპის ცხადი აღწერის ოპერატორში Dან ΔTA ოპერატორში მუდმივის მნიშვნელობა აღემატება შესაბამისი ცვლადის ან მასივის ელემენტის სიდიდეს.

IEY 0391 0 RETURN ოპერატორი გამოტოვებულია და ის ჩაისმის.

**პროგრამის შესრულებისას დაშვებულ შეცდომათა შეტყობინების ჩამოთვლა:**

ფორტრანზე ჩაწერილი მომხმარებლის პროგრამის შესრულებისას დაშვებული შეცდომის შესახებ შეტყობინებას ზოგადად აქვს შემდეგი სახე:

IHC nnnl. შეტყობინების ტექსტი.  
ესენია:

IHC 207l. პროგრამული წყვეტა რიგის გადავსების გამო, შედეგი— მაქსიმალური დასაშვები რიცხვი.

IHC 208l. პროგრამული წყვეტა რიგის გაქრობის გამო, შედეგი—ნული.

IHC 209l. პროგრამული წყვეტა გაყოფის შემოწმებისა. გაყოფა არ მემდინარეობს.

IHC 210l. პროგრამული წყვეტა, იბეჭდება პროგრამის მდგომარეობა, რომლის მერვე სიმბოლო გვიჩვენებს შეწყვეტის მიზეზს.

IHC 211l. FORMAT ოპერატორის სარგებლობისას აღმომოჩინილია დაუშვებელი სიმბოლო.

IHC 212l. ფორმატიზირებული ჩანაწერის შეტანის ან გა. მოტანის ცდა, რომელიც აღემატება განსაზღვრული ლოგიკური ან ფიზიკური მოწყობილობისათვის მაქსიმალურად დასაშვებ სიგრძეს. შეტყობინების შემდეგ იბეჭდება მონაცემების ერთობლიობის მითითებითი ნომერი XXX.

IHC 213l. უფორმატო შეტანის სია აღემატება ლოგიკურ-ჩანაწერის სიგრძეს. დაიბეჭდება მონაცემების ერთობლიობის მიმთითებელი ნომერი და მოხდება დანარჩენების იგნორირება.

IHC 214l. უფორმატო შეტანისას ან გამოტანისას მითითებული ჩანაწერის F ტიპი.

IHC 215l. ფორმატიზირებული ჩანაწერის შეყვანისას კოდე-

ბით I, E, F და D აღმოჩენილია დაუშვებელი სიმბოლო. სიმბოლო XXX დახეკვლება და შეიცვლება ნულით.

IHC 217I.

შეტანისას შეხვდა მონაცემების ერთობლიობის დასასრული, ხოლო სიის მიხედვით ელემენტების შეყვანა არ არის დამთავრებული. იბეჭდება ასეთი მონაცემების ერთობლიობის ნომერი XXX და შეტანა იწყება მომდევნო ფაილის.

IHC 219I

ჩასატვირთი მოდული შეიცავს მიმართვას არ არსებული მონაცემების ერთობლიობაზე. შეტანა—გამოტანის იგნორირება.

IHC 230I

YYY კვებროგრამის შესრულებისას აღმოჩენილია ოპერატორში შინაგანი ნორმით XXX. შესრულება წყდება.

IHC 232I.

ჩანაწერის ნომერი არ ეთანადება მონაცემების ერთობლიობაში ჩანაწერების რაოდენობას. შეტანა-გამოტანა იგნორირებულია.

IHC 236I

ოპერატორი READ მიმართავს მონაცემების ერთობლიობას, რომელი არ არის შექმნილი. შეტანა-გამოტანა იგნორირებულია.

IHC 241I

მთელი რიცხვის ახარისხება მთელი ხარისხში, თუ ფუძე უდრის ნულს, ხოლო ხარისხის მაჩვენებელი უარყოფითია ან ნულოვანი, შედეგი—ნული.

IHC 242I.

იხ. IHC 241I. ფუძე არის რეალური რიცხვი (ნამდვილი რიცხვი).

IHC 243I.

იხ. IHC 241I, როცა ფუძე არის ორმაგი სიზუსტით.

IHC 244I.

რეალური რიცხვის ახარისხება რეალურ ხარისხში. რეალურ ხარისხში, თუ ფუძე უდრის ნულს, ხოლო ხარისხის მაჩვენებელი უარყოფითია ან ნულოვანი, შედეგი—ნული.

IHC 245I.

ორმაგი სიზუსტის მოცემული რიცხვის ახარისხება ორმაგი სიზუსტით ხარისხში, თუ ფუძე უდრის ნულს, ხოლო ხარისხის მაჩვენებელი უარყოფითია ან ნულოვანი. შედეგი—ნული.

IHC 246I.

კომპლექსური რიცხვის ახარისხება, რომლის ფუძის სიგრძე არის 8 ბაიტი, მთელ ხარისხში თუ ფუძე უდრის ნულს, ხოლო ხარისხის მაჩვენებელი

- ნებელი უარყოფითია ან ნულოვანი. შედეგი — ნული.
- IHC 247I. იხ. IHC 246I, როცა ფუძე კომპლექსური რიცხვითა სიგრძით 16 ბაიტი.
- IHC 251I. უარყოფითი ნამდვილი რიცხვიდან კვადრატული ფესვის ამოღება. მოდულიდან ამოიღება ფესვი.
- IHC 252I. მაჩვენებლიანი ფუნქციის გამოთვლა, როცა არგუმენტი შეტია 174. 974.  
შედეგი—მაქსიმალურად დასაშვები რიცხვი.
- IHC 253I. ნამდვილი რიცხვის ლოგარითმების გამოთვლა, როცა არგუმენტი ნულია ან უარყოფითი. ეს შეტყობინება მიუთითებს აგრეთვე უარყოფითი ფუძის რეალურ ხარისხში აყვანის ცდაზეც. თუ ნამდვილი რიცხვი უდრის ნულს, შედეგი—მაქსიმალურად დასაშვები რიცხვია, თუ არ უდრის ნულს, შედეგი—მოდულის ლოგარითმია.
- IHC 254I. ნამდვილი რიცხვის სინუსის (კოსინუსის) გამოთვლა, როდესაც არგუმენტის აბსოლუტური მნიშვნელობა აღემატება ან ტოლია  $\pi \cdot 2^{18}$ . შედეგი  $\sqrt{2} / 2$ .
- IHC 255I. ნულის ტოლი ორი ნამდვილი რიცხვის შეფარდების არკტანგენსის მნიშვნელობის გამოთვლა. შედეგი—ნული.
- IHC 256I. ჰიპერბოლური სინუსის ან კოსინუსის გამოთვლა, როცა არგუმენტი ნამდვილი რიცხვია, რომლის აბსოლუტური მნიშვნელობა მეტი ან ტოლია 174. 673. შედეგი—მაქსიმალურად დასაშვები რიცხვი.
- IHC 257I. ნამდვილი რიცხვის არკსინუსის (არკოსინუსის) გამოთვლა, როდესაც არგუმენტის აბსოლუტური მნიშვნელობა მეტი ან ტოლია 1-ის. შედეგი—ნული.
- IHC 258I. ნამდვილი არგუმენტის ტანგენსის და კოტანგენსის გამოთვლა, როდესაც აბსოლუტური მნიშვნელობა მეტი ან ტოლია  $\pi \cdot 2^{18}$ . შედეგი—1.
- IHC 259I. განსაკუთრებული წერტილის მახლობლობაში მოცემული ნამდვილი რიცხვის ტანგენსის გა-

- მოსვლა. შედეგი—მაქსიმალურად დასაშვები რიცხვი.
- IHC 2611. იხ. IHC 2511, უარყოფითი რიცხვისათვის ორმაგი სისუსტიე.
- IHC 2621. იხ. IHC 2521, ორმაგი სიზუსტის რიცხვისათვის.
- IHC 2631. იხ. IHC 2531, ორმაგი სიზუსტის რიცხვისათვის.
- IHC 2641. იხ. IHC 2541, ორმაგი სიზუსტის რიცხვისათვის, რომლის მოდული  $\geq \pi \cdot 2^{10}$ .
- IHC 2651. იხ. IHC 2551, ორმაგი სიზუსტის რიცხვისათვის.
- IHC 2661. იხ. IHC 2561, ორმაგი სიზუსტით რიცხვისათვის.
- IHC 2671. იხ. IHC 2571. ორმაგი სიზუსტით რიცხვისათვის.
- IHC 2681. იხ. IHC 2581, ორმაგი სიზუსტით რიცხვისათვის, რომლის მოდული  $\geq \pi \cdot 2^{10}$ .
- IHC 2691. იხ. IHC 259, ორმაგი სიზუსტით რიცხვისათვის.
- IHC 2711. კომპლექსური რიცხვის ექსპონენტის გამოთვლა, როდესაც არგუმენტის სიგრძე შეადგენს 8 ბაიტს და რომელიც აღემატება 174. 673. შედეგი—მაქსიმალურად დასაშვები რიცხვის ნამრაველი ( $\cos Z + i \sin Z$ ), სადაც  $i$ —არგუმენტის წარმოსახვითი ნაწილია.
- IHC 2721. კომპლექსური რიცხვის ექსპონენტის გამოთვლა. როდესაც რიცხვს ნამდვილი ნაწილის სიგრძე შეადგენს 8 ბაიტს და აღემატება  $\pi \cdot 2^{18}$ . შედეგი—ნული ნამდვილ და წარმოსახვით ნაწილებში.
- IHC 2731. კომპლექსური რიცხვის ლოგარითმის გამოთვლა, როდესაც რიცხვის სიგრძე შეადგენს 8 ბაიტს, ნამდვილი და წარმოსახვითი ნაწილი უდრის ნულს. შედეგი—ნამდვილ ნაწილში მაქსიმალურად დასაშვები რიცხვი, წარმოსახვით ნაწილში—ნული.
- IHC 2741. კომპლექსური სინუსის (კოსინუსის) გამოთვლა, როდესაც ნამდვილი ნაწილის სიგრძე 8 ბაიტს შეადგენს, რომლის მოდული მეტი ან ტოლია  $\pi \cdot 2^{18}$ . შედეგი—ნამდვილი და წარმოსახვითი ნაწილი ნულია.
- IHC 2751. კომპლექსური რიცხვის სინუსის (კოსინუსი) გა-

მოთვლა, როდესაც წარმოსახვითი ნაწილის სიგრძე 8 ბაიტს შეადგენს, ხოლო მოღულო მეტია 174. 673-ზე.

IHC 900I.

შეცდომათა რაოდენობა XXX ნომრით აღემატება დასაშვებ მნიშვნელობას. შესრულება წყდება.

5. შესრულებადი პროგრამის შეტყობინებანი

შეტყობინების კოდი	შეცდომის მიზეზი
1	2
ILF210I	<p>შეცდომის გამო საწყისი ოპერატორი არ იქნა ტრანსლირებული.</p> <p>შეტყობინების ფორმატია:            SOURCE ERROR AI ISN 000 nnn EXECUTLON FAILED AT SUBROUTINE-XXX            სადაც nnn—შეცდომის პირველ ოპერატორის რიგითი ნომერია:            XXX—მედარი ოპერატორის შემცველი პროგრამის სახელი.</p>
ILF211I	<p>FORMAT ოპერატორით კიბხვის 01 ბეჭდვის დროს აღმოჩენილია დაუშვებელი კოდი.</p>
ILF212I	<p>1. ისეთი ფორმატიზირებული ჩანაწერის შეტანას ან გამოტანის ცდა, რომლის სიდიდე აღემატება განსაზღვრული ლოგიკური ან ფიზიკური მოწყობისათვის მაქსიმალურად დასაშვებ სიგრძეს.</p> <p>2. ფორმატიზირებული ჩანაწერიდან იმაზე მეტი ჩანაწერების წაკითხვის ცდა, ვიდრე ის შეიცავს.</p>
ILF219I	<p>მაგნიტური ლენტადან. დისკიდან ან ბარათების შეხატან მონაცემებიდან წაკითხულია ფაილის ბოლო.</p>
ILF223I	<p>ფორმატიზირებული ჩანაწერის შეტანისას აღმოჩენილია არასწორი სიშბოლო.</p>
ILF225I	<p>მოხდა პროგრამული არითმეტიკული წყვეტა. ამ შეტყობინებას თან ახლავს ძველი PSW-ს ბეჭდვა და ნაბეჭდს აქვს სახე.            program interrupt old PSW xxxxxxxxxxxxxxxxxxx</p>



1	2												
	<p>i—მნიშვნელობა მიუთითებს წყვეტის მიზეზს;            9—ფიქსირებულ მძიმეანი გაყოფა;            B—ათობითი გაყოფა;            C—რივის გადავსება;            D—რივის გაქრობა;            F—მოდრამეშიანი გაყოფა;</p> <p>შეტყობინების ბეჭდვის შემდეგ შეწყვეტილი პროგრამის შესრულება გრძელდება იმ წერილიდან, რომელშიც მოხდა წყვეტა.</p>												
ILF2261	<p>მოხდა არაირითმეტიკული პროგრამული წყვეტა. იმ შეტყობინებას თან ახლავს ძველი PSW-ს ბეჭდვა და ნაბეჭდბ აქვს სახე:</p> <pre>program interrupt lod PSW xxxxxxxixxxxxxx</pre> <p>i-ს მნიშვნელობა წყვეტის მიზეზი;</p> <table border="0"> <tr><td>1</td><td>ოპერაცია;</td></tr> <tr><td>2</td><td>პროფილეგირებული ოპერაცია;</td></tr> <tr><td>3</td><td>ბრძანება „შესრულდეს“;</td></tr> <tr><td>4</td><td>დაცვა;</td></tr> <tr><td>5</td><td>ადრესაცია;</td></tr> <tr><td>7</td><td>მონაცემები.</td></tr> </table> <p>შეტყობინების ბეჭდვის შემდეგ პროგრამის შესრულება წყდება, თუ მოხდა წყვეტა i=6-სათვის, მაშინ შეტყობინებას აქვს სახე:</p> <pre>program interrupt old PSW xxxxxxxixxxxxxx</pre> <p>იგი მიუთითებს, რომ სწარმოებს ხაჭირო საზღვარზე გახწორება. ეს შეტყობინება იბეჭდება არა უშუალოდ ითისა. ამის შემდეგ იგი აღარ იბეჭდება, თუნდაც საზღვარზე გახწორება მიინც გრძელდებოდეს.</p>	1	ოპერაცია;	2	პროფილეგირებული ოპერაცია;	3	ბრძანება „შესრულდეს“;	4	დაცვა;	5	ადრესაცია;	7	მონაცემები.
1	ოპერაცია;												
2	პროფილეგირებული ოპერაცია;												
3	ბრძანება „შესრულდეს“;												
4	დაცვა;												
5	ადრესაცია;												
7	მონაცემები.												
ILF2391	<p>მონაცემთა შეტანა-გამოტანისას წარმოიშეი შეცდომა, რომლის გახწორება ვერ ხერხდება.</p>												
ILF2411	<p>შთელი რიცხვის ახარისხება შთელ ხარისხში, თუ ფუძე უდრის ნულს, ხოლო ხარისხის მაჩვენებელი უარყოფითია ან ნულოვანი.</p>												
ILF2421	<p>რეალური რიცხვის ახარისხება მთელ ხარისხში, თუ ფუძე უდრის ნულს, ხოლო ხარისხის მაჩვენებელი უარყოფითია ან ნულოვანი.</p>												

ILF244I	რეალური რიცხვის აბარისხება რეალურ ხარისხში თუ ფუძე უდრის ნულს, ბოლო ხარისხის მიჩვენებელი უარ- ყოფითია ან ნულოვანი.
ILF251I	უარყოფითი რიცხვიდან კვადრატული ფესვების აშოღება-
ILF252I	მიჩვენებლიანი ფუნქციის გამოთვლა, როცა არგუმენ- ტი მეტია 174.673-ზე
ILF253I	ლოგარითმების გამოთვლა, როცა არგუმენტი ნულია ან უარყოფითი. ეს შეტყობინება მიუთითებს აგრეთვე უარ- ყოფითი ფუძის რეალურ ხარისხში იყვანის ცდაზეც.
ILF254I	სინუსის ან კოსინუსის გამოთვლა, როდესაც არგუ- მენტის აბსოლუტური მნიშვნელობა აღემატება ან ტოლია 21 <sup>π</sup> -ს
ILF255I	ორი რიცხვის არკტანგენსის გამოთვლა, თუ ორივე რიცხვი ნულის ტოლია.
ILF256I	ჰიპერბოლური სინუსის ან კოსინუსის გამოთვლა, რო- დესაც არგუმენტის აბსოლუტური მნიშვნელობა აღემატება 174.673-ს.
ILF257I	არკსინუსის ან არკოსინუსის გამოთვლა, როდესაც არგუმენტის აბსოლუტური მნიშვნელობა აღემატება ერთს.
ILF259I	ტანგენსის ან კოტანგენსის გამოთვლა, როდესაც არ- გუმენტის აბსოლუტური მნიშვნელობა აღემატება 21 <sup>π</sup> -ს
ILF259I	ტანგენსის ან კოტანგენსის გამოთვლა, როდესაც არ- გუმენტის მნიშვნელობა ძალიან ახლოსაა განსაკუთრებულ წერტილებთან ერთ-ერთთან: $\frac{\pi}{2}$ — ტანგენსისათვის; $\pi$ — კოტანგენსისათვის (აქ $\pi$ კენტი რიცხვია).

§ 10. ალგორითმული ენა „ბაისიკის“ ელემენტები

პროგრამირების სწავლების პრაქტიკაში, ბოლო წლებში, ფარ-  
თო გავრცელება ჰპოვა პროგრამირების ენამ „ბეისიკმა“, რომლის  
შოკლე აღწერას ქვემოთ განვიხილავთ. ენის თავისებურება დამოკი-

დებულებულია ეგმ-ების ტიპზე. აქ განიხილება აღნიშნული ენის ძირითადი ბირთვი, რომელიც არაა დამოკიდებული ეგმ-ის ტიპზე.

ბეისიკ-ენა შემუშავდა 1965 წელს, აშტამად არსებობს ამ ენის უამრავი სახეცვლილება, რომელიც არსებითად არ განსხვავდება ძირითადი ბირთვისაგან.

ჩვენს ქვეყანაში ამ ენამ დიდი პოპულარობა მოიპოვა პიკეტური რეჟიმის რეალიზაციის საქმეში. ის ფართოდ გამოიყენება მანქანასა და აღამიანს შორის დიალოგური რეჟიმის დროს. გარდა ამისა, მის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებაში, რომ ის ახლოსაა საკმაოდ საყოველთაოდ გავრცელებულ ფორტრან ენასთან.

ბეისიკ-ენის სიმბოლოებს მიეკუთვნება:

1) 25 ლათინური ასოები A-დან Z-მდე;

2) 10 ათობითი ციფრი 0-დან 9-მდე;

3) 4 სასენი ნიშანი .(წერტილი); ,(მძიმე); ;(წერტილ-მძიმე); '(აპოსტროფი).

4) 5 არითმეტიკული მოქმედების ნიშანი + (პლუსი), - (მინუსი), \*(გამოავლება), /(გაყოფის ნიშანი), †(ახარისხება).

5) 6 შედარების ნიშანი =(ტოლია), ≠(არ არის ტოლი), >(მეტაა), ≥(მეტი ან ტოლი), <(ნაკლები), ≤(ნაკლები ან ტოლი).

6) ( ) მრგვალი ფრჩხილები;

7) — ინტერვალი;

8) კარეტის დაბრუნება.

ბეისიკის რუსულ ვარიანტს დამატებული აქვს რუსული ალფაბეტის ასოები. უპირველეს ყოვლისა განვიხილოთ როგორი სახით წარმოიდგინება მუდმივები, ცვლადები, ფუნქციები და გამოსახულებები.

**მუდმივები.** მუდმივები ორგვარია: რიცხვითი და ტექსტური, რიცხვითი მუდმივები თავის მხრივ ორგვარია: ნამდვილი და მთელი. ნამდვილი რიცხვის ჩაწერისას მთელი ნაწილი წილადი ნაწილისაგან გამოიყოფა წერტილით. ბეისიკ ენაში გამოიყენება აგრეთვე რიცხვის ჩაწერის ექსპონენციალური ფორმა, ბეისიკში დასაშვებია ნამდვილი რიცხვები დიაპაზონში  $10^{-38}$  და  $10^{+38}$ . ნამდვილი რიცხვების ჩაწერის მაგალითები-

ჩვეულებრივ ფორმით  
—0,85035·10<sup>-3</sup>

8,75

7

ბეისიკ ენაზე  
— .85035E—03

8.75

7

მთელი რიცხვები ათობითი ციფრების ერთობლიობაა პლუსი ან მინუსი ნიშნით ლიაპაზონში —32768 და +32767-მდე. მაგალითები:

ჩვეულებრივი ფორმით	ბესიკ ენაზე
—15	—15
125	125
10 <sup>2</sup>	1000

ტექსტური მუდმივები წარმოადგენს ასოებისა, ან ასოებისა და ციფრების ერთობლიობას, ტექსტური მუდმივები პროგრამაში ჩაიწერება აპტსტროფებში. მაგალითად 'ТАБЛИЦА'.

ცვლადები- ცვლადები აღინიშნება ლათინური ალფაბეტის ასოებით. გამოიყენება ბექტური ასოები A-დან Z-მდე. დასაშვებია ცვლადების ჩასაწერად ორი სიმბოლო, რომელშიც პირველი ასოა, ხოლო მეორე ციფრი. ერთ პროგრამაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს 286 სხვადასხვა ცვლადი. ცვლადთა აღნიშვნის მაგალითები: X, Y, A, B, C, X1, X2, A1, B2, C3 და ა. შ. როგორც მუდმივები ასევე ცვლადებიც შემდეგნაირია: ნამდვილი, მთელი და ტექსტური.

მთელი ტიპის ცვლადები ბოლოვდება %-ის სიმბოლოთი, ხოლო ტექსტური ცვლადები — ○ სიმბოლოთი. ტექსტური ტიპის ცვლადს შეუძლია მიიღოს სიმბოლოთა 255-მდე რაოდენობა.

A5—ნამდვილი ტიპის ცვლადი;

A5%—მთელი ტიპის ცვლადი;

A5○—ტექსტური ტიპის ცვლადი.

ფუნქციები. ენაში ფუნქცია შეიძლება განსაზღვროს პროგრამისტმა. გარდა პროგრამისტის მიერ განსაზღვრული ფუნქციისა, არსებობს რამდენიმე სტანდარტული ფუნქცია, რომელთათვის განკუთვნილია სპეციალური სახელწოდებები შედგენილი სამი ასოსაგან. გავრცელებული ფუნქციებისათვის თითოეულ ეგმ-ზე შენახულია პროგრამა, რომლის საშუალებით გამოითვლება აღნიშნული ფუნქცია. მით ეწოდებათ სტანდარტული ფუნქციები. დავასახელოთ რამდენიმე სტანდარტული ფუნქცია.

მათემატიკური აღნიშვნა

sin x

cos x

tg x

arctg x

ln x

|x|

ბესიკზე ჩაწერა

SIN(x)

COS(x)

TAN(x)

ATN(x)

LOG(x)

ABS(x)

$\sqrt{x}$	SQR(x)
$e^x$	EXP(x)
$\text{SIGN } x = \begin{cases} 1, & \text{თუ } x > 0 \\ 0, & \text{თუ } x = 0 \\ -1, & \text{თუ } x < 0 \end{cases}$	SGN(x)

### არითმეტიკული ბაზოეახულეზა

არითმეტიკული გამოსახულება ჩაიწერება სტრიქონის მიხედვით, ყოველგვარი ზედა და ქვედა ინდექსების გარეშე. გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა იწარმოება მარცხნიდან მარჯვნივ, საერთოდ მიღებული მოქმედებების საფეხურების მიხედვით. მოქმედებების რიგი წესრიგდება მრგვალი ფრჩხილების დახმარებით.

მუდმივები, ცვლადები, ფუნქციები წარმოადგენენ არითმეტიკული გამოსახულების კერძო შემთხვევებს, განვიხილოთ არითმეტიკული გამოსახულების ჩაწერის მაგალითები:

მათემატიკური ჩაწერა

$$\frac{A+B}{2}$$

$$|x-y|$$

$$ax^2+bx+c$$

ბეისიკზე ჩაწერა

$$(A+B)/2$$

$$\text{ABS}(X-Y)$$

$$A * X^2 + B * X + C$$

ოპერატორები ბეისიკ-პროგრამა შედგება ოპერატორებისაგან ანუ წინადადებისაგან. თითოეული ოპერატორი გვიჩვენებს ამა თუ იმ მოქმედებას, ბეისიკ-ენის უმარტივეს ოპერატორს წარმოადგენს მინიკების ოპერატორი, რომლის ზოგად ფორმულას აქვს შემდეგი სახე  $LET A = E$ , სადაც LET (ვთქვათ) ოპერატორის სახელწოდებაა, A ცვლადია, E—არითმეტიკული გამოსახულება. მინიკების ოპერატორის მაგალითები:

$LET X = 0$  ამ ოპერატორით X ცვლადს მიენიჭება მნიშვნელობა ნული.  $LET T = T + 1$  T ცვლადის მნიშვნელობა იზრდება ერთი ერთეულით.  $LET D = B^2 - 4 * A * C$  D ცვლადს ენიჭება  $b^2 - 4ac$  ს ტოლი მნიშვნელობა. მონაცემების ბლოკი—ოპერატორი DATA (მონაცემები); საწყისი მონაცემები (რიცხვითი ინფორმაცია) შეიძლება მოცემულ იქნეს პროგრამაში DATA ოპერატორით. მონაცემების ბლოკში შეიძლება გაერთიანებულ იქნას ერთი ან რამდენიმე DATA ოპერატორი.

DATA 200

DATA 5, -2, -7.3, 12.5

რიცხვით ინფორმაცია უნდა მოვათავსოთ უშუალოდ DATA სიტყვის შემდეგ. თუ რამდენიმე რიცხვი მოსდევს DATA ოპერატორს, მაშინ რიცხვებს შორის დაისციხის მძიმე, პროგრამის შესრულებისას DATA ოპერატორით მოცემული რიცხვების წაკითხვა სრულდება READ(კითხვა) ოპერატორის საშუალებით.

READ ოპერატორი. მონაცემების წაკითხვის ოპერატორი იწყება სიტყვით READ(კითხვა). მას მოსდევს ერთი ან რამდენიმე ცვლადი. ცვლადები ერთმანეთისაგან გამოიყოფა მძიმით. READ ოპერატორი შესაბამისობაში იმყოფება DATA ოპერატორთან, პროგრამაში მათი ჩაწერის რიგის მიხედვით. მაგალითი:

```
DATA 3,7,8
DATA 11, -15, 13 2, 0,19
READ A
READ B, X1, X2
```

ამ ოპერატორებით A, B, X1, X2 ცვლადებს მიენიჭებათ შესაბამისად მნიშვნელობები 3,7; 8; 11, -15. რის შემდეგ მონაცემების ბლოკში კიდევ მნიშვნელობები. დარჩენილი ორი რიცხვი 13,2 და 0,19 შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ცვლადებისათვის. არსებობს აგრეთვე მონაცემების ბლოკის საწყის მდგომარეობაში აღდგენის საშუალება. როგორც განხილულიდან ჩანს, DATA ოპერატორით მოცემულია რიცხვითი ან ტექსტური მონაცემები, ხოლო მოთხოვნას მონაცემებზე იძლევა READ ოპერატორი. ზოგიერთ შემთხვევაში DATA და READ ოპერატორებში მონაცემების და ცვლადების რაოდენობა არ შეესაბამება ერთმანეთს, თუ ცვლადების რაოდენობა აღემატება მონაცემების რაოდენობას, მაშინ დიალოგის რეჟიმში პროგრამის შესრულება წყდება და ეგზი ი იძლევა შეტყობინებას შეცდომის შესახებ.

მაგალითი: DATA-5, 'ABC', -2.3, 13  
READ A%, C, B, M%, Q, N

ბეისიკი მნიშვნელობებს მიანიჭებს შემდეგი თანამიმდევრობით:

```
A = -5
C = ABCDE
B = -2.3
M = 13
```

მნიშვნელობების მოთხოვნა Q, N ცვლადებისათვის გრძელდება.

თუ პროგრამაში მხოლოდ ერთი DATA ოპერატორია გამოყენებული, მაშინ მუშაობა წყდება შეცდომის გამო.

ოპერატორი RESTORE საშუალებას იძლევა DATA ოპერატორს მიემართოს განმეორებით თავიდან საწყისი მნიშვნელობიდან.

ბეისიკ ენაზე ჩაწერილი პროგრამის ყოველი სტრიქონი დანომრავლია, ნუმერაცია დასაშვებია ჩავატაროთ ბუნებრივი თანმიმდევრობით 1, 2, 3 . . . .

მაგრამ ნუმერაცია შეიძლება ვაწარმოოთ გარკვეული ინტერვალით მაგალითად 5, 10, 15, 20, . . . . ან 10, 20, 30, . . . .

ასეთი ნუმერაცია საშუალებას იძლევა დამატებით, პროგრამის შესწორებისას, საკიროების შემთხვევაში ჩაეუმართო ოპერატორები მოცემული ნუმერაციის შეცვლის გარეშე. განვიხილოთ RESTORE ოპერატორის გამოყენების მაგალითი:

```
10 DATA 3.4, 7.3, 11.5, 0.2, 5.6
20 READ X
30 PRINT X
40 READ Y, Z
50 PRINT Y, Z
60 RESTORE
70 READ A, B, C, D, E
80 PRINT A, B, C, D, E
90 END
```

ოპერატორების შესრულების შედეგად გვექნება:

```
X=3.4
Y=7.2
Z=11.5
A=3.4
B=7.2
C=11.5
D=0.2
E=5.6
```

ზოგჯერ საკიროა ორ ან მეტ სხვადასხვა ცვლადს მიენიჭოს ერთი და იგივე მნიშვნელობა, ასეთ შემთხვევაში რამდენიმე მინიკების ოპერატორის ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ ერთი შედეგნილი მინიკების ოპერატორი.

მაშასადამე, მინიკების ოპერატორის ზოგად ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

HC LFT  $V_1 = V_2 = \dots = V_n = c$

სადაც

HC—სტრიქონის ნომერია,

V<sub>2</sub> — ცვლადის სახელწოდებაა,

⊗ — არითმეტიკული გამოსახულება.

მაგალითი:

20 LET A=2

30 LET B=4

.

.

100 LET X=A\*B=(A+B)↑2

100-ით სახელდებული ოპერატორის შესრულების შედეგად X, A და B ცვლადებს შენიჭებათ რიცხვითი მნიშვნელობა 36.

ქდის შაკისმალური სიდიდე დამოკიდებულია დიალოგურ სისტემებზე. ბეისიკ-პროგრამის ყოველი ოპერატორი დაქდევებულია ოპერატორის ქდეს წარმოადგენს მთელი რიცხვი. ეს იცვლება დიაპაზონში 1-დან 9999-მდე.

სხვა ალგორითმულ ენებთან შედარებით ბეისიკ-ენაზე ყოველი ოპერატორის დაქდევებას ის უპირატესობა აქვს, რომ მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა შეცვალოს ნებასმიერი სტრიქონის შინაარსი. ამისათვის საკმარისია თავიდან ჩაიწეროს ოპერატორი, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა.

პროგრამის ბოლო ოპერატორს წარმოადგენს ოპერატორი END. ბეისიკ პროგრამის გამართვისათვის ან შესრულებისათვის უცილებელია გამოყენებულ იქნას მმართველი ბრძანებები. სიმარტივისათვის შემოვიფარგლოთ ოპერატორებით NEW(ახალი) და RUN(გაშვება).

აღნიშნული ოპერატორები პროგრამაში გამოიყენება ნუმერაციის გარეშე. NEW ოპერატორით იწყება პროგრამა. RUN ოპერატორი ეგმისათვის წარმოადგენს ბეისიკ-პროგრამის ტრანსლაციის დასაწყისს. თუ პროგრამა შეცდომას არ შეიცავს, მაშინ ტრანსლაციის შემდეგ იწყება პროგრამის შესრულება. მაგალითი:

NEW

10 LET X=1

20 LET Y=EXP(X)

30 PRINT X, Y

40 END

RUN

1

0.27183 E 1

КОНЕЦ ЗАДАЧИ



განხილული პროგრამის მიხედვით დაიბეჭდება X-ის მნიშვნელობა 1, ხოლო Y-ის მნიშვნელობა 0. 27283 E01.

თუ პროგრამაში დაშვებულია შეცდომა, მაშინ მისი შესრულება მიჰდინარეობს შემდეგნაირად:

```
NEW
5 LET X=0.5
10 LET Y=SIN(X)
20 PRINT X, Y
30 END
RUR
ПРОВЕРЬТЕ ИМЯ ФУНКЦИИ
10 LET Y=SIN
10 LET Y=SIN(X)
RUN
0.5                0.47942
КОНЕЦ ЗАДАЧИ
```

განხილულ მაგალითში მე-10 ოპერატორში დაშვებული იყო შეცდომა SIN ფუნქციის სახელწოდების ჩაწერისას, რის შესახებ შეტყობინებას იძლევა სისტემა, მე-10 ოპერატორი შესწორებულ იქნა. რის შემდეგ RUN ოპერატორმა უზრუნველყო პროგრამის შესრულება. პროგრამას შეიძლება დავუერთოთ კომენტარები, რომლისთვისაც გამოიყენება ოპერატორი REM (remark—შენიშვნა) მაგალითი:

```
NEU
10 LET X=0.25
20 LET U=(EXP(x)-EXP(-x))/2
30 REM ЭТА ПРОГРАММА ВЫЧИСЛЯЕТ SH(x)
40 PRINT X, U
50 END
RUN
0,25                0,25261
КОНЕЦ ЗАДАЧИ
```

პულტიდან პროგრამის შეყვანისას, ყოველი სტრიქონის აკრეფის შემდეგ და ახალ სტრიქონზე გადასვლისას უნდა დავაპირროთ კლავიშს „ВОЗВРАТ КОРЕТКИ“.

განხილულ მაგალითებში რიცხვითი ინფორმაცია შეგვაქვს მინიკების ოპერატორის ან წაკითხვის ოპერატორის საშუალებით. რიცხვითი ინფორმაციის შეცვლისას საჭიროა პროგრამაში აღნიშნული ოპერატორების შეცვლა. პროგრამა შესაძლებელია შევიდგინო. ნ. ა. ბრთელაძე

ნოთ უფრო ზოგადი სახით, თუკი გამოიყენებთ INPUT(შეყვანა) ოპერატორს (უპირობო გადასვლის ოპერატორი). უპირობო გადასვლის ოპერატორის ზოგადი ფორმულაა:

### HC GOTO M

სადაც

HC—სტრიქონის ნომერია;

GOTO—(გადადი)—რეზერვირებული სიტყვაა;

M—ოპერატორის ქდეა რომელსაც უნდა გადაეცეს მართვა.

საზოგადოდ პროგრამა სრულდება ბუნებრივი თანმიმდევრობით. ეს მიმდევრობა ირღვევა, თუ პროგრამაში გამოიყენება გადასვლის ოპერატორი.

პირობითი ოპერატორი, პირობითი ოპერატორის ზოგადი ფორმულა ასეთია:

### IF A ⊕ B THEN T

სადაც

IF—(თუ);

THEN—(მაშინ);

A და B არითმეტიკული გამოსახულებაა;

⊕—აღნიშნულია რომელიმე შედარების ნიშანი:  $>$ ,  $<$ ,  $>=$ ,  $<=$ ,  $=$ ,  $\neq$ ;

T—ოპერატორის ქდეა, რომელსაც გადაეცემა მართვა იმ შემთხვევაში, როცა შედარების შედეგი კეშმართია, ე. ი. თუ პირობა სრულდება.

მაგალითი. 15 IF A > 0 THEN 50

15 ნომრის სტრიქონის შემდეგ თუ  $A > 0$ , მაშინ მართვა გადაეცემა სტრიქონს, რომლის ნომერია 50, წინააღმდეგ შემთხვევაში სრულდება სტრიქონი 15-ის მომდევნო სტრიქონი.

შევადგინოთ კვადრატული განტოლების ამოხსნის ბეისიკ პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დისკრიმინანტის გამოკვლევა;

### NEW

```
10 INPUT A, B, C
20 PRINT 'A=', A, 'B=', B, 'C=', C
30 LET D=B↑2-4 *A *C
40 IF D >= 0 THEN 70
50 PRINT 'D < 0'
60 GOTO 100
70 PRINT 'КОРНИ ДЕЙСТВИТЕЛЬНЫЕ'
80 PRINT 'X1 =', (-B + SQR(D))/2/A
```

90 PRINT 'X2=', (-B-SQR(D))/2/A  
 100 END  
 RUN

როგორც უკვე აღნიშნეთ RUN ოპერატორის შემდეგ იწყება პროგრამის შესრულება.

ეგმ იძლევა შეტყობინებას: 10 INPUT A, B, C; რის პასუხად უნდა დავასახელოთ მნიშვნელობები. აღნიშნული მნიშვნელობების შეყვანის შემდეგ იბეჭდება ტექსტი A= და A ცვლადის დასახელებული მნიშვნელობა, შემდეგ B და C ცვლადებისათვის შესრულება იგივე. თუ დისკრიმინანტი  $D \geq 0$ , მაშინ დაიბეჭდება ტექსტი КОРНИ действительные, შემდეგ კი X1 და X2 მნიშვნელობები დაიბეჭდება, ხოლო თუ  $D < 0$ , მაშინ დაიბეჭდება ტექსტი 'D<0' და მართვა გადაეცემა 100-ით დაქდევებულ ოპერატორს.

ციკლის ოპერატორი. განმეორებადი პროცესების დროს გამოიყენება ციკლის ოპერატორი. ციკლის ოპერატორის ზოგადი ფორმულა შემდეგი სახისაა:

```
HC FOR X=A TO B STEP C
:
:
:
HC NEXT X
```

სიდაც HC—სტრიქონის ნომერია;

FOR—(თვის) ოპერატორის საწყისი სიტყვაა;

TO—(მდე);

STEP—ბიჯი

NEXT—შემდეგა;

X—ციკლის პარამეტრია;

A—საწყისი მნიშვნელობა;

B—საბოლოო;

C—x პარამეტრის ცვლილების ბიჯი.

NEXT წარმოადგენს ციკლის ტანის ბოლო ოპერატორს. X პარამეტრის ყოველი მნიშვნელობისათვის სრულდება FOR-ისა და NEXT შორის მოთავსებული ოპერატორები.

შვედგინოთ პროგრამა ციკლის ოპერატორის გამოყენებით შემდეგი ამოცანისათვის.

$Y = \sqrt{X+2,5}$ , იპოვეთ Y-ის მნიშვნელობები, როცა  $X \in [0,2]$ ,  
 თუ  $h=0,1$

```

40 FOR X=0 TO 2 STEP 0.1
50 PRINT 'X=', X, 'Y=', SQR(X+2.5)
60 NEXT X

```

იმ შემთხვევაში, როცა ციკლის პარამეტრის ცვლილების ბიჯი უდრის ერთს, მაშინ ზოგად ციკლის ოპერატორს ექნება შემდეგი სახე:

```
HC FOR X=A TO B
```

```

.
.
.

```

```
HC NEXT X
```

მახივი. ბეისიკ-ენაში მარტივი ცვლადების გარდა გამოყენებულა აგრეთვე ინდექსიანი ცვლადებიც. ინდექსიანი ცვლადების ერთობლიობას ეწოდება მასივი. გამოიყენება ორი სახის მასივი; ერთგანზომილებიანი მასივი—ვექტორი და ორგანზომილებიანი მასივი—მატრიცი. თუ პროგრამაში გამოყენებულია მასივი. მაშინ საჭიროა მისი აღწერა DIM ოპერატორის საშუალებით, ამასთან ინდექსაცა იწყება ნულით.

ვთქვათ, მოცემულია A მატრიცი 3 სვეტით და 3 სტრიქონით, აგრეთვე B ვექტორი 3 ელემენტოანი, მაშინ შეიძლება ვისარგებლოთ აღწერით: DIM A(2,2), B(2).

მიზანშეწონილია მასივის ელემენტზე სრულდება ინდექსების მიხედვით, მაგალითად A(I, J) ნიშნავს A მატრიცის i-ური სტრიქონის და j-ური სვეტის გადაკვეთაზე მდგომ ელემენტს. ინდექსი შეიძლება წარმოადგენდეს არითმეტიკულ გამოსახულებას.

მასივის აღწერით ეგმ-ის მეხსიერებაში გამოიყოფა მიმდევრობითი ადგილი მასივის ელემენტისათვის.

ოპერატორი STOP გეიჩვენებს გამოთვლების დასასრულს, END კი პროგრამის დასასრულს. ბეისიკ-ენაში გამოიყენება მატრიცული ოპერატორები. მატრიცული ოპერატორები აღინიშნება რეზერვირებული სიტყვით MAT(матрица). განვიხილოთ მატრიცული ოპერატორების მაგალითები:

```
MAT A=B
```

B მატრიცის მნიშვნელობების მინიკება A მატრიცს;

```
MAT C=A+B
```

A და B მატრიცების შეკრება;

```
MAT C=A-B
```

A, B მატრიცების გამოკლება;

MAT C=A \*B      მატრიცების გამრავლება;

ქვეპროგრამა. გამოთვლებისას, თუ რაიმე არითმეტიკული გამოსახულება ხშირად გვხვდება, ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია ის გაეაფორმოს ოპერატორული ფუნქციის სახით. ასეთი ფუნქციის განსაზღვრა სრულდება DEF(განსაზღვრებადი ფუნქცია) ოპერატორის სახით. ფუნქციის განსაზღვრის ოპერატორი იწყება რეზერვირებული სიტყვით DEF, რომელსაც მოსდევს 3 ანოსაგან შემდგარი ფუნქციის სახელწოდება, ამასთან პირველი ორი ასო დაფიქსირებულია და აღინიშნება FN-ით, ხოლო მესამე ასო აღებულია 26 ლათინური ასოდან რომელიმეა. განვიხილოთ მაგალითი:

ვთქვათ, ალგებრული განტოლების დისკრიმინანტისათვის შემოღებულია ფუნქცია:

$$1) \text{DEF FND}(A, B, C) = \text{SQR}(B^2 - 4 * A * C)$$

სადაც DEF—ოპერატორის სახელია;

FND—ფუნქციის სახელწოდებაა;

A, B, C—პარამეტრებია;

SQR(B<sup>2</sup>-4 \*A \*C)—არითმეტიკული გამოსახულებაა-  
ოპერატორული ფუნქცია განხილულია პარამეტრების გამოყენებით.

პარამეტრის გარეშე განვიხილოთ იგივე ფუნქცია:

$$\text{DEF FND} = \text{SQR}(B^2 - 4 * A * C)$$

მიმართვა ამ სახელწოდების მიხედვით უზრუნველყოფს პროგრამაში მის შესრულებას:

$$1. (-B + \text{FND}(1, -7, 12)) / (2 * A) \quad \text{ან}$$

$$2. (-B + \text{FND}) / 2 / A$$

თუ პროგრამაში ხშირად შეორდება ჯგუფი ოპერატორებისა, მაშინ შეიძლება მათი გაფორმება ქვეპროგრამის სახით, მომხმარებლის მიერ შედგენილი ქვეპროგრამა წარმოადგენს ძირითადი პროგრამის ნაწილს. ქვეპროგრამა უნდა მთავრდებოდეს ოპერატორით RETURN(გამოსვლა ქვეპროგრამიდან). მიმართვა ქვეპროგრამაზე სრულდება ოპერატორით GOSUB(შესვლა).

ვთქვათ, სტრიქონში ნომრით 10, მითითებულია მიმართვა ქვეპროგრამაზე 10 GOSUB 50, რის შემდეგ მართვა გადაეცემა სტრიქონს, რომლის ნომერია 50. ჯგუფი ოპერატორების შესრულების შემდეგ, RETURN ოპერატორი დააბრუნებს სტრიქონზე, რომლის ნომერია 11.

ბეისიკ-ენა მოხერხებულია ეგმ-სა და ელამიანს შორის დიალოგისათვის. დაწვრილებითი ინფორმაცია ენის შესახებ მოცემულია

## § 11. ალგორითმული ენა „პასკალი“

ალგორითმული ენა „პასკალი“ შექმნა მსოფლიოში ცნობილმა შვეიცარიელმა მეცნიერმა ნიკლაუს ვირტმა, რომლის სრულყოფილ სახე-სტანდარტი დამტკიცებულ იქნა 1979 წელს. მან, ამ ენას „პასკალი“ უწოდა ცნობილი ფრანგი მათემატიკოსისა და ფილოსოფოსის ბლეზ პასკალის (1623—1641) პატივსაცემად, რომელმაც 1641 წელს შექმნა მსოფლიოში პირველი გამოთვლითი მანქანა.

### პასკალ-ენის ანბანი

პასკალ-ენის ანბანში შედის:

1) ლათინური ანბანი:

A, B, C, D, E, F, G, H, I, J, K, L, M, N, O, P, Q, R, S  
T, U, V, W, X, Y, Z;

2) არაბული ციფრები:

0 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9

პროგრამაში ასო O რომ გავაჩიოთ ციფრი ნულისაგან, საჭიროა ნული გადავხაზოთ (0);

3) რუსული ანბანი (სამამულო მიკრო-ეგმ-ებისათვის):

A, B, B, Г, Д, E, Ж, З, И, Й, К, Л, М, Н, О, П, Р, С,  
T, У, Ф, X, Ц, Ч, Ш, Щ, Ъ, Ы, Ь, Э, Ю, Я;

თანამედროვე პერსონალური მანქანები (IBM, PC AT, IBM PC XT, ИСКРА 1030.11. ...) იძლევიან ქართული ანბანის გამოყენების საშუალებასაც.

4) სპეციალური სიმბოლოები:

ა) +პლუსი, —მინუსი, \*გამრავლება, /გაყოფა.

ბ) ლოგიკური ოპერაციები:

= —ტოლობის ნიშანი

> —მეტობა,

< —ნაკლებობა,

<> —ტოლი არ არის,

< = —ნაკლებია ან მეტია,

> = —მეტია ან ტოლია.

გ) სასვენი ნიშნები, გამოყოფები და ა. შ.

. —წერტილი,

, —შიმიე,

; —წერტილ-შიმიე,

' —აპოსტროფი,

( —გახსნილი მრგვალი ფრჩხილი,

) —დახურული მრგვალი ფრჩხილი,

| —გახსნილი კვადრატული ფრჩხილი,

] —დახურული კვადრატული ფრჩხილი,

— —თავისუფალი აღგოლი.

პასკალ-ენის ლექსიკონში შედის შემდეგი მომსახურე სიტყვები:

AND —და

OR —ან,

NOT —არა,

DIV —მთელად გაყოფა,

MOD —მთელად გაყოფის ნაშთი,

ARRAY —მასივი,

DO —შეისრულე,

DOWNTO —მდე,

BEGIN —დასაწყისა,

ELSE —თუ არა,

END —დასასრული,

VAR(VARIABLE) —ცვლადი,

OF —დან,

IF —თუ.

FOR —თვის,

PROCEDURE —პროცედურა,

REPEAT —გაიმეორე.

PROGRAM —პროგრამა,

WHILE —სანამ,

UNTIL —ვიდრე,

TO —მდე,

THEN —მაშინ.

ცვლადის ან პროგრამის სახელი შედგება ასოებისაგან, ან ასოებისა და ციფრებისაგან რომელიც იწყება ასოთი, ხოლო სიმბოლოთა

რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 8-ს. სახელი არ შეიძლება იყოს მომსახურე სიტყვა.

სწორად შერჩეული სახელებია:

X 10, PRIMER, MAX

არასწორი სახელებია

7 X, PRIM, A+B

ჩაღვან პირველი იწყება ციფრით, მეორე მთავრდება წერტილით, ხოლო მესამეში ზედის შეკრების ოპერაცია.

### პასკალ-პროგრამის შემადგენელი ნაწილები

პასკალ-პროგრამის ნაწილებია: სათაური, აღწერის განყოფილება და ოპერატორების განყოფილება:

PROGAM— სახელი(INPUT, OUTPUT)

აღწერის განყოფილება

BEGIN

ოპერატორის განყოფილება

END.

სათაური ზედის მომსახურე სიტყვა RPOGAM(პროგრამა): პროგრამის სახელი, რომელიც მომხმარებლის-პროგრამისტას მიერაა შერჩეული, ხოლო მრგვალ ფრჩხილებშია მოთავსებული სტანდარტული პროცედურების სახელები INPUT და OUTPUT, რომლებიც გვიჩვენებს, რომ პროგრამაში გამოყენებული მონაცემების შეტანა (INPUT) და გამოტანა(OUTPUT), თუ პროგრამაში არაა ჭათვალისწინებული რომელიმე პროცედურა, მაშინ შესაბამისი სიტყვა შეიძლება გამოვტოვოთ. პროგრამაში სათაური მთავრდება სიმბოლოთი „:“.

აღწერის განყოფილება შეიცავს პროგრამაში შემავალი ყველა ცვლადის და მისი მახასიათებლების აღწერას. ეს განყოფილება თავის მხრივ შეიცავს ჭდეების, მუდმივების, ტიპების, ცვლადების, პროცედურებისა და ფუნქციების განყოფილებებს.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩამოთვლილი ყველა ეს განყოფილება არ არის აუცილებელი ყველა პროგრამისათვის. თითოეული განყოფილების შემდეგ დაისმის „:“.

ოპერატორების განყოფილება. მოთავსებულია ოპერატორულ ფრჩხილებს BEGIN(დასაწყისი) და END(დასასრული)



შორის. END-ის შემდეგ დაისწის ". ". ოპერატორების განყოფილებაში მოთავსებულია შესრულებადი ოპერატორები. ყოველი ოპერატორი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს. თითოეული შესრულებადი ოპერატორი მთავრდება სიმბოლოთი "; ". შეენიშნოს, რომ END ოპერატორის წინ მდგომი ოპერატორის ბოლოს არავითარი სასვენი ნიშანი არ დაისმის.

ამრიგად, პასკალ-პროგრამის ზოგად სტრუქტურას აქვს შემდეგი სახე:

PROGRAM— სახელი(INPUT, OUTPUT);

LABEL— ჰედების განყოფილება

CONST— კონსტანტების განყოფილება;

TYPE— ტიპების განყოფილება;

VAR— ცვლადების განყოფილება;

PROCEDURE, FUNCTION,

BEGIN— პროცედურის და ფუნქციის განყოფილება;

ოპერატორი 1;

ოპერატორი 2;

. . . .

ოპერატორი n-1;

ოპერატორი n

END.

პასკალ-პროგრამის ტექსტში ნებისმიერ ადგილას შეიძლება ჩაიწეროს კომენტარი, რომელიც ფორმირდება შემდეგნაირად:

( \* კომენტარი \* )

სხვა, მრავალი ენისაგან განსხვავებით პასკალ-პროგრამის ჩაწერა არ არის დაკავშირებული სტრიქონის პოზიციებთან, მაგრამ ამავე დროს მიზანშეწონილია პროგრამა ჩაიწეროს ადვილად წასაკითხი ფორმით. ზემოთ აღნიშნულის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მარტივი მაგალითი: გამოთვალეთ R-რადიუსიანი წრეწირის სიგოპე ფორმულით  $C=2R\pi$ , სადაც  $R=1,5$ ;  $\pi=3,14$ .

( \* Вычисление длины окружности \* )

PROGRAM DLINA(OUTPUT);

CONST PI=3.14;

VAR

  ; R: REAL; ( \* Радиус окружности

  ; C: RAEL; ( \* Длина окружности \* )

BEGIN

  ; R := 1.5;

  ; C := 2 \* PI \* R;

WRITE(C=, C:8:3)

END.

პროგრამის დასაწყისში და მის შიგნით გამოყენებულია კომენტარები. პროგრამა იწყება კომენტარით *Вычисление длины окружности*, რომელიც გვიჩვენებს პროგრამის შინაარსს, კომენტარს მოსდევს სათაური PROGRAM პროგრამის სახელი DLINA და სტანდარტული სახელი OUTPUT, რომელიც მიგვანიშნებს, რომ პროგრამის ტექსტში გამოყენებულია ინფორმაციის გამოტანის WRITE ოპერატორი. შემდეგი სტრიქონი წარმოადგენს კონსტანტის აღწერის განყოფილებას.  $\pi$  ბერძნული ასო არ შედის პასკალ-ენის ანბანში, ამიტომ ის შეცვლილია მისი ტრანსკრიპციით PI, გარდა ამისა ათწილადი რიცხვის ჩასაწერად შიშის ნაცვლად გამოიყენება წერტილი, ამრიგად,  $PI=3.14$ ; ცვლადის აღწერის განყოფილებაში VAR სიტყვის შემდეგ აღწერილია R და C ცვლადები, როგორც ნამდვილი ტიპის, გარდა ამისა აქვე კომენტარის სახით მითითებულია მათი ფიზიკური არსი. ოპერატორების განყოფილებაში გამოყენებულია ორი მინიკების ოპერატორი, სადაც სიმბოლო " := " წარმოადგენს მინიკების ნიშანს.

გამოთვლის შედეგი იმყოფება ეგმ-ის მეხსიერებაში. გამოტანის WRITE ოპერატორით დაიბეჭდება ტექსტი C= და მის გასწვრივ იმავე სტრიქონზე C ცვლადის რიცხვითი მნიშვნელობა. 8:3 ფორმატით სადაც 8-პოზიციების რაოდენობაა, რომელიც განკუთვნილია მთლიანად რიცხვისათვის, ხოლო 3-წერტილის შემდეგ ციფრთა რაოდენობაა.

ამრიგად პროგრამის შესრულების შემდეგ პასუხი მიიღება შემდეგნაირად:

C= — — — 9.420

VAR ით აღწერილ ცვლადებს შეუძლია მნიშვნელობების ცვლილება, ხოლო CONST-ით აღწერილი მუდმივი უცვლელი რჩება პროგრამის შესრულების პროცესში. მუდმივი და ცვლადი ერთად აღებული წარმოადგენს მონაცემს.

#### ხაზარჯიშო კითხვები:

1. რა სიმბოლოები გამოიყენება პასკალ-ენის ანბანში?
2. რას ეწოდება სამომხმარებლო სიტყვა?
3. სად გამოიყენება სახელი და როგორ ჩაიწერება?
4. რა მიეკუთვნება მონაცემებს?
5. რა ნაწილებისაგან შედგება პასკალ-პროგრამა?

6. როგორ ფორმდება პროგრამის სთაური?
7. რას ემსახურება ცვლადების აღწერა?
8. როგორ ფორმირდება კომენტარი?

### მონაცემების აღწერა

მონაცემები პასკალ-ენაში ძირითადად არსებობს შემდეგი ტიპის: INTEGER(მთელი), REAL(ნაძლეილი), CHAR (CHARACTER-სიმბოლური), BOOLEAN(ბულის-ლოგიკური). ყველა ტიპის მონაცემი ორგვარია: მარტივი(რიცხვითი, ტექსტობრივი, ლოგიკური) და შედგენილი(მასივები). ინდექსიანი ცვლადების ერთობლიობას ეწოდება მასივი.

მონაცემთა აღწერაში ცვლადის სახელს თან ერთვის მითითება მის შესახებ, თუ რომელ ტიპს შეეკუთვნება იგი. მაგალითად:

```
VAR
  X : REAL;
  M : INTEGER;
  SIM : CHAR;
  K : BOOLEAN;
```

ამ აღწერაში X-ს შეუძლია მიიღოს ნაძლეილი მნიშვნელობა. M-ის მხოლოდ მთელი მნიშვნელობა, SIM—არის სიმბოლური ტიპის, მისი მნიშვნელობა შეიძლება იყოს ანბანის ნებისმიერი სიმბოლო. K—ბულის ტიპისაა, ის შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი.

თუ სხვადასხვა ცვლადისათვის მეროდება ერთი და იგივე ტიპი, მაშინ შეიძლება მათი გაერთიანება ერთ ტიპად. მაგალითად:

```
VAR
  X1 : REAL;
  E1 : REAL;
  Z1 : REAL;
```

ეს აღწერები ეკვივალენტურია შემდეგი აღწერის:

```
VAR
  X1, E1, Z1 : REAL;
```

პასკალ-ენაში მასივის აღწერის ზოგად ოპერატორს აქვს შემდეგი სახე:

**X : ARRAY[1 .. N] OF ტიპი:**

მაგალითად:

VAR

```
X: ARRAY[1.. 50] OF REAL;  
Y: ARRAY [1.. 10] OF INTEGER;  
SIMVAL: ARRAY[1.. 20] OF CHAR;  
L: ARRAY [1.. 5] OF BOOLEAN;
```

აღნიშნულ აღწერაში X მასივი ნამდვილი ტიპისაა და შედგება 50 ელემენტისაგან. Y არის 10-ელემენტის მთელი ტიპის მასივი, ხოლო SIMVAL—კი 20-ელემენტის სიმბოლური ტიპის მასივია, E—5-ელემენტის ლოგიკური ტიპის მასივია.

მთელი ტიპის რიცხვები ჩაიწერება ნიშნით ან უნიშნოდ, და შედგება მხოლოდ ციფრებისაგან. მაგალითად 17, —29, —100 და ა. შ.

ნამდვილი ტიპის რიცხვები ჩაიწერება ნიშნით ან უნიშნოდ, და შეიცავს ციფრებს და ათობით წერტილს, თუ რიცხვი წარმოდგენილია 10-ის ხარისხის გამოყენებით, მაშინ 10-ის ნაცვლად იწერება E. სიმბოლო, ხოლო ხარისხის მიჩვენებელი ჩაიწერება ამ სიმბოლოს მარჯვნივ. მაგალითად:

რიცხვი	პასკალის ენაზე
2,9	2.9
—7,8	—7.8
8·10 <sup>9</sup>	8 E 2
5,9·10 <sup>-1</sup>	5.9 E — 1
2,3·10 <sup>3</sup>	2 3 E 2

ნამდვილი რიცხვი პასკალის ენაზე არ შეიძლება იწყებოდეს ან მთავრდებოდეს სიმბოლოთი „.“ით.

ბულის ტიპის რიცხვი ორგვარია:

TRUE (კეშმარტი) და FALSE (მცდარი).

სიმბოლური ტიპის მონაცემი პროგრამაში წარმოადგენს სიმბოლოს ან სიმბოლოთა ერთობლიობას, რომელიც მოთავსებულია აპოსტროფში. 'C' ან 'ПРОГРАМИРОВАНИЕ' და ა. შ.

### სავარჯიშო კითხვები:

1. რაში მდგომარეობს განსხვავება მთელი და ნამდვილი ტიპის მონაცემებს შორის?

2. რა მნიშვნელობების მიღება შეუძლიათ ლოგიკური ტიპის მონაცემებს?

3. რომელი შედეგების ნიშნებს იცნობთ?
4. რა გვესმის სიმბოლური მონაცემების ქვეშ?
5. როგორ აღიწერება მულტიპლი-კონსტანტი, რომელიც აღნიშნულია სახელით?
6. როგორ აღიწერება ცვლადები პროგრამაში?

### სტანდარტული ფუნქციები

ელემენტარული ფუნქციები: სინუსი, კოსინუსი, აბსოლუტური მნიშვნელობა, კვადრატულა ფესვი და ა. შ. ხშირად გამოიყენება სხვადასხვა სახის გამოთვლებში და ამოცანებში, პასკალ ენაში მათ ეწოდებათ სტანდარტული ფუნქციები. მიმართვისას სახელწოდების მარჯვნივ მრგვალ ფრჩხილებში ჩაისმის არგუმენტი. განვიხილოთ ზოგიერთი სტანდარტული ფუნქციები:

#### მათემატიკური აღნიშვნა

ABS(X) —	x
SQR(X) —	$x^2$
SQRT(X) —	$\sqrt{x}$
EXP(X) —	$e^x$
LN(X) —	$\ln x$
LOG(X) —	$\lg x$
SIN(X) —	$\sin x$
COS(X) —	$\cos x$
ARCTAN(X)	$\arctg x$

შენიშვნა: X—ტრიგონომეტრიული ფუნქციის არგუმენტის რადიანული ზომაა.

#### გამოსახულება

პასკალ-ენაში გამოსახულება ორგვარი: არითმეტიკული და ლოგიკური. კონსტანტებს, ცვლადებს, სტანდარტულ ფუნქციებს დაკავშირებულს ერთმანეთთან ოპერაციების ნიშნებით და მრგვალ ფრჩხილებით ეწოდება არითმეტიკული გამოსახულების მაგალითი:

$$(SQR(A)+B) * C - 7.9 * SQRT(X)$$

ართმეტიკული გამოსახულების კერძო შემთხვევას წარმოადგენს კონსტანტა, ცვლადი ან ფუნქცია.

პასკალ-პროგრამაში გამოსახულების ჩაწერისას უნდა დაეცვათ შემდეგი წესები:

1. არ არსებობს გამოსახულების წილადით წარმოდგენა, მაგალითად

$$\frac{a+b}{c \cdot x}$$

უნდა ჩაიწეროს შემდეგნაირად:

$$(A+B)/(C * X)$$

2. გამოიყენება მხოლოდ მრგვალი ფრჩხილები:

$$(C+D *(X+1.5)) *2.9$$

3. არ შეიძლება ზედიზედ ორი ოპერაციის ნიშნის გამოყენება. არასწორია შემდეგი ჩაწერა  $2 * B / 5$ , ის უნდა ჩაიწეროს ასე:

$$2 * (/5).$$

4. ოპერაციები სრულდება მარცხნიდან მარჯვნივ შემდეგი რიგის მიხედვით. ყველაზე მაღალი საფეხურის მოქმედებაა სტანდარტული ფუნქციის გამოთვლა, შემდეგ გამრავლება და გაყოფა, ასევე  $DIN$  და  $MOD$ , ხოლო ყველაზე დაბალი პრიორიტეტის ოპერაციები შეკრება და გამოკლება.

მაგალითად:

$$A + SIN(X) * X *(12 - DIV - 5) ,$$

ჯერ გამოითვლება  $SIN(X)$  მოცემული  $X$ -სათვის, მიღებული შედეგი გამრავლდება  $X$ -ზე შემდეგ შესრულდება მთელი გაყოფა, რომლის შედეგად მიიღება 2, შემდეგ ეტაპზე  $SIN(X) * X * 2$ , ბოლოს მიღებულ შედეგს დაემატება  $A$ -ს მოცემული მნიშვნელობა.

ლოგიკურ მონაცემებს, დაკავშირებულს ერთმანეთთან ლოგიკური ოპერაციის ნიშნით, შედარების ნიშნებით და მრგვალი ფრჩხილებით ეწოდება ლოგიკური გამოსახულება.

ლოგიკური გამოსახულების მნიშვნელობა არის კეშმარიტი ან მცდარი. პასკალ-ენაში გამოიყენება შემდეგი ლოგიკური ოპერაციის ნიშნები:

AND—და (გამრავლება);

OR —ან (შეკრება);

NOT—არა (უარყოფა).

შენიშვნა: TRUE(კეშმარიტი)=1, FALSE(მცდარი)=0

ლოგიკური მოქმედებების ცხრილი

AND			OR			NOT	
X	Y	X AND Y	X	Y	X OR Y	X	NOT X
0	0	0	0	0	0		
0	1	0	1	0	1	1	0
1	0	0	0	1	1	0	1
1	1	1	1	1	1		

განვსაზღვროთ შემდეგი ლოგიკური გამოსახულების მნიშვნელობა:

$$(X > 4) \text{ AND } (Y = M + 2) \text{ OR } \text{NOT}(D = 5) ,$$

სადაც  $x=3$ ,  $y=4$ ,  $M=2$ ,  $D=3$ .

ოპერაციითა შესრულების თანმიმდევრობა ასეთია:

1)  $x > 4$  მისი შედეგი არის FALSE, რადგან  $3 < 4$ .

2)  $y = M + 2$ , ჯერ გამოითვლება  $M + 2$  გამოსახულება, შემდეგ შედეგი შედარდება  $y$ -ს, ამ ოპერაციის შედეგი არის TRUE რადგან  $4 = 4$ .

3)  $\text{NOT}(D = 5)$  ოპერაციის შედეგი არის TRUE, რადგან  $\text{NOT}(\text{FALSE})$  არის TRUE.

4) სრულდება AND შემდეგ ოპერაციებს შორის (FALSE—AER—TRUE), მისი შედეგი არის FALSE.

5) შემდეგი ოპერაცია OR, რომლის მნიშვნელობა არის TRUE.

შენიშვნა: პასკალ-ენაში არ არსებობს ახარისხების ოპერაცია. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ სტანდარტული ფუნქცია. მაგალითად  $a^x$  იცვლება შემდეგი გამოსახულებით:

$$\text{EXP}(X * \text{LN}(A))$$

ლოგიკური ოპერაციები პრიორიტეტის მიხედვით ისე დალაგდება: NOT, AND, OR.

ხეარჯიშო კითხვები

1. რას ეწოდება სტანდარტული ფუნქცია?
2. მოიყვანეთ სტანდარტული ფუნქციის მაგალითები.
3. მიუთითეთ არითმეტიკულ გამოსახულებაში ოპერაციითა რიგი.
4. როგორ იწერება არითმეტიკული გამოსახულება?

5. რითი განსხვავდება არითმეტიკული გამოსახულება ლოგიკურისაგან?

6. რა თანმიმდევრობით სრულდება ლოგიკურ გამოსახულებაში ოპერაციები?

### ბასკალ-შენის ოპერატორები

მინიკების ოპერატორი—ენის უმარტივესი ოპერატორი.

მინიკების ოპერატორს ზოგადად აქვს შემდეგი სახე:

$$V; = A;$$

სადაც  $V$  არის ცვლადის სახელწოდება, „:“—მინიკების ნიშანი,  $A$ —გამოსახულება.

მოცემული ოპერატორი გამოთვლის „:“ მინიკების ნიშნის მარჯვნივ მოთავსებული  $A$  გამოსახულების მნიშვნელობას და მიღებულ შედეგს მინიკებს მარცხნივ მოთავსებულ  $V$  ცვლადს მაგალითად,

$$\left| \begin{array}{l} P : = 2.15; \\ X : = 1.3; \\ X : = X + 1.9 \\ Y : = X - 1.1; \\ Q : = P + Y; \end{array} \right.$$

პირველი ოპერატორით  $P$ -ს მიენიკება 2,15, მეორე ოპერატორით  $X$ -ს მიენიკება 1,3. მესამე ოპერატორით  $X$ -ის მიმდინარე მნიშვნელობას დაემატება 1,9, მიღებული შედეგით შეიცვლება  $X$ -ის მიმდინარე მნიშვნელობა, ე. ი.  $X = 3,2$ . მეოთხე სტრიქონით  $Y = 3,2 - 1,1 = 2,1$ , მეხუთე სტრიქონით  $2,15 + 2,1 = 4,25$ , მიღებული შედეგი მიენიკება  $Q = 1$ . ე. ი. პასუხია  $Q = 4,25$ .

მინიკების ოპერატორი გამოიყენება, ავრეთვე ლოგიკური და სიმბოლური მონაცემების დროსაც. მაგალითად, თუ  $A, B, C$  აღწერილია როგორც ლოგიკური ცვლადები, მაშინ შესაძლებელია შემდეგი მინიკების ოპერატორი:

$$A : = B \text{ AND } C ;$$

ხოლო სიმბოლური ცვლადის შემთხვევაში გვექნება  $S : = 'D'$ ; მინი-  
144



კების ოპერატორის გამოყენებისას აუცილებელია მარცხენა მხარეში ცვლადი და მარჯვენა მხარეში გამოსახულება იყოს ერთი და იგივე ტიპის. მაგალითად,

```
VAR
  | S : CHA;R
```

მაშინ ოპერატორი S: =2.1 არ არის სწორად ჩაწერილი, ვინაიდან S აღწერილია, როგორც სიმბოლური, ხოლო მინიკების ოპერატორით მას ენიჭება რეალური რიცხვი. ამ ოპერატორის ტრანსლაციისას დაფიქსირდება შეცდომა, რის გამოც პროგრამა არ შესრულდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუ გამოსახულება მთელი ტიპისაა, ხოლო მარცხენა მხარე ნამდვილი ტიპის, მაშინ გამოსახულების მნიშვნელობა გარდაიქმნება ნამდვილ ტიპად და ისე მიენიჭება მარცხენა ცვლადს.

შედგენილი ოპერატორი. რამდენიმე ოპერატორს, რომლებიც მოთავსებულია ოპერატორულ ფრაზილებში, ეწოდება შედგენილი. შედგენილ ოპერატორს ზოგადად აქვს შემდეგი სახე:

```
BEGIN
  | ოპერატორი 1;
  | ოპერატორი 2;
  | - - - -
  | ოპერატორი n - 1;
  | ოპერატორი n;
END
```

ინფორმაციის შეტანა-გამოტანის ოპერატორები. ცვლადებისათვის მნიშვნელობების მინიჭება სრულდება ორი გზით:

1. მინიკების ოპერატორით,
2. შეტანის ოპერატორით.

ცვლადებისათვის მინიკების ოპერატორის გამოყენებისას პროგრამა სრულდება ამ ცვლადების მხოლოდ მითითებულ მნიშვნელობებისათვის. თუ პროგრამაში გამოყენებულია შეტანის ოპერატორი, მაშინ ის ძალაშია შეტანის ოპერატორით მითითებული ცვლადების სხვა მნიშვნელობებისთვისაც.

პასკალ-ენაში განვიხილავთ შეტანის READ და READLN ოპერატორებს, რომელთა ზოგად ფორმულებს აქვს შემდეგი სახე:

```
READ (შესატანი მონაცემების სია);
READLN (შესატანი მონაცემების სია);
```

სადაც ფრჩხილებში მოთავსებულია შესატანი ცვლადების სახელები, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოიყოფა შიშვით.

მაგალითი. ვთქვათ  $A=7$ ,  $B=4$ ,  $C=9$ , 1. შეტანის READ (A, B, C) ოპერატორისათვის რიცხვითი მნიშვნელობები მომზადდება შემდეგნაირად. 7—4—9.1, ე. ი. რიცხვები ერთმანეთისაგან გამოიყოფა ინტერვალით. შეტანის ამ ოპერატორით ცვლადების მნიშვნელობები გარე მეხსიერებიდან წაიკითხება, გარდაიქმნება შესაბამის ტიპად, გადაიგზავნება ოპერატიულ მეხსიერებაში და შეინიჭება მითითებულ ცვლადებს იმავე თანმიმდევრობით. READLN ოპერატორი იმით განსხვავდება READ ოპერატორისაგან, რომ ყოველი READLN ოპერატორის გამოყენებისას მნიშვნელობების შეტანა იწყება ახალი სტრიქონიდან.

ეგმ-ის მეხსიერებიდან მონაცემების გამოტანა სრულდება WRITE ან WRITELN ოპერატორებით. რომელთა ზოგად ფორმულებს აქვთ შემდეგი სახე:

WRITE (გამოსატანი მონაცემების სია);

WRITELN (გამოსატანი მონაცემების სია);

გამოტანა შეიძლება როგორც ტექსტის, ასევე რიცხვითი მნიშვნელობების. გამოსატანი ტექსტი უნდა ჩაესვით აპოსტროფში. მაგალითად,

WRITE ('ЗНАЧЕНИЕ—B=', B, 3>2);

ამ ოპერატორის შესრულების შედეგად აპოსტროფში მოთავსებული ტექსტი ЗНАЧЕНИЕ—B= დიბეჭდება უცვლელად, შემდეგ B-ს მნიშვნელობა სტანდარტული სახით, ხოლო შემდეგ ლოგიკური გამოსახულების მნიშვნელობა TRUE(კეშმარტი). WRITELN ოპერატორის შესრულების შემდეგ, მომდევნო გამოტანა ხდება ახალი სტრიქონიდან.

განვიხილოთ ორი პროგრამა:

```
1. |PROGRAM PRIMER1(OUTPUT);
   |BEGIN
   || WRITE ('ЗНАЧЕНИЕ—X');
   || WRITE (' * — *');
   || WRITE ('ЗНАЧЕНИЕ—Y')
   |END
```

```
2. PROGRAM PRIMER2(OUTPUT);
   BEGIN
```

```

|| WRITELIV ('ЗНАЧЕНИЕ—X');
|| WRITELIN (' * — * ');
|| WRITELIN ('ЗНАЧЕНИЕ—D')

```

END

PRIMER1 პროგრამის შესრულების შედეგად გამოიტანება:

ЗНАЧЕНИЕ — X \* — \* ЗНАЧЕНИЕ —

PRIMER2 პროგრამის შესრულების შედეგად გამოიტანება;

```

|| ЗНАЧЕНИЕ — X
|| * — *
|| ЗНАЧЕНИЕ — D

```

მთელი და ნამდვილი რიცხვების გამოტანისას შესაძლებელია WRITE ოპერატორში მივითითოთ გამოტანის არასტანდარტული ფორმატი. მის ზოგად ფორმულებს აქვთ შემდეგი სახე:

WRITE (X : n);

WRITE (c : n : m)

სადაც, X წინასწარ აღიწერება, როგორც მთელი ტიპის, C—ნამდვილი ტიპის, n და m როგორც კონსტანტები.

ოპერატორში შესაძლებელია n-ისა და m-ის ნაცვლად ჩაიწეროს მთელი რიცხვები, სადაც N გვიჩვენებს რიცხვისათვის საჭირო პოზიციების რაოდენობას, ხოლო m—მძიმის შემდეგ ციფრთა რაოდენობას. მაგალითად: თუ A=2,3, მაშინ WRITE('A—', A : 5 : 1) ოპერატორით შედეგი გამოიტანება ასე: A=— 2.3

სავაჭრის კითხვები:

1. აღწერეთ მინიჭების ოპერატორის დანიშნულება.
2. რას უდრის C-ს მნიშვნელობა შემდეგი ოპერატორების შესრულების შედეგად:

```

| C: = 1,5;
| X: = 2—C;
| C: = C+3 * X;

```

3. აღწერეთ შეტანის ოპერატორის დანიშნულება.
4. აღწერეთ გამოტანის ოპერატორის დანიშნულება.
5. რას ეწოდება შედგენილი ოპერატორი?
6. რას ნიშნავს პასკალ-ენაში შემდეგი წინადადებები:

ა) (\* ВЫВОД РЕЗУЛЬТАТОВ \*)

ბ) WRITE('ВЫВОД РЕЗУЛЬТАТОВ')?

მართვის გადაცემის ოპერატორები. არსებობს მართვის გადაცემის ორი სახის ოპერატორი) პირობითი და უპირობო. პირობითი ოპერატორი თავის მხრევე ორგვარია: სრული და არასრული.

სრული პირობითი ოპერატორის ზოგადი სახეა:

IF B THEN S1 ELSE S2;

სადაც B—ლოგიკური გამოსახულება, S<sub>1</sub> და S<sub>2</sub> ოპერატორებია სრული პირობითი ოპერატორი სრულდება შემდეგი წესის მიხედვით:

თუ ლოგიკური გამოსახულების მნიშვნელობა ქვეშარიტია, მაშინ შესრულდება S<sub>1</sub> ოპერატორი, თუ არა და S<sub>2</sub>. მაგალითისათვის განვიხილოთ შემდეგი პროგრამა:

```
PROGRAM PIROBA(INPUT, OUTPUT);
  VAR
    x, y: REAL;
  BEGIN
    READ(X);
    IF(X>1) AND(X<=2) THEN Y :=
      -SQRT(2-X)
    ELSE Y := -X;
    WRITE('Y=', U: 10: 3)
  END,
```

არასრული პირობითი ოპერატორის ზოგადი სახეა:

IF B THEN S;

არასრული პირობითი ოპერატორი სრულდება შემდეგი წესის მიხედვით: თუ B—ლოგიკური გამოსახულება ქვეშარიტია, მაშინ შესრულდება S ოპერატორი, ხოლო თუ მცდარია—მოძღვევრო ოპერატორი.

მაგალითად: A და B რიცხვებს შორის უდიდესი მინიკოთ C-ს.

PROGRAM UDIDESI(INPUT, OUTPUT)

```
  VAR
    A, B, C: REAL;
  BEGIN
```

```

| READ(A, B);
| C := A;
| IF C < B THEN C := -B;
| WRITE('C = ', C)
| END

```

უპირობო გადასვლის ოპერატორის ზოგადი სახეა-  
**GOTO m**; სადაც **m** არის კდე(ოპერატორის სახელი). ამ ოპერატორით  
 მართვა გადაეცემა **m**-ით სახელდებულ ოპერატორს. კდე არის  
 დადებითი რიცხვი, იცვლება დიაპაზონში 1—9999, კდე იწერება სა-  
 ბელდებელი ოპერატორის წინ და გამოიყოფა მისგან ორი წერ-  
 ტილით.

მაგალითად,

```

| GOTO 15;
| C := -X + 2;
| . . . .
15: | A := A + 3;
| . . . .
| . . . .

```

კდე პროგრამაში უნდა იყოს აღწერილი **LABLE** ოპერატორით.

მაგალითად **LABLE**— 15, 10; აქ ორი კდეა აღწერილი 15 და 10.

ციკლის ოპერატორი. პასკალ-ენაში ციკლური პროცესი  
 შესაძლებელია უზრუნველყოთ შემდეგი ოთხი სახის ციკლის ოპე-  
 რატორით.

- 1) **FOR k := A TO B DO S;**
- 2) **FOR i := C DOWNTO D DO S;**
- 3) **WHILE P DO S;**
- 4) **REPEAT**

```

| S1;
| S2;
| S3;
| . . .
| Sn

```

**UNTIL P;**

სადაც **FOR**, **TO**, **DC**, **DOWNTO**, **WHILE**, **REPEAT**, **UNTIL** პას-  
 კალ-ენის მომსახურე სიტყვებია. **k** და **i** ცვლადებს ეწოდებათ ციკ-  
 ლის პარამეტრი, **A** და **C**—პარამეტრის საწყისი მნიშვნელობებია,  
**B** და **D** პარამეტრის საბოლოო მნიშვნელობებია. **S**—წარმოადგენს

ციკლის ტანს. თუ ციკლის ტანი შეიცავს რამდენიმე ოპერატორს. მაშინ გამოიყენება შედგენილი ოპერატორი. P—წარმოადგენს ლოგიკურ პირობას ან ლოგიკურ გამოსახულებას.

S<sub>1</sub>, S<sub>2</sub>, ... S<sub>n</sub>—ოპერატორები მიეკუთვნება ციკლის ტანს. დავახასიათოთ თითოეული ციკლის ოპერატორის შესრულების წესი: 1) K=A-სათვის, თუ A<B-ზე შესრულდება S-ოპერატორი, პარამეტრი შეიცვლება ბიჯით ერთი. ე. ი. K=K+1, თუ K<B, მაშინ შესრულდება ისევ S ოპერატორი, როცა K>B-ზე, მაშინ მართვა გადაეცემა ციკლის მომდევნო ოპერატორს. მეორე ოპერატორი ანალოგიურია პირველის, მხოლოდ პირველში ციკლის პარამეტრი იზრდება 1-ით, ხოლო მეორეში კი i=1-1 ე. ი. მცირდება ერთი ერთეულით. რომ შესრულდეს ციკლის მეორე ოპერატორი, საკმარისია C>D-ზე. თუ C<D-ზე, მაშინ აღნიშნული ოპერატორი არ შესრულდება.

ციკლის მესამე ოპერატორი სრულდება შემდეგ წესის მიხედვით: სანამ P ლოგიკური გამოსახულება ჭეშმარიტია, შესრულდება S ოპერატორი. ციკლის მეოთხე ოპერატორი სრულდება შემდეგნაირად: განმეორდება S<sub>1</sub>, S<sub>2</sub>, ... S<sub>n</sub> ოპერატორები სანამ P ლოგიკური გამოსახულება მცდარი იქნება; გამოვთვალოთ  $y=2,1x^3+\sqrt{|x-2|}$  ფუნქციის მნიშვნელობები, როცა x იცვლება [2; 3] სეგმენტში, h=0,1 ბიჯით. შევადგინოთ პასკალ-პროგრამები სხვადასხვა ოპერატორის გამოყენებით.

```
PROGRAM PR1(OUTPUT);
  VAR X, Y, H: REAL;
  BEGIN
    X := 2;
    H := 0.1;
    WHILE X <= 3 DO
      BEGIN Y := 2.1 * SQR(X) * X + SQRT(ABS(X-2));
        WRITELN('X = ', X:3:1, ' Y = ', Y:8:3);
        X := X + H
      END
    END.
```

შევადგინოთ პასკალ-პროგრამა REPEAT—UNTIL ოპერატორის გამოყენებით.

```
PROGRAM PRG2(INPUT, OUTPUT);
  VAR
```

```

    A, B, X, Y, H: REAL;
  | BEGIN
    | READ (A, B, H);
    | X := A;
    | REPEAT
      | Y := SQR(X) * X + SQR(ABS(X-2));
      | WRITELN('X =', X:5:2, 'Y =', Y:8:2);
      | X = X + H
    UNTIL X > B
  END.

```

შესატანი მონაცემებია:

2.0—3.0—0.1

3) შევადგინოთ პროგრამა FOR ოპერატორის გამოყენებით.

```

PROGRAM PRG3(INPUT, OUTPUT);
  | VAR
    X, A, H, Y: REAL;
  | K, N: INTEGER;
  BEGIN
    | READ (A, H, N);
    | X := A;
    | FOR K := 1 TO N DO
      BEGIN
        | y := SQR(X) * X + QSRT(ABS(X-2))
        | WRITELN('X =', X:5:3, 'Y =', Y);
        | X := X + H
      END
    END.

```

სადაც  $N = \left\lfloor \frac{B-A}{H} \right\rfloor + 1$ .

ქვეპროგრამები. დაპროგრამების პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც პროგრამის შედგენისას სიჭიროა ერთი და იგივე გამოთვლების ჩატარება სხვადასხვა მონაცემებისათვის. პროგრამაში განმეორებადი გამოთვლების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა მისი გამოყოფა და გაფორმება გარკვეული სახით. პროგრამის ისეთ ავტონომიურ ნაწილს, რომელზედაც შესაძლებელია მიმართვა საერთო პროგრამის სხვადასხვი ნაწილიდან, ეწოდება ქვეპროგრამა.

პასკალ-ენაში გამოიყენება ქვეპროგრამის ორი სახე: პროცედურა (PROCEDURE) და ფუნქცია (FUNCTION). პროგრამაში შეიძლება მონაწილეობდეს რამდენიმე პროცედურა და ფუნქცია. მის ზოგად სტრუქტურას აქვს §2-ში მოცემული სახე. პროცედურები და ფუნქციები მოთავსებულია პროგრამის აღწერით ნაწილში, ცვლადების აღწერის შემდეგ.

ა) პროცედურა. ნებისმიერი პროცედურა ფორმდება პროგრამის ანალოგიურად, ე. ი. შეიცავს სათაურს, აღწერით ნაწილს და ოპერატორების განყოფილებას, პროგრამისაგან განსხვავებით პროცედურის ბოლოს წერტილის ნაცვლად დაისმის წერტილ-მძიმე.

PROCEDURE სახელი(ფორმალური პარამეტრები);

აღწერითი განყოფილება

BEGIN

ოპერატორთა განყოფილება

END;

მიმართვა პროცედურაზე სრულდება ძირითად პროგრამაში სახელწოდებისა და ფაქტობრივი პარამეტრების მიხედვით. მიმართვის შემდეგ პროცედურის აღწერა გადაიქცევა შესრულებად პროგრამად. საზოგადო პროცედურის ფორმალური პარამეტრები შედგება საწყისი მონაცემების, საშუალო ცვლადების სახელებისა და მათი აღწერებისაგან. ამ შემთხვევაში პროცედურის სათაურ-ოპერატორი შეიძლება ჩავწეროთ ასე:

PROCEDURE სახელი(ცვლადები:ტიპი; VAR ცვლადები:ტიპი); მაგალითად PROCEDURE SUM(A, B INTEGER, VAR C: REAL); სადაც SUM—პროცედურის სახელია, A, B—საწყისი მონაცემების შესაბამისი ცვლადები, C—საშუალო ცვლადია. ამრიგად საშუალო ცვლადებისათვის გამოიყენება სიტყვა VAR.

პასკალ-პროგრამაში დასაშვებია შემთხვევა, როცა პროცედურის სათაურში არა გვაქვს ფორმალური პარამეტრები. ამ შემთხვევაში პროცედურის სათაურს აქვს შემდეგი სახე:

PROCEDURE სახელი

პროცედურის ცვლადების აღწერის განყოფილებაში გაქორებით ფორმალური პარამეტრების აღწერა საჭირო აღარ არის, საჭიროა მხოლოდ პროცედურაში გამოყენებული საშუალო ცვლადების აღწერა.

ბ) ფუნქცია. ქვეპროგრამა ფუნქცია ფორმდება პროცედურის ანალოგიურად, მისგან განსხვავებით ალგორითმის შედეგი ენიჭება ფუნქციის სახელს.



ფუნქცია ფორმდება შემდეგი სახით:

```
FUNCTION სახელი(ფორმალური პარამეტრება): ტიპი
    აღწერითი განყოფილება
    BEGIN
        ოპერატორთა განყოფილება
    END;
```

ქვეპროგრამა ფუნქციის გამოძახება, როგორც ოპერანდისა სრულდება ძირითად პროგრამაში სახელისა და ფაქტიური პარამეტრების მიხედვით.

ძირითად პროგრამაში აღწერილი ცვლადების მოქმედების არეს წარმოადგენს, როგორც ძირითადი პროგრამა, ასევე ნებისმიერი ქვეპროგრამა. ისეთ ცვლადებს ეწოდებათ გლობალური. ხოლო ცვლადები, რომლებიც აღწერილია ქვეპროგრამებში მათი მოქმედების არეა შესაბამისი ქვეპროგრამა. ასეთ ცვლადებს ეწოდებათ ლოკალური.

განვიხილოთ ქვეპროგრამების მაგალითები: ორ A და B რიცხვს შორის უდიდესის პოვნის ალგორითმი გაეფორმოს პროცედურისა და ფუნქციის სახით:

( \*процедура больше из двух \*)

```
1) PROCEDURE UDIDESI(A, B: REAL; VAR C: REAL);
    BEGIN
        IF A>B THEN C := A ELSE C := B
    END; ( *конец процедуры *)
```

სადაც UDIDESI წარმოადგენს პროცედურის სახელს, A, B—საწყისი მონაცემების სახელებია, C—საშედეგო ცვლადის სახელია.

( \*функция больше из двух \*)

```
2) FUNCTION UDID(A, B: REAL); REAL;
    | VAR
    |   C: REAL;
    | BEGIN
    |   IF A>B THEN C := A ELSE C := B
    |   UDID := C
    | END.
```

სადაც UDID ქვეპროგრამა ფუნქციის სახელია, რომელსაც პროგრამის ბოლოს ენიჭება შედეგი, A და B საწყისი ცვლადებია, ხოლო C შუალედური ცვლადია.

მაგალითი: შევადგინოთ 10 რიცხვს შორის უდიდესის პოვნის პროგრამა პროცედურა UDIDESI-ის გამოყენებით.

```

PROGRAM MAX10(INPUT, OUTPUT);
  | VAR K, MAX: REAL;
  | P: ARRAY [1...10] OF REAL;
  | PROCEDURE UDIDESI(A,B: REAL; VAR C: REAL);
  | | BEGIN
  | | IF(A>B) THEN C: A ELSE C: -B
  | | END
  | BEGIN
  | | FOR E:=1 TO 10 DO READ(P[K]);
  | | MAX:=P[1];
  | | FOR K:=2 TO 10 DO
  | | | UDIDESI(MAX, P[K], MAX);
  | | | WRITE('MAXIMUM=', MAX:8:2)
  | END
END

```

პროგრამა მუშაობს შემდეგნაირად: თავიდან ხდება P მა-სივის 10 მნიშვნელობის შეტანა READ ოპერატორით ციკლურად. შემდეგ MAX ცვლადს ენიჭება P<sub>1</sub>-ის მნიშვნელობა, მომდევნო FOR ციკლის ოპერატორით სრულდება მიმართვა პროცედურაზე UDIDESI, რომლის მიხედვით MAX შედარდება P<sub>2</sub>, მათ შორის უდიდესი მიენიჭება MAX ცვლადს, ციკლი მეორდება 2-დან 10-ის ჩათვლით. ციკლის დაშთაფრების შემდეგ უდიდესი მნიშვნელობა დაფიქსირდება ცვლადში MAX, ხოლო WRITE ოპერატორით დაიბეჭდება ტექსტი MAXIMUM= და შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობა 8 პოზიციაში, მძიმის შემდეგ 2 ციფრით.

მაგალითი: შევადგინოთ  $F = m! - K!$  ფაქტორიალების სხვაობის გამოთვლის პროგრამა, სადაც m და K წინასწარ მოცემული ნატურალური რიცხვებია: შევნიშნოთ, რომ  $n!$  წარმოადგენს ნატურალური რიცხვების ნამრავლს  $1 \cdot 2 \cdot 3 \cdot \dots \cdot n$ .

ფაქტორიალი გავაფორმოთ ქვეპროგრამა ფუნქციის სახით.

```

PROGRAM RAZNFACT(INPUT, OUTTUT);
  | (*рнзность факториалов*)
  | CONST SHIRINA=10;
  | VAR F, M, K: INTEGER;
  | FUNCTION FAT(N: INTEGER): INTEGER;

```

```

VAR
  P, I: INTEGER
BEGIN
  P := -1
  FOR I := 1 THEN N DO
    P := P * I;
    FACT := P
  END;
BEGIN
  READ(M, K);
  F := FACT(M) - FACT(K);
  WRITE('разность F = ', F:SHIRINA)

```

END.

პროგრამა მუშაობს შემდეგნაირად: თავიდან READ ოპერატორის რულებმა  $m$  და  $K$ -ს მნიშვნელობების შეტანა.  $FACT(M)$  და  $FACT(K)$  წარმოადგენს ქვეპროგრამა ფუნქციებზე მიმართვას, გამოითვლება სხვაობა და შედეგი მიენიჭება  $F$  ცვლადს. შემდეგ დაიბეჭდება ტექსტი  $разность F =$  და შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობა 10 პოზიციაში.

ძირითადი სტანდარტული ფუნქციებისა და ზომიერთ ოპერაციათა ცხრილი

1 ფუნქცია	2 ღანიშნულება	3 არგუმენტის ტიპი	4 ფუნქციის ტიპი
ABS(x)	x-ის აბსოლუტური მნიშვნელობის გამოთვლა	REAL INTEGER	REAL INTEGER
SQR(x)	x-ის კვადრატის გამოთვლა ( $x \geq x$ )	REAL INTEGER	REAL INTEGER
SIN(x)	x-ის სინუსის	REAL INTEGER	REAL REAL
COS(x)	x-ის კოსინუსის გამოთვლა	REAL INTEGER	REAL REAL
ARCTAN(x)	x-ის არქტანგენტის გამოთვლა	REAL INTEGER	REAL REAL
EXP(x)	$e^x$ -ის გამოთვლა	REAL INTEGER	REAL REAL

1	2	3	4
EXP10(x)	10 <sup>x</sup> -ის გამოთვლა	REAL INTEGER	REAL REAL
LN(x)	ln x-ის გამოთვლა	REAL INTEGER	REAL REAL
LOG(x)	lg x-ის გამოთვლა	REAL INTEGER	REAL REAL
A—DIV—B	A და B განაყოფის მთელი ნაწილი	INTEGER	INTEGER
A—MOD—B	A და B განაყოფის ნაშთები	INTEGER	INTEGER
TRUNC(x)	x-ის მთელი ნაწილის პოვნა	REAL INTEGER	INTEGER INTEGER
ROUND(x)	x-ის დამრგვალება უახლოეს მთელამდე	REAL INTEGER	INTEGER INTEGER
ODD(x)	TRUE—თუ X კენტია FALSE—თუ X ლუწია	INTEGER	BOOLEAN
ORD(X)	1 სიაში X-ის რიგითი ნომრის დადგენა (თელი იწყება 0-დან)	BOOLEAN	INTEGER
	2. ORD(x) = x	INTEGER	INTEGER
	3. პასკალ-ენის სიმბოლოს ნომრის განსაზღვრა ათვლის თობით სისტემაში	CHAR	INTEGER
CHR(x)	რიგითი ნომრის მხედვით პასკალ-ენის სიმბოლოს განსაზღვრა	INTEGER	CHAR
SQRT(x)	$\sqrt{x}$ -ის გამოთვლა	REAL INTEGER	REAL REAL
SUCC(x)	ელემენტების სიაში X-ის მომდევნო ელემენტის პოვნა	INTEGER BOOLEAN CHAR	INTEGER BOOLEAN CHAR
PRED(x)	ელემენტების სიაში X, ის წინ მდგომი ელემენტის პოვნა	ჩამოთვლის დაქვემდებარებული	ჩამოთვლას დაქვემდებარებული

EOF(F)	TRUE, თუ F ფაილი იმყოფება „ფაილის და- სისრული“ FALSE, თუ არ არის ფაილის დასასრული	ფაილი	BOOLEAN
EOLN(F)	TRUE, თუ F ფაილი იმყოფება „სტრიქონის დასასრულის მდგომე- რეობაში.“ FALSE, თუ არ არის სტრიქონის დასასრული	ფაილი	BOOLEAN

**ფუნქციათა მიახლოება**

**§ 1. ინტერპოლირების უპირტივისი ამოცანა**

ვთქვათ, სხვადასხვა  $x_0, x_1, \dots, x_n$  წერტილებში მოცემულია  $y = f(x)$  ფუნქციის მნიშვნელობები  $y_0, y_1, \dots, y_n$ . ინტერპოლირების უპირტივისი ამოცანა შემდეგში მდგომარეობს: შევადგინოთ გამოთვლებისათვის ისეთი მარტივი  $\varphi(x)$  ფუნქცია, რომელიც მოცემულ წერტილებში შიილებს მოცემულ მნიშვნელობებს. კერძოდ, თუ  $\varphi(x)$  ფუნქცია პოლინომია, ინტერპოლირების პარაბოლურს უწოდებენ, ხოლო თვით  $\varphi(x)$  ფუნქციას საინტერპოლაციო პოლინომს.

$x_0, x_1, \dots, x_n$  წერტილებს საინტერპოლაციო კვანძები ეწოდება. საინტერპოლაციო პოლინომით ფართოდ სარგებლობენ  $f(x)$  ფუნქციის მნიშვნელობების გამოსათვლელად  $x$ -ის იმ მნიშვნელობათათვის, რომლებიც  $[x_0, x_n]$  შუალედის როგორც შიგნით, ისე გარეთ მდებარეობენ. პირველ შემთხვევაში საქმე გვექნება ინტერპოლირებასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში — ექსტრაპოლირებასთან, აღვნიშნოთ

$$R(x) = f(x) - \varphi(x).$$

ცხადია,

$$R(x_0) = R(x_1) = \dots = R(x_n) = 0.$$

ხოლო დანარჩენ წერტილში  $R(x)$  ფუნქცია ახასიათებს  $\varphi(x)$ -ის  $f(x)$  ფუნქციის მნიშვნელობისაგან გადახრას.  $R(x)$  ფუნქციის ნაშთითი წევრი ეწოდება.

**§ 2. სასრული სხვაობების უმთაველი საინტერპოლაციო ფორმულა**

ვთქვათ, საინტერპოლაციო კვანძები  $x_i = x_0 + ih, i = 0, 1, \dots, n$ , თანასწორადაა ერთმანეთისაგან დაშორებული და  $f(x_i) = y_i$ . სხვაობას  $\Delta^k y_i = \Delta^{k-1} y_i - \Delta^{k-1} y_{i-1}$  ეწოდება  $k$ -ური რიგის სასრული სხვაობა,  $k = 1, 2, \dots, n$ . ფუნქციის სხვაობათა ცხრილს ასე ჩასწერენ:

$x$	$y$	$\Delta y$	$\Delta^2 y$	$\Delta^3 y$	$\Delta^4 y$	$\Delta^5 y$	...
$x_0$	$y_0$						
$x_1$	$y_1$	$\Delta y_0$					
$x_2$	$y_2$	$\Delta y_1$	$\Delta^2 y_0$				
$x_3$	$y_3$	$\Delta y_2$	$\Delta^2 y_1$	$\Delta^3 y_0$			
$x_4$	$y_4$	$\Delta y_3$	$\Delta^2 y_2$	$\Delta^3 y_1$	$\Delta^4 y_0$		
$x_5$	$y_5$	$\Delta y_4$	$\Delta^2 y_3$	$\Delta^3 y_2$	$\Delta^4 y_1$	$\Delta^5 y_0$	
$\vdots$	$\vdots$	$\vdots$	$\vdots$	$\vdots$	$\vdots$	$\vdots$	$\vdots$
$x_{n-1}$	$y_{n-1}$						
$x_n$	$y_n$	$\Delta y_{n-1}$	$\Delta^2 y_{n-1}$	$\Delta^3 y_{n-1}$	$\Delta^4 y_{n-1}$	$\Delta^5 y_{n-1}$	

თვით სხვაობის განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ყოველ სვეტში მოთავსებულ რიცხვთა ჯამი უნდა უდრიდეს წინა სვეტის ბოლო და პირველი რიცხვების სხვაობას. სხვაობათა ეს თვისება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვაობათა ცხრილის კონტროლისათვის. ფორმულებს

$$f(x_0 + th) = y_0 + t \Delta y_0 + \frac{t(t-1)}{2!} \Delta^2 y_0 + \frac{t(t-1)(t-2)}{3!} \Delta^3 y_0 + \dots + \frac{t(t-1)(t-2) \dots (t-(n-1))}{n!} \Delta^n y_0 + R_I(x); \quad (1)$$

$$t = \frac{x - x_0}{h}, \quad R_I(x) = \frac{t(t-1)(t-2) \dots (t-n)}{(n+1)!} f^{(n+1)}(\xi);$$

$$f(x_0 + th) = y_n + t \Delta y_{-1} + \frac{t(t+1)}{2!} \Delta^2 y_{-1} + \frac{t(t+1)(t+2)}{3!} \Delta^3 y_{-1} + \dots + \frac{t(t+1)(t+2) \dots (t+(n-1))}{n!} \Delta^n y_{-1} + R_{II}(x), \quad (2)$$

$$t = \frac{x - x_n}{h}, \quad R_{II}(x) = \frac{t(t+1)(t+2) \dots (t+n)}{(n+1)!} f^{(n+1)}(\xi),$$

სადაც  $\xi$  წერტილი იკუთვნის  $x$ ,  $x_0 \dots x_n$  წერტილების შემცველ  $[a, b]$  შუალედს. ეწოდება ნიუტონის პირველი და მეორე საინტერპოლაციო ფორმულები თანაბრად დაშორებული კვანძებისათვის.

პირველ ფორმულას იყენებენ ინტერპოლირებისათვის ცხრილის დასაწყისში, ხოლო მეორეს — ცხრილის ბოლოში.

ნიუტონის პირველ ფორმულაში საწყის  $x_0$  წერტილად სასურველია მივიჩნიოთ საინტერპოლაციო  $x$  წერტილის უახლოესი წინა

კვანძია, ხოლო მეორე ფორმულაში  $x_n$ -ის როლი უნდა შეესრულოს  $x$ -ის მომდევნო კვანძმა.

თუ  $f(x)$  ფუნქცია ანალიზურად არის მოცემული და

$$M_{n+1} = \max_{x \in [a, b]} |f^{(n+1)}(x)|.$$

გვქნება

$$|R_I(x)| \leq \frac{|t(t-1)(t-2)\dots(t-n)|}{(n+1)!} M_{n+1},$$

$$|R_{II}(x)| \leq \frac{|t(t+1)(t+2)\dots(t+n)|}{(n+1)!} M_{n+1}.$$

იმ შემთხვევაში, როდესაც  $f(x)$  ფუნქცია ცხრილის სახითაა მოცემული, ნაშთითი წევრების ზემოთ მოყვანილი შეფასებით სარგებლობა შეუძლებელია.

თუ ვიგულისხმებთ, რომ  $h$  საკმაოდ მცირე სიდიდეა და  $f^{(n+1)}(x)$  ფუნქცია მცირედ იცვლება, განსახილავ შუალედში შეგვიძლია დავწეროთ შემდეგ მიახლოებითი ტოლობები:

$$R_I(x) \approx \frac{t(t-1)(t-2)\dots(t-n)}{(n+1)!} \Delta^{n+1} y_0,$$

$$R_{II}(x) \approx \frac{t(t+1)(t+2)\dots(t+n)}{(n+1)!} \Delta^{n+1} y_{-n}.$$

სასრული სხვაობების შემცველ სხვა საინტერპოლაციო ფორმულათა შორის მოვიყვანოთ გაუსის პირველი და მეორე ფორმულა, სტირლინგის და ბესელის ფორმულები.

გაუსის პირველ საინტერპოლაციო ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$\begin{aligned} f(x_0 + th) = & y_0 + t \Delta y_0 + \frac{t(t-1)}{2!} \Delta^2 y_{-1} + \frac{t(t^2-1)}{3!} \Delta^3 y_{-1} + \\ & + \dots + \frac{t(t^2-1^2)(t^2-2^2)\dots[t^2-(n-1)^2]}{(2n-1)!} \Delta_{-(n-1)}^{2n-1} + \\ & + \frac{t(t^2-1^2)(t^2-2^2)\dots[t^2-(n-1)^2](t-n)}{(2n)!} \Delta^{2n} y_{-n}, \quad t = \frac{x-x_0}{h}. \end{aligned}$$

ამ ფორმულაში საინტერპოლაციო კვანძებს წარმოადგენს წერტილები

$$x_0, x_0+h, x_0-h, \dots, x_0+nh, x_0-nh.$$

თუ საინტერპოლაციო კვანძებს ავირჩევთ შემდეგი მიმდევრობით



$x_0, x_0-h, x_0+h, \dots, x_0-nh, x_0+nh$ , შვილებთ გაუსის მეორე საინტერპოლაციო ფორმულას:

$$f(x_0+th) = y_0 + t\Delta y_{-1} + \frac{t(t+1)}{2!} \Delta^2 y_{-1} + \frac{t(t^2-1^2)}{3!} \Delta^3 y_{-1} +$$

$$+ \frac{t(t^2-1^2)(t+2)}{4!} \Delta^4 y_{-1} + \dots + \frac{t(t^2-1^2)(t^2-2^2)\dots[t^2-(n-1)^2]}{(2n-1)!} \times$$

$$\times \Delta^{2n-1} y_{-n} + \frac{t(t^2-1^2)(t^2-2^2)\dots[t^2-(n-1)^2](t+n)}{(2n)!} \Delta^{2n} y_{-n},$$

$$t = \frac{x-x_0}{h}.$$

ორივე ფორმულის ნაშთით წევრს აქვს ერთი და იგივე სახე:

$$R(x) = \frac{t(t^2-1^2)(t^2-2^2)\dots(t^2-n^2)}{(2n+1)!} h^{2n+1} f^{(2n+1)}(\xi).$$

გაუსის პირველი და მეორე საინტერპოლაციო ფორმულებს საშუალო არითმეტიკული გვაძლევს სტირლინგის ფორმულას

$$f(x_0+th) = y_0 + t \frac{\Delta y_0 + \Delta y_{-1}}{2} + \frac{t^2}{2} \Delta^2 y_{-1} + \frac{t(t^2-1^2)}{3!} \times$$

$$\times \frac{\Delta^3 y_{-1} + \Delta^3 y_{-2}}{2} + \frac{t^2(t^2-1^2)}{4!} \Delta^4 y_{-2} + \frac{t(t^2-1^2)(t^2-2^2)}{5!} \times$$

$$\times \frac{\Delta^5 y_{-2} + \Delta^5 y_{-3}}{2} + \dots + \frac{t(t^2-1^2)(t^2-2^2)\dots[t^2-(n+1)^2]}{(2n-1)!} \times$$

$$\times \frac{\Delta^{2n-1} y_{-n} + \Delta^{2n-1} y_{-(n-1)}}{2} + \frac{t^2(t^2-1)(t^2-2^2)\dots[t^2-(n-1)^2]}{(2n)!} \times$$

$$\times \Delta^{2n} y_{-n}, \quad t = \frac{x-x_0}{h}.$$

ამ ფორმულის ნაშთითი წევრისათვის

$$R(x) = t(t^2-1^2)(t^2-2^2)\dots(t^2-n^2) \frac{f^{(2n+1)}(\xi)}{(2n+1)!} h^{2n+1}.$$

ფორმულას

$$f(x_0+th) = \frac{y_0+y_1}{2} + \frac{t-\frac{1}{2}}{1} \Delta y_0 + \frac{t(t-1)}{2} \cdot \frac{\Delta^2 y_{-1} + \Delta^2 y_0}{2} +$$

$$\begin{aligned}
& + \frac{t(t-1)\left(t-\frac{1}{2}\right)}{3!} \Delta^2 y_{-1} + \frac{t(t^2-1^2)(t-2)}{4!} \cdot \frac{\Delta^4 y_{-2} + \Delta^4 y_{-1}}{2} + \dots + \\
& + \frac{t(t^2-1^2)(t^2-2^2) \dots [t^2-(n-2)^2] \left[t-(n-1)\right] \left(t-\frac{1}{2}\right)}{(2n-1)!} \times \\
& \times \Delta^{2n-1} y_{-(n-1)} + \frac{t(t^2-1^2)(t^2-2^2) \dots [t^2-(n-1)](t-n)}{(2n)!} \times \\
& \times \frac{\Delta^{2n} y_{-n} + \Delta^{2n} y_{-(n-1)}}{2} + \\
& + \frac{t\left(t-\frac{1}{2}\right)(t^2-1^2)(t^2-2^2) \dots [t^2-(n-1)^2](t-n)}{(2n+1)!} \Delta^{2n+1} y_{-n} \quad R(x),
\end{aligned}$$

სადაც

$$R(x) = \frac{h^{2n+2} f^{(2n+1)}(\xi)}{(2n+2)!} t(t^2-1^2)(t^2-2^2) \dots (t^2-n)(t-n-1),$$

ბესელის საინტერპოლაციო ფორმულა ეწოდება. იგი განსაკუთრებით მონერბებულია ინტერპოლირებისათვის კვანძებს შორის შუაწერტილში. ამ შემთხვევაში  $t = \frac{1}{2}$  და, მაშასადამე, ყველა კენტი რიგის სხვაობის შემცველი შესაკრებები ნულის ტოლი იქნება.

ჩოდესაც  $f(x)$  ფუნქციის ანალიზური სახე უცნობია, ნაშთით წევრისათვის შეგვიძლია ვისარგებლოთ შემდეგი შიახლოებითი ტოლობით [4]:

$$R(x) \approx t(t-n-1)(t^2-1^2)(t^2-2^2) \dots (t^2-n^2) \frac{\Delta^{2n+2} y_{-1} + \Delta^{2n+2} y_{-n}}{(2n+2)!}.$$

იგულისხმება, რომ  $f(x)$  ფუნქცია მცირედ იცვლება განსახილავ შუალედში.

### § 3. ლაგრანჟის საინტერპოლაციო პოლინომი, ეიბანის სჰემა

ლაგრანჟის საინტერპოლაციო პოლინომს შემდეგი სახე აქვს:

$$L_n(x) = \sum_{i=0}^n \frac{(x-x_0)(x-x_1) \dots (x-x_{i-1})(x-x_{i+1}) \dots (x-x_n)}{(x_i-x_0)(x_i-x_1) \dots (x_i-x_{i-1})(x_i-x_{i+1}) \dots (x_i-x_n)} \cdot y_i,$$

ბოლო ნაშთითი წევრისათვის გვაქვს

$$R(x) = \frac{(x-x_0)(x-x_1)\cdots(x-x_n)}{(n+1)!} f^{(n+1)}(\xi),$$

სადაც  $\xi$  წერტილი ეკუთვნის კვანძების შემცველ უმცირეს შუალედს. ამ უკანასკნელი ტოლობიდან შეგვიძლია დავწეროთ

$$|R(x)| \leq \frac{|(x-x_0)(x-x_1)\cdots(x-x_n)|}{(n+1)!} M_{n+1}.$$

აქ

$$M_{n+1} = \max_{x_0 \leq x \leq x_n} |f^{(n+1)}(x)|.$$

ამგვარად:

$$f(x) = L_n(x) + R(x).$$

თუ ნაშთითი წევრს უკუვავადებთ, მივიღებთ მიახლოებით ტოლობას

$$f(x) \approx L_n(x).$$

განვიხილოთ ახლა ლაგრანჟის პოლინომის შედგენის ვიტკენის სქემა.  $x_0, x_1, x_2, \dots, x_n$  იყოს საინტერპოლაციო კვანძები, ხოლო  $y_0, y_1, \dots, y_n$  —  $f(x)$  ფუნქციის მნიშვნელობები ამ კვანძებში.

თუ ვისარგებლებთ  $x_0$  და  $x_1$  კვანძებით, შეგვიძლია დავწეროთ

$$L_{01}(x) = \frac{x-x_1}{x_0-x_1} y_0 + \frac{x-x_0}{x_1-x_0} y_1 = \frac{\begin{vmatrix} y_0 & x_0-x \\ y_1 & x_1-x \end{vmatrix}}{x_1-x_0},$$

$$L_{01}(x_0) = y_0, \quad L_{01}(x_1) = y_1.$$

ანალოგიურად,

$$L_{02}(x) = \frac{\begin{vmatrix} y_0 & x_0-x \\ y_2 & x_2-x \end{vmatrix}}{x_2-x_0}, \quad L_{12}(x) = \frac{\begin{vmatrix} y_1 & x_1-x \\ y_2 & x_2-x \end{vmatrix}}{x_2-x_1},$$

$$L_{02}(x_0) = y_0, \quad L_{02}(x_2) = y_2, \quad L_{12}(x_1) = y_1, \quad L_{12}(x_2) = y_2.$$

ახლა განვიხილოთ

$$L_{012}(x) = \frac{\begin{vmatrix} L_{01}(x) & x_0-x \\ L_{12}(x) & x_2-x \end{vmatrix}}{x_2-x}.$$

ადვილად შევამოწმებთ, რომ  $L_{012}(x_0) = y_0$ ,  $L_{012}(x_1) = y_1$ ,  $L_{012}(x_2) = y_2$ . მაშასადამე,  $L_{012}(x)$  მართლაც წარმოადგენს ლაგრანჟის საინ-

ტერაპოლიციო პოლინომს, რომელიც მოცემულ  $x_0, x_1, x_2$  წერტილებში  
 ლებულობს მოცემულ მნიშვნელობებს და ა. შ.

$$L_{0,1,2,\dots,n}(x) = \frac{\begin{vmatrix} L_{0,1,\dots,(n-1)}(x) & x_0 - x \\ L_{1,2,\dots,n}(x) & x_n - x \end{vmatrix}}{x_n - x_0} .$$

ეს უკანასკნელი ლარგენჯის საინტერპოლაციო პოლინომია, დაწერილი  
 მოცემული  $x_0, x_1, \dots, x_n$  კვანძების მიხედვით.

ეიტკენის სქემის გამოყენება ძალზე მოხერხებულია იმ შემთხვე-  
 ვაში, როდესაც ჩვენ გვსურს  $f(x)$  ფუნქციის მნიშვნელობის გამოთვლა  
 ლარგენჯის საინტერპოლაციო ფორმულით  $x$ -ის რაიმე კერძო მნიშვნე-  
 ლობისათვის.

**§ 4. ინტერპოლირების დაპროგრამება ნიუტონის პირველი  
 ფორმულის მიხედვით**

უკუვადლოთ (1) ფორმულაში ნაშთითი წევრი, მივიღებთ მიახ-  
 ლოებით ტოლობას. შევადგინოთ პროგრამა, რომელიც  $x$  წერტილზე  
 $x_i < x < x_{i+1}$  ( $i=0, 1, 2, \dots, n-1$ ) მოგვცემს  $f(x)$ -ის მიახლოებით  
 მნიშვნელობას. (1) ფორმულაში შემავალი სასრული სხვაობები გა-  
 მოთვალათ ფორმულით

$$\Delta^k y_i = \sum_{m=0}^k (-1)^m c_k^m y_{i+k-m}$$

სადაც

$$C_k^m = \frac{k(k-1)\dots(k-m+1)}{m!}, \quad t = \frac{x-x_0}{h},$$


$n$  არის საინტერპოლაციო პოლინომის რიგი.  $k$  რიგის სასრული  
 სხვაობების  $C_k^m$ ,  $m!$  და  $k(k-1)\dots(k-m+1)$  ნამრავლის გამოსათვლელ-  
 ლად შევადგინოთ ქვეპროგრამები.

ინტერპოლირების ბლოკ-სქემა ნიუტონის პირველი ფორმულის  
 მიხედვით მოცემულია მე-17 ნახაზზე.

**ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო ე ბ ი**

მოცემულია ფუნქციის დისკრეტული მნიშვნელობები თანაბრად  
 დაცილებულ  $n+1$  წერტილში (იხ. ცხრილები 168, 169, 170, 171  
 გვერდებზე, ცხრილის ნომერი მითითებულია. სვეტის დასაწყისში).

բանաճյուղ



ԲՈՒ. 17.

1. შეადგინეთ ქვეპროგრამა — ოპერატორი მოცემულ წერტილებში ფუნქციების პირველი რიგის სხვაობების გამოსათვლელად. შედეგების მიღება გაითვალისწინეთ  $n$ — განზომილებიან მასივის სახით. მიღებული პროგრამით შეადგინეთ სხვაობათა ცხრილები ფუნქციებისათვის, რომლებიც მოცემულია № 1, 2, 3 ცხრილებით, ჩაატარეთ მიღებული შედეგების კონტროლი § 2-ში მოცემული წესის მიხედვით.

2. შეადგინეთ ქვეპროგრამა ოპერატორი, რომელიც გამოთვლის თანაბრად დაცილებული  $n+1$  წერტილში მოცემული ფუნქციის  $i$  ური რიგის სასრულო სხვაობებს ( $i \leq n$ ). შედეგების მიღება გაითვალისწინეთ  $n-i+1$  — განზომილებიანი მასივის სახით. მიღებული პროგრამით შეადგინეთ სასრულ სხვაობათა ცხრილი, როცა  $i=3$ ,  $n=11$ , სადაც ფუნქცია მოცემულია: მე-4, მე-5, მე-6, მე-7 ცხრილებით.

3. შეადგინეთ ქვეპროგრამა ოპერატორი, რომელიც გამოთვლის ცხრილით მოცემული ფუნქციის ყველა შესაძლო რიგის სასრულ სხვაობებს თანაბრად დაცილებული  $n+1$  წერტილში მოცემული ფუნქციისათვის. სასრული სხვაობების მიღება გაითვალისწინეთ ერთიანი მასივის სახით. ამ მასივის პირველი  $n$  ელემენტი უნდა უდრიდეს პირველი რიგის სასრულ სხვაობებს, მომდევნო ( $n-1$ ) ელემენტი — მეორე რიგის სასრულ სხვაობებს და ა. შ., ხოლო მასივის უკანასკნელი ელემენტი უნდა შეესაბამებოდეს  $n$ -ური რიგის სხვაობას.

მიღებული პროგრამით ამოხსენით კონკრეტული ამოცანა მე-8 ცხრილისათვის.

4. შეადგინეთ ქვეპროგრამა — ოპერატორი, რომელიც გამოთვლის დასახელებულ  $x$  მნიშვნელობიდან დაღმავალ სხვაობებს. გაითვალისწინეთ შედეგის მიღება მასივის სახით.

ქვეპროგრამის პირველ ინსტრუქციას მიეცით სახე

SUBROUTINE დალმ. სხვაობები ( $x, y, N, x1, DELTA, M$ ),

სადაც  $x, y$  ცხრილით მოცემული მასივებია,  $N$  — მათი განზომილება,  $x1$  წერტილი, სადაც სათავეს ღებებს დაღმავალი სხვაობები,  $DELTA$  პასუხების მასივია,  $M$  — ამ მასივის განზომილება. ისარგებლეთ მე-9 ცხრილის მონაცემებით და მიღებული ქვეპროგრამით, ამოხსენით კონკრეტული ამოცანა, როცა: ა)  $x1=0,18$ , ბ)  $x1=0,21$ , გ)  $x1=0,24$ .

5. შეადგინეთ ქვეპროგრამა მე-4 დავალების ანალოგიურად  $x$ -ის დასახელებული მნიშვნელობიდან გამოსული აღმავალ სხვაობათა ცხრილის მისაღებად.

6. შეადგინეთ პროგრამა ნიუტონის პირველი საინტერპოლაციო ფორმულის მიხედვით.

მიღებული პროგრამით გამოთვალეთ მე-9 ცხრილით მოცემული ფუნქციის მნიშვნელობები წერტილებში  $x=0,183$ ;  $x=0,191$ ;  $x=0,208$ .

7. მე-6 დავალებაში ინტერპოლირება ჩაატარეთ ნიუტონის მეორე ფორმულით. სხვაობების გამოთვლის პროგრამა შეცვალეთ მე-5 დავალების ქვეპროგრამით.

გამოთვლები ჩაატარეთ მე-10, მე-11 ცხრილებით მოცემული ფუნქციებისათვის წერტილებში  $x=0,271$ ;  $x=0,279$ ;  $x=0,261$ ;  $x=0,255$ .

8. შეადგინეთ პროგრამა, რომელიც მოახდენს ინტერპოლირებას ნიუტონის პირველი და მეორე საინტერპოლაციო ფორმულებით, იმისა და მიხედვით საინტერპოლაციო წერტილები ეკუთვნის მოცემულ შუალედის პირველ ნახევარს თუ მეორეს. გაითვალისწინეთ სხვაობების გამოთვლის სტანდარტული ქვეპროგრამების გამოყენება.

გამოთვლები ჩაატარეთ მე-11, მე-12, მე-13 ცხრილებით მოცემული ფუნქციისათვის წერტილებში:

$$x=0,275; x=0,187; x=0,191.$$

9. გამოთვალეთ გაუსის I საინტერპოლაციო ფორმულით მე-17 ცხრილით მოცემული ფუნქციის მნიშვნელობები წერტილებში:

$$x=0,235; x=0,241; x=0,245.$$

10. გამოთვალეთ გაუსის II საინტერპოლაციო ფორმულით მე-18, მე-19, მე-20 ცხრილებით მოცემული ფუნქციების მნიშვნელობები შესაბამისად წერტილებში:

$$x=0,251; x=0,254; x=0,255.$$

11. გამოთვალეთ ბესელის საინტერპოლაციო ფორმულით 21-ე, 22-ე, 23-ე, 24-ე ცხრილებით მოცემული ფუნქციების მნიშვნელობები წერტილებში:

$$x=0,235; x=0,265; x=0,255.$$

12. შეადგინეთ ინტერპოლირების პროგრამა სტირლინგის ფორმულის მიხედვით, ჩაატარეთ ინტერპოლირება 25-ე, 26-ე, 27-ე ცხრილებით მოცემული ფუნქციებისათვის წერტილებში:

$$x=1,255; x=1,241; x=1,261; x=1,266.$$

$N$	1	2	3	4	5	6	7	8
$x$	$y(x)$	$y(x)$	$y(x)$	$y(x)$	$y(x)$	$y(x)$	$y(x)$	$y(x)$
0,10	0,09983	0,99500	0,10330	0,90484	1,10517	0,10017	0,09967	-2,3028
0,15	0,14944	0,985770	0,15114	0,86071	1,16133	0,15057	0,24889	-1,89712
0,20	0,19867	0,98007	0,20271	0,81873	1,22140	0,20136	0,19740	-1,60944
0,25	0,24740	0,96591	0,25534	0,77880	1,28403	0,25288	0,24997	-1,38629
0,30	0,29552	0,95534	0,30934	0,74082	1,34986	0,30469	0,23246	-1,20397
0,35	0,34290	0,93937	0,36503	0,70169	1,41907	0,35757	0,33667	-1,04982
0,40	0,38940	0,92106	0,42279	0,67032	1,49182	0,41152	0,38051	-0,91629
0,45	0,43497	0,90045	0,48306	0,63763	1,56831	0,46679	0,42285	-0,79831
0,50	0,47943	0,87758	0,54630	0,60653	1,64870	0,52360	0,49365	-0,69315
0,55	0,52269	0,85252	0,61311	0,57695	1,73830	0,58236	0,50284	-0,59784
0,60	0,56464	0,82534	0,68114	0,5481	1,8220	0,64350	0,54042	-0,51082



$N$	9	10	11	12	13	14	15	16
$x$	$y(x)$	$y(x)$	$y(x)$	$y(x)$	$y(x)$	$y(x)$	$y(x)$	$y(x)$
0,18	0,17903	0,68384	0,16197	0,83527	1,19722	0,18099	0,17809	-1,71450
0,19	0,18886	0,98200	0,15232	0,82696	1,209250	0,19116	0,18776	-1,9,073
0,20	0,19867	0,98007	0,2271	0,81873	1,22140	0,20136	0,19740	-1,60844
0,21	0,20846	9,97803	0,21314	0,81058	1,23368	0,21157	0,20699	-1,56065
0,23	0,22798	0,97367	0,2344	0,79453	1,25810	0,23208	0,22607	-1,46968
0,2	0,21623	0,9590	0,2362	0,80252	1,24608	0,22181	0,21655	-1,51413
0,24	0,23770	0,97131	0,21476	0,78663	1,27125	0,24236	0,23554	-1,4712
0,25	0,24740	0,96811	0,25534	0,77880	1,2403	0,25268	0,24497	-1,08629
0,26	0,28708	0,96639	0,6602	0,77105	1,29693	0,26302	0,25437	-1,54707
0,27	0,26673	0,96377	0,27676	0,76338	1,30996	0,27339	0,26371	-1,30933
0,28	0,27636	0,96106	0,28755	0,75578	1,31313	0,28379	0,27301	-1,27297

N		17	18	19	20	21	22	23	24		
x	y(x)	y(x)	x	y(x)	x	y(x)	x	y(x)	y(x)		
0,20	0,2013	1,0201	0,50	0,5211	1,1276	0,61	0,9185	1,1919	0,72	0,7838	1,2705
0,21	0,2115	1,0221	0,51	0,5324	1,1329	0,62	0,605	1,1984	0,73	0,7966	1,2725
0,22	0,2218	1,0243	0,52	0,5437	1,1383	0,63	0,6725	1,2051	0,74	0,8094	1,2865
0,23	0,2320	1,0266	0,53	0,5552	1,1438	0,64	0,6846	1,2119	0,75	0,8223	1,2947
0,24	0,2423	1,0289	0,54	0,5666	1,1494	0,65	0,6967	1,2188	0,76	0,8353	1,3030
0,25	0,2526	1,0314	0,55	0,5782	1,1551	0,66	0,7090	1,2253	0,77	0,8484	1,3114
0,26	0,2629	1,0340	0,56	0,5897	1,1609	0,67	0,7213	1,2330	0,78	0,8615	1,3199
0,27	0,2733	1,0367	0,57	0,6014	1,1669	0,68	0,7335	1,2402	0,75	0,8749	1,3286
0,28	0,2837	1,0395	0,58	0,6131	1,1720	0,69	0,7461	1,2476	0,80	0,8881	1,3374
0,29	0,2941	1,0423	0,59	0,6249	1,1792	0,70	0,7586	1,2552	0,81	0,9015	1,3464
0,30	0,3045	1,0453	0,60	0,6367	1,1855	0,71	0,7712	1,2629	0,82	0,9150	1,3555

N	25-82									
	25	26	27	28	29	30	31	32		
$\alpha$	$y(x)$	$y(x)$	$x$	$y(x)$	$x$	$y(x)$	$x$	$y(x)$	$x$	$y(x)$
1,20	1 5095	1 8107	1,40	1,9043	1,60	2,3756	1,71	2,5775	1,71	2,6740
1,21	1,5276	1 8258	1,41	1,9259	1,61	2 4015	1,72	2,6013	1,72	2,7027
1,22	1,5460	1 8412	1,42	1,9477	1,62	2,4276	1,73	2,6255	1,73	2,7317
1,23	1,5645	1,8568	1,43	1,9697	1,63	2,4540	1,74	2,6499	1,74	2,7609
1,24	1,5831	1 8724	1 44	1,9919	1,64	2,4806	1,75	2,6746	1,75	2 7904
1,25	1,6019	1,8884	1,45	2 0143	1,65	2,5075	1,76	2,6995	1,76	7,8202
1,26	1 6209	1,905	1,6	2,0369	1,66	2 5316	1,77	2,7217	1,77	2,8 03
1,27	1,6400	1,9208	1,7	2,0597	1,67	2,5519	1,78	2,7502	1,78	2,8806
1,28	1,6593	1,9373	1,48	2,0827	1 68	2,5896	1,79	2,7760	1,79	2 9112
1,29	1,6788	1,9540	1,49	2,1059	1,69	2,6175	1,88	2,8020	1,88	2,9422
1,30	1,6984	1,9709	1 50	2,1293	1 70	2,6556	1,81	2,8253	1,81	2 9734

§ 5. ლაგრანჟის სანიხარაოლაციო ფორმულის დაპროგრამების  
მაგალითი

ვთქვათ, მოცემულია ფუნქციის მნიშვნელობათა ცხრილი

$x$	0,1	0,15	0,23	0,3	0,31	0,38
$y$	0,0998	0,1494	0,228	0,2955	0,3051	0,9287

ვიპოვოთ ამავე ფუნქციის მნიშვნელობები 0,24; 0,29; 0,33 წერტილებზე. არგუმენტის მნიშვნელობათა ახალი მასივი აღვნიშნოთ  $T$ -თი, ხოლო ფუნქციის შესაბამისი მნიშვნელობების მასივი  $Z$ -ით ალგორითმის შესაბამის ბლოკ-სქემას შემდეგი სახე ექნება (ნახ. 18).

ფორტრან-პროგრამა კი შემდეგნაირად დაიწერება:

DIMENSION X(6), Y(6), T(3), Z(3),

სადაც  $C, X, Y, T$  წარმოადგენს მოცემულ მასივებს,  $Z$  — საძიებელი მასივია.

READ(1,1) X, Y, T

1. FORMAT(6F3.2/6F5.4/3F3.2)

$X, Y, T$  მასივების დაბეჭდვა იწყება ახალი ბარათებიდან. ყოველ  $X$ -ს დათმობილი აქვს სამი პოზიცია, აქედან, ორი თოწილად ნაწილს. ყოველ  $Y$ -ს დათმობილი აქვს ხუთი პოზიცია, რომელთაგან ოთხი ათწილადი ნაწილია, ხოლო  $T$ -ს სამ მნიშვნელობას დათმობილი აქვს ცხრა პოზიცია

DO 2 J=1,3

Z(J)=0

DO 3 I=1,6

S=1

DO 4 K=1,6

IF(I-K)5, 4, 5

5 S=S\*(T(J)-X(K))/(X(I)-X(K))

4 CONTINUE


3 Z(J)=Z(T)+S\*Y(I)

2 CONTINUE

WRITE(3,6) Z

6 FORMAT(1X,F10.5)

STOP



ნახ. 18.

END

000150230300031038 X მასივი

009980145402280029550305109287 Y მასივი

024029033

T მასივი

მახუბი

$Z_1 = 0,24314$

$Z_2 = 0,28918$

$Z_3 = 0,34985$

### ხ ა ვ ა რ ჭ ი შ ო ე ბ ი

1. შეადგინეთ ქვეპროგრამა ფუნქცია, რომელიც მოახდენს ინტერპოლირებას დაგრანეის ფორმულის მიხედვით. ქვეპროგრამის ფორმალურ პარამეტრებად აიღეთ  $x$ ,  $n$ , სადაც  $x$  საინტერპოლაციო კვანძია,  $n$  ინტერპოლირების რიგი. ქვეპროგრამას მასივების სახით მიაწოდეთ არგუმენტებისა და ფუნქციის სათანადო მნიშვნელობების მიმდევრობები.

2. პირველ დავალებაში გამოთვლა ჩაატარეთ ეიტკენის სქემით.

3. ქვემოთ მოყვანილი ცხრილებისათვის (ცხრილები 33, 34, 35), მოახდინეთ ინტერპოლირება დაგრანეის ფორმულით და ეიტკენის სქემით. ცხრილში მითითებული ერთი და იგივე  $x^*$  მნიშვნელობებისათვის შეადარეთ ინტერპოლირების ეს ორი გზა მანქანურ ღრის ეკონომიურობის თვალსაზრისით.

4. შეასრულეთ დავალებები ქვემოთ მოყვანილი ცხრილებისათვის, სადაც მოცემულია  $f(x)$  ფუნქციის მნიშვნელობები არგუმენტის არათანხვორად დაშორებული მნიშვნელობებისათვის. ინტერპოლირება ჩაატარეთ ცხრილში მითითებული  $x^*$  წერტილებში (ისარგებლეთ 175, 176, 177 გვერდებზე მოცემული ცხრილებით).

### § 6. უზარუნავალი ინტერპოლირება

ვთქვათ,  $y = f(x)$  ფუნქცია მოცემულია ცხრილის საშუალებით

$$\frac{|x| |x_0| |x_1| \dots |x_n|}{|y| |y_0| |y_1| \dots |y_n|}$$

$x$ -ის იმ მნიშვნელობის პოვნას, რომელზედაც ფუნქცია მოცემულ მნიშვნელობას ღებულობს შებრუნებული ინტერპოლირება ეწოდება.

ვთქვათ,  $y = f(x)$  ფუნქცია მონოტონურია იმ  $[a, b]$  შუალედში, რომელიც საინტერპოლაციო კვანძებს შეიცავს, მაშინ შებრუნებული

$x$	$y(x)$	$y'(x)$	$x^*$	$x$	$y(x)$	$y'(x)$	$x^*$	$x$	$y(x)$	$y'(x)$	$x^*$
10°	0,1736	0,9848	11°	0,10	0,9950	0,098		55'	0,7071	0,7071	
17°	0,2974	0,9563	18°	0,15	0,9883	0,191		45' 37"	0,7133	0,7039	45' 31"
20°	0,3420	0,9397		0,23	0,9737	0,2280	0,25	50' 16"	0,7801	0,6257	
23°	0,4229	0,9063		0,30	0,9553	0,2955		57' 12"	0,806	0,5417	
31°	0,5150	0,8572	34°	0,31	0,9523	0,3061	0,29	60' 25"	0,8695	0,4937	60' 26"
40°	0,6128	0,7650		0,38	0,9391	0,3287	0,33	63' 5"	0,8917	0,4527	
	1	2		3	4			5	6		

$x$	$y(x)$	$y'(x)$	$x^*$	$x$	$y(x)$	$y'(x)$	$x^*$	$x$	$y(x)$	$y'(x)$	$x^*$
0,45	0,4350	0,9004	0,46	0,51	0,8709	0,557	0,61	0,92	0,7965	0,6068	0,8
0,47	0,4729	0,8916		0,65	0,7961	0,662		1,25	0,3153	0,3153	0,99
0,50	0,4794	0,8776		0,72	0,7518	0,6594		1,38	0,9819	0,196	1,39
0,55	0,5227	0,8523	0,57	0,74	0,7385	0,6743	0,75	1,40	0,9854	0,1700	1,55
0,63	0,5891	0,8080		0,81	0,6815	0,7243		1,53	0,9692	0,0403	
0,69	0,6365	0,7712		0,85	0,6603	0,7513		1,55	0,9993	0,0208	
0,76	0,6869	0,7230		0,90	0,616	0,7881		1,57	1,0000	0,0008	
0,80	0,7174	0,6987	0,78	0,96	0,5735	0,8192	0,25	1,60	0,0006	0,292	

ინტერპოლირების ამოცანა შეგვიძლია ამოვხსნათ ლაგრანჟის სან-ტერპოლაციო პოლინომის დახმარებით, თუ  $y$  ცვლადს განვიხილავთ როგორც არგუმენტს, ხოლო  $x$  ს როგორც  $y$ -ის ფუნქციას,  $x = \varphi(y)$ , გვაქვება

$$x = \sum_{i=0}^n \frac{(y-y_0)(y-y_1)\cdots(y-y_{i-1})(y-y_{i+1})\cdots(y-y_n)}{(y_i-y_0)(y_i-y_1)\cdots(y_i-y_{i-1})(y_i-y_{i+1})\cdots(y_i-y_n)} \cdot x_i + R,$$

სადაც

$$R = \frac{(y-y_0)(y-y_1)\cdots(y-y_n)}{(n+1)!} \varphi^{(n+1)}(\xi).$$

ცხრილი 34

$x$	$y(x)$	$x^*$	$x$	$y(x)$	$x^*$	$x$	$y(x)$	$x^*$
0.750	0.47237	0.752 0.769 0.777	0.854	2.3490	0.856 0.875 0.910	0.980	1.4910	0.983 1.022
0.759	0.46813		0.870	2.3869		0.990	1.5237	
0.775	0.46070		0.879	2.4085		1.020	1.6281	
0.800	0.44933		0.900	2.4596		1.080	1.8712	
0.850	0.42741		0.909	2.4818		1.095	1.9407	
0.865	0.42106		0.955	2.5987		1.200	2.5722	
						1.215	2.6910	
$x$	$y(x)$	$x^*$	$x$	$y(x)$	$x^*$	$x$	$y(x)$	$x^*$
1.350	1.7991	1.355 1.405	1.460	2.2691	1.466 1.476 1.516	1.600	0.94681	1.801 1.851
1.400	1.9043		1.475	2.2999		1.815	0.94834	
1.410	7.9259		1.515	2.3846		1.850	0.95175	
1.445	2.0031		1.545	2.4506		1.860	0.95268	
1.460	2.0369	1.465	1.635	2.6622		1.905	0.95666	1.900
1.495	2.1175		1.660	2.7247		1.950	0.96032	
			1.715	2.8682				



$x$	$x^*$	$y_1(x)$	$y_2(x)$	$y_3(x)$	$y_4(x)$	$y_5(x)$
0,681		0,58314	0,80803	0,72911	0,53259	1,8776
	0,637					
0,641		0,59720	0,80210	0,74454	0,5279	1,8965
	0,649					
0,651		0,60519	0,79580	0,7600	0,5205	1,9155
	0,658					
0,660		0,61312	0,78939	0,77610	0,51685	1,9348
	0,665					
0,670		0,62099	0,78382	0,77225	0,51171	1,9542
	0,675					
0,681		0,62879	0,77757	0,80866	0,50662	1,9739
	0,683					
0,691		0,63654	0,77125	0,82534	0,50158	1,9937
	0,692					
0,701		0,64422	0,76484	0,84221	0,49659	2,0138
	0,705					
0,710		0,65183	0,75836	0,85953	0,49164	2,0340
	0,715					
0,721		0,65933	0,75181	0,87707	0,49575	2,0544
	0,724					
0,731		0,66687	0,74517	0,89422	0,48191	2,0751

$x$	$x^*$	$y_1(x)$	$y_2(x)$	$y_3(x)$	$y_4(x)$	$y_5(x)$
0,300		0,9636	0,2675	1,6984	0,98545	0,16997
1,301		0,9638	0,2665	1,7004	0,98865	0,16010
	1,302					
1,303		0,9643	1,2646	1,9760	0,99010	0,14033
	1,305					
1,306		0,8651	0,2617	1,9811	0,99389	0,11057
1,307		0,9654	0,2607	1,9828	0,99482	0,10063
	1,308					
1,309		0,9659	0,2588	1,9863	0,99674	0,08071
	1,311					
1,310		0,9661	0,2578	1,9880	0,99745	0,07074
		0,6969	0,2559	1,9914	0,99871	0,05077

§ 7. განტოლების ფუნქციის მოძებნა შეპრუნებული ინტერპოლირების საშუალებით

შებრუნებული ინტერპოლირების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ

$$f(x) = 0$$

განტოლების ფესვი. ვთქვათ, განტოლების ფესვი მოთავსებულია  $[a, b]$  შუალედში და  $f(x) \in C^{n+1}[a; b]$ . დავატაბულოთ  $f(x)$  ფუნქციის  $[a, b]$  შუალედში მუდმივი ან ცვალებადი ბიჯით. იმ უბანზე, სადაც  $f(x)$  ფუნქცია ნიშანს შეიცვლის, დავსვათ ინტერპოლირების შებრუნებული ამოცანა, ვ. ი. ვიპოვოთ  $x$ -ის მნიშვნელობა, რომელზედაც  $y=0$ .

### ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო ე ბ ი

